

ბასიანი

კულტურის ძეგლების კატალოგი



BASIANI

A CATALOGUE OF THE MONUMENTS
OF MATERIAL CULTURE

საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი

ბასიანი

კულტურის ძეგლების კატალოგი

თბილისი 2024

Research Center of Georgian Culture and Tourism Resources

Basiani

A Catalogue of the Monuments of Material Culture

Tbilisi 2024

ბასიანი - კულტურის ძეგლების კატალოგი

კატალოგი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – “ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის” – გამარჯვებული პროექტის – „ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“ [NFR – 19 – 12539] – ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ.

კატალოგი მოამზადეს: პროფესორმა თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნოდარ არონიშიძემ, დავით გაჩეჩილაძემ, ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოლუაშვილმა, პროფესორმა დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე).

კონსულტანტი - არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამი პატაჯი (თურქეთი).

ინგლისური ტექსტი - ლადო მირიანაშვილი ©2024

ყდის დიზაინი - დავით ჯამრიშვილი

კატალოგი იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

მასალა დალაგებულია ადწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია ავტორთა მიერ, მხარის საკვლევი ექსპედიციების დროს.

Basiani – A Catalogue of the Monuments of Material Culture

The catalogue was prepared within the project “Basiani: Bilingual Print and Online Catalogue of Material Culture Monuments” [NFR – 19 – 12539], a winner of the “State Scientific Grant Competition for Fundamental Research” announced by the **Shota Rustaveli National Science Foundation** in 2019.

The project was realized by the “**Research Center of Georgian Culture and Tourism Resources**”.

The report of the expedition was prepared by a team of scholars: Professor **Teimuraz Khutsishvili** (Head), **Nodar Aronishidze**, **David Gachechladze**, **Bebur Gozalishvili**, **Ana Imedashvili**, **Shalva Koghuashvili**, Professor **David Maisuradze**, **Levan Tsikarishvili**, and **Davut Hakan Berk** (Mofinadze).

The consultant – Dr. of Archaeology **Sami Pataci** (Turkey).

Translated by **Lado Mirianashvili** ©2024

Cover design by **David Jamrishvili**

This catalogue was printed with financial support of the **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia**.

The material is sorted alphabetically by the names of the described monuments.

The photographs, except for those noted otherwise, were taken by the authors of the catalogue during field trips.



საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი
RESEARCH CENTER OF GEORGIAN CULTURE AND TOURISM RESOURCES

- © თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე, დ. გაჩეჩილაძე, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოლუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი, დ. ჰაკან ბერქ (მოფინაძე).
- © ინგლისური ტექსტის საავტორო უფლება ლადო მირიანაშვილის. კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. სააკაძის 1, თბილისი
- © T. Khutsishvili, N. Aronishidze, D. Gachechiladze, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili, D.Hakan Berk (Mofinadze).
- © The Copyright of the English translation by Lado Mirianashvili.

“Caucasus University Publishing House”, P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9888-4-4

სარჩევი

შესავალი	8
Introduction	
ძეგლების აღწერილობა	11
Descriptions of Monuments	
ავნიკი, ციხე და ურარტული წარწერა	12
Avnik, a Fortress and Urartian Inscription	
აკსიკომსი, მონასტერი	16
Aksikoms, a Monastery	
აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	19
Aksikoms, a Drywall Building Northwest of the Village	
აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით	19
Aksikoms, a Drywall Building Northward from the Village	
ალაქილისე, ეკლესია	22
Alakilise, a Church	
ალვარი, ეკლესია	25
Alvar, a Church	
ალვარი, ძველი ჯამე	26
Alvar, an Old Jamatkhana	
ანდაკა, კლდეში ნაკვეთი მონასტერი და ციხე	28
Andaka, a Rock-Cut Monastery and Fortress	
არტიფი, ეკლესია და ძველი საცხოვრებელი სახლები	31
Artif, a Church and Old Houses	
არუჩაქრაგი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის სამხრეთით	33
Arucakrag, a Rock-Cut Cave Complex Southward from the Village	
აღულლუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	36
Ağullu, a Drywall Building in Southwest of the Village	
ახა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	37
Aha, a Drywall Building Southwest of the Village	
ბადიჯუინი, ეკლესია	40
Badijuin, a Church	
ბასიანი, ეკლესია	43
Basiani, a Church	
ბასიანი, ციხე და ურარტული წარწერა	44
Basiani, a Fortress and Urartian Inscription	
ბედრევანჯი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	48
Bedrevank, a Megalithic Fortress to the Northwest from the Village	
გერდეკკაია, კოშკი	52
Gerdekkaya, a Tower	
გეჯიკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	53
Geçik, Drywall Buildings in the Northwest of the Village	
დელიბაბა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	56
Delibaba, a Fortress in the Southwest of the Village	

დელიბაბა, ძველი თურბე	57
Delibaba, Old Türbe	
დელილერი, ნაგებობა (ეკლესია / ჯამე ?)	58
Deliler, a Building (Church / Jamatkhana?)	
ეზირმიკი, ძველი თურბე	60
Ezirmik, Old Türbe	
ეიუფლერი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	63
Eyüpler, a Drywall Building Eastward from the Village	
ერზურუმ-ფასინლერის გზის მე-12 კილომეტრი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი	64
The 12th Kilometer of the Erzurum-Fasinler Road, a Rock-Cut Cave Complex	
ვანასორი, ციხე (?)	66
Vanasor, a Fortress (?)	
ვაღავერი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი	68
Vağaver, a Rock-Cut Cave Complex	
ზემო კარაკალე, მეგალითური ციხე	68
Upper Karakale, a Megalithic Fortress	
ზემო კიზილკალე, ციხე სოფლის ჩრდილოეთით	72
Upper Kizilkale, a Fortress Northward of the Village	
თავშანჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის აღმოსავლეთით	73
Tavşancık, a Rock-Cut Cave Complex Eastward from the Village	
თეფეჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ეკლესიის ბაზისები	76
Tepecik, Church Column Bases Found in the Village	
თიზგი, ოსმალური აბანო	77
Tizgi, an Ottoman Bath	
იაზილიტაში, ციხე და ურარტული წარწერა	78
Yazılıtaş, a Fortress and Urartian Inscription	
იღირბიღირი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	82
Iğırbiğır, a Drywall Buildings Northwest from the Village	
კაინარჯა, ციხე	88
Kaynarca, a Fortress	
კაინარჯა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	90
Kaynarca, a Fortress in the Southwest of the Village	
კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა	92
Kalbulas, a Fortress (?) and Urartian Inscription	
კარაველეთი, მშრალი წყობის ნაგებობა	94
Karavelet, a Drywall Building	
კარაჯავირანი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი	96
Karacaviran, a Rock-Cut Cave Complex	
კიზლარკალე, ციხე (?)	97
Kızılarkale, a Fortress (?)	
მალი კომუ, მეგალითური ციხე	98
Mali Komu, a Megalithic Fortress	
მარიფეთი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი	100
Marifet, a Rock-Cut Cave Complex	

მარიფეთი, ნაგებობა (აბანო / აკლდამა ?) სოფლის სამხრეთით	102
Marifet, a Building (Bathhouse / Burial Vault?) Southward of the Village	
მარიფეთი, ციხე (?) და კლდეზე ნაკვეთი ჯვრები სოფლის დასავლეთით	104
Marifet, a Fortress (?) and Engravings of a Cross on the Rock Surface, Westward of the Village	
მასრა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	106
Masra, a Drywall Building in the Southeast of the Village	
მალარაჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი	108
Mağaracık, a Rock-Cut Cave Complex	
მენევიურთი, მშრალი წყობის ნაგებობა	110
Menevürt, a Drywall Building	
მიადინი, ძველი თურბე	113
Miadin, Old Türbe	
მიგნარინჩი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილოეთით	114
Mıgnarınç, a Megalithic Fortress Northward of the Village	
მიგნარინჩი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით	118
Mıgnarınç, a Drywall Building Northward of the Village	
მოლამელიქი, ეკლესია (?)	121
Mollamelik, a Church (?)	
მოლამელიქი, ციხე (?) სოფლის აღმოსავლეთით	122
Mollamelik, a Fortress (?) Eastward from the Village	
პატარა ტუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	123
Little Tüy, a Drywall Building Northwest of the Village	
პორსუკი, ეკლესია	127
Porsuk, a Church	
პორსუკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	128
Porsuk, a Drywall Building Northeast of the Village	
რაბათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით	130
Rabat, a Drywall Building Westward from the Village	
სანსორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	130
Sansor, a Drywall Building in the Northeast from the Village	
სერჩებოღაზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	132
Serçeboğazi, a Drywall Building Eastward from the Village	
სურბოღანი, მეგალითური ციხე	133
Sürboğan, a Megalithic Fortress	
ტაღუნსი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი	138
Tağuns, a Rock-Cut Monastery	
ტაღუნსი, ციხე	143
Tağuns, a Fortress	
ქეივანქი, ეკლესია	144
Keyvank, a Church	
ქვემო კიზილკალე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	148
The Lower Kızılkale, a Drywall Building Eastward From the Village	
ქოფრუქოი, ხიდი	148
Köprükøy, a Bridge	

ლოჯირ კომუ, ციხე სოფლის დასავლეთით	150
Gütcür Komu, a Fortress Westward from the Village	
ჩერმიკსუ, ეკლესია	152
Çermiksu, a Church	
ჩოღენდერი, ხიდი	152
Çöğender, a Bridge	
ხანეკე, გამოქვაბულები და არქიტექტურული კომპლექსი	154
Hanega, Caves and an Architectural Complex	
ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	156
Haçlı, a Fortress in South-East of the Village	
ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთით	159
Haçlı, a Castle Southward from the Village	
ხესინკარი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი	163
Hesinkar, a Rock-Cut Monastery	
ხიდირილიასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით	166
Hıdırlıyas, a Drywall Building Northward from the Village	
ხოშაბი, ეკლესია	168
Hoşab, a Church	
ჰაიდარკომუ, სოფელთან დაფიქსირებული საფლავის ქვა	169
Haydarkomu, a Gravestone Near the Village	
ჰაიდარკომუ სუფლა, სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა	170
Haydarkomu Süfla, a Stone with Cross Image in the Village	
ჰანაჰმეტი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	170
Hanahmet, a Fortress Northeast from the Village	
ჰასანბეი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	172
Hasanbey, a Fortress Southeast of the Village	
ჰინცკი, ეკლესია	174
Hintska, a Church	
ჰინცკი, მშრალი წყობის ნაგებობა	177
Hintska, a Drywall Building	
რუკები	180
Maps	
დანართი	186
Appendix	
ლიტერატურა	195
Bibliography	

შესავალი

ბასიანი, როგორც ერთ-ერთი ისტორიული მხარე, მოიცავდა მდინარე არაქსის ზემო წელის აუზს თავისი ერთ-ერთი მარცხენა შენაკადის – ფასიანის/ფასის წყლის აუზთან ერთად. ამჟამად, თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ამ ტერიტორიას მოიცავს ერზურუმის პროვინციაში შემავალი რაიონებიდან სამი მათგანი: ფასინლერი, ქოფრუქოი და ხორასანი. ამ რაიონებში სულ 200-მდე სოფელია. ბასიანი ამასთანავე იყოფოდა 2 ნაწილად: ზემო (ფასინლერის და ქოფრუქოის რაიონები) და ქვემო (ხორასნის რაიონი) ბასიანად.

გეოგრაფიულად ბასიანი წარმოადგენს საკმაოდ ვრცელ და გაშლილ ვაკეს, რომელიც სამი მხრიდან შემოსაზღვრულია მთებით და ქედებით. მას დასავლეთიდან საზღვრავს დევებოინუს ქედი, რომელიც პალანდოკენის და კარგაფაზარის მთებს შორისაა მოქცეული, ჩრდილოეთიდან კარგაფაზარის მთები და მისგან აღმოსავლეთით გაწოლილი ქედი სარიყამიშის მთებამდე, სამხრეთიდან კი შახველეთის და ჩაქმაქის მთები.

ისტორიული წყაროებიდან ჩანს რომ მხარე, უძველესი დროიდანვე თავისი სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე დიდ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა სახელმწიფოებში. შესაბამისად, ეს ტერიტორია ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში. ასურეთი, ურარტუ, დიაოხი, რომის იმპერია, სომხეთი, სპარსეთი, არაბეთი, საქართველო, თურქ-სელჩუკები – ეს იმ სახელმწიფოების და იმპერიების არასრული ჩამონათვალია, რომელთა შემადგენლობაშიც ბასიანი გარკვეული პერიოდი შედიოდა ხოლმე.

საინტერესოა, უშუალოდ საქართველოს და ბასიანის მხარის ურთიერთმიმართება ისტორიულ-პოლიტიკურ ჭრილში. თუ გადავხედავთ ანტიკურ, ბიზანტიურ და ქართულ წყაროებს, დავინახავთ, რომ ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული ჯერ იბერიის სამეფოს, შემდგომ ტაოს ქართველთა სამეფოს და XI საუკუნიდან უკვე საქართველოს, ბასიანის დაუფლებისთვის და პოლიტიკური გავლენის გავრცელებისთვის პერიოდულად უწევდათ ბრძოლა სომხებთან, არაბებთან, ბიზანტიელებთან, სელჯუკებთან და ბოლოს უკვე ოსმალეთის იმპერიასთან.

სტრაბონის მიხედვით, ჯერ კიდევ ახ. წ. I ს-ში საზღვარი იბერიასა და არმენიას შორის არაქსზე გადიოდა. ამის გამო ბასიანის ჩრდილოეთი მხარე იბერიის შემადგენლობაში შედიოდა. ამ მხარის დაუფლებისთვის X საუკუნიდან უკვე განსაკუთრებით აქტიურობენ ტაოს ქართველთა სამეფოს მმართველი ბაგრატიონები - ბასიანის არაბებისაგან გასანთავისუფლებლად ბიზანტიის იმპერიას ეცილებიან. საბოლოოდ, ბიზანტიასა და იბერიას (ტაოს) შორის საზღვარი კვლავ არაქსზე იდებოდა და ბასიანის ჩრდილოეთი ნაწილი იბერიაში ექცევა.

ასევე, X საუკუნის 70-იანი წლებიდან ბიზანტიის იმპერატორი, ბასილი II დავით კურაპალატს გარკვეული სამსახურის გაწევის სანაცვლოდ (სამხედრო დახმარების), დროებით მმართველობაში გადასცემს მიწებს, რომელთაც ქართულ წყაროში „ზემონი ქვეყანანი“ ეწოდება. ჩამოთვლილ მხარეთა შორის მოხსენიებულია მთლიანად ბასიანის მხარე. XIII საუკუნის დასაწყისში, ბასიანში გამართული ბრძოლა სელჯუკების კოალიციურ ჯარსა და ქართველების ჯარს შორის, რომელიც ბასიანის ბრძოლის სახელითაა ცნობილი, ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა, რის შემდეგაც ბასიანის მხარე კვლავ საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

XVI საუკუნის II ნახევრიდან, კერძოდ 1545 წლიდან ბასიანი საბოლოოდ გადადის ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, რასაც წინ უძღოდა ბასიანში სოფელ სოხოისტასთან ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის, რომელიც ქართველთა დამარცხებით დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ 1917 წელს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას მოჰყვა 13 ეპარქიის დაარსების შესახებ გადაწყვეტილება. ერთ-ერთი ამ ეპარქიებიდან იყო აწყურის ეპარქია, რომლის სამწყსო ტერიტორიაშიც, სხვა ისტორიულ მხარეებთან ერთად შედიოდა ბასიანი და ალაშქერტი.

ბასიანის მხარეში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესახებ საკვლევო ექსპედიციები ქართული მხარის მიერ პრაქტიკულად არ ჩატარებულა. 2022, 2023 წლებში ჩვენ მიერ ჩატარდა 2 ექსპედიცია (18 დღე) ისტორიულ ბასიანში (თანამედროვე ფასინლერის, ქოფრუქოის და ჰორასანის რაიონებში). შესწავლილ იქნა ამ მხარეში მდებარე 200-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი

მიდამოები. დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი 50-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა (ძეგლები ძირითადად თურქულ ლიტერატურაში იყო მოხსენიებული). გარდა ამისა, გამოვლინდა 40-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

წინამდებარე კატალოგი ორენოვანია (ქართული, ინგლისური) და მასში წარმოდგენილია ისტორიული ბასიანის კულტურის ძეგლები. კატალოგში შესული მასალა მოპოვებულია საკვლევო ექსპედიციების დროს და შეჯერებულია სალიტერატურო წყაროებთან. კატალოგში მოყვანილ ძეგლთა შორისაა: ეკლესიები, მონასტრები, ციხეები, მშრალი წყობის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, კლდეში ნაკვეთი კომპლექსები. აგრეთვე ცალკეული თურქული ძეგლები (ჯამეები, თურბეები და სხვა).

კატალოგი მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **“ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის”** – გამარჯვებული პროექტის – **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“** [NFR – 19 – 12539] – ფარგლებში. პროექტი განხორციელდა საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მიერ.

Introduction

Basiani, a historical region, included the upper reaches of the Araxes River together with one of its left tributaries – the Phasiani / Phasi river basin. According to the modern administrative division of Turkey, that area includes three districts of Erzurum province: Pasinler, KöprükÖy and Horasan. There are approximately 200 villages in these districts. Basiani was divided into two parts: Upper Basiani (Pasinler and KöprükÖy districts) and Lower Basiani (Horasan district).

Geographically, Basiani is a fairly wide and open plain surrounded on three sides by mountains and ridges. It is limited to the west by the mountain range Deveboynu, located between the Palandöken and Kargapazari mountains, to the north by the Kargapazari mountain, to the east by the Sariqamish mountain, and to the south by the Şahvelet and Çakmak mountains.

Historical sources show that since ancient times, the region has attracted interest of various states due to its strategic location. As a result, this area often changed hands. Assyria, Urartu, Diauehi, Roman Empire, Armenia, Persia, Arabia, Georgia, Seljuk Turks – this is an incomplete list of states and empires to which Basiani belonged at a certain time.

The relationship between Georgia and Basiani region from a historical and political points of view is of special interest. If we look at the ancient Byzantine and Georgian sources, we can see that since ancient times, first the Kingdom of Iberia, then the Georgian kingdom of Tao, and since the XI century the Kingdom of Georgia had to fight from time to time with Armenians, Arabs, Byzantines, Seljuks, and finally with the Ottoman Empire to control Basiani and spread own political influence across the region.

According to Strabo, already since 1st century AD, the border between Iberia and Armenia ran along the Araxes River. Therefore, the northern part of Basiani belonged to Iberia. Since the 10th century AD, the Bagratians who ruled the Georgian kingdom of Tao, have been particularly active to take possession of the region. Finally, the border between Byzantium and Iberia (Tao) was again established along Araxes, and the northern part of Basiani fall under Iberia.

In the 970s, the Byzantine emperor Basil II gave the lands, referred to in a Georgian written source as the “upper countries”, to David Kouropalates for temporary rule in exchange for military services. The Basiani is listed among the transferred lands. At the beginning of the 13th century, a battle known as the Battle of Basiani between the Seljuk coalition army and the Georgian army ended with a Georgian victory, after which the Basiani region again came under the political control of Georgia.

Since the second half of the 16th century, namely from 1545, Basiani finally became part of the Ottoman Empire, which was preceded by a Georgian-Ottoman battle near the village of Sohoista in Basiani, which ended with the defeat of the Georgians.

It should be noted that in 1917, when the autocephaly of the Georgian Orthodox Church was restored, among the 13 newly established dioceses was the diocese of Atzur, whose pastoral area included Basiani and Alashkert historical regions, among others.

Practically no attempts had been made by Georgian scholars for documenting monuments of material culture in the Basiani region prior to our expeditions. In 2022 and 2023, two expeditions of the 18 days duration to historical Basiani (the present-day Pasinler, KöprükÖy and Horasan districts) have been undertaken. About 200 villages, settlements and their surroundings were studied in the region. The current state of about 50 monuments known from literature has been recorded (The monuments were mostly mentioned in Turkish literature). In addition, some 40 unknown and unrecorded monuments not mentioned in the publications known to us were identified and documented.

The present catalogue is bilingual (Georgian-English). The catalogue provides information about monuments of cultural heritage in historical Basiani. The material included in the catalogue was obtained during research expeditions and compared with written sources. Among the monuments mentioned in the catalog are churches, monasteries, fortresses, drywall buildings of various purposes, rock-cut cave complexes, and some specific Turkish monuments (jamatkhanas, türbes, etc.).

The catalogue was prepared within the project “**Basiani: Bilingual Print and Online Catalogue of Material Culture Monuments**” [NFR – 19 – 12539], the winner of the “**State Scientific Grant Competition for Fundamental Research**” announced by the **Rustaveli National Science Foundation** in 2019. The project was realized by the “**Research Center of Georgian Culture and Tourism Resources**”.

ძეგლების აღწერილობა

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

Description of Monuments

The material is sorted alphabetically by the names of the described monuments.

ავნიკი, ციხე და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანის სოფელი ავნიკი, თანამედროვე გუზელჰისარი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Güzelhisar, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები განთავსებულია სოფლის ჩრდილოეთით, მასშტაბური კლდოვანი კონცხის სხვადასხვა მონაკვეთზე, სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 100-150 მეტრის მოშორებით (39°49'47.35"N 41°58'57.69"E). ძეგლის მასშტაბის გათვალისწინებით ძნელი დასადგენია მისი სრული ზომები, თუმცა სავარაუდოდ კომპლექსის საერთო სიგრძე 200-250 მეტრი, ხოლო სიგანე 100-150 მეტრი უნდა იყოს. კედლების სიმაღლე სხვადასხვა მონაკვეთზე განსხვავებულია. ზოგიერთ ნაწილში იკითხება მხოლოდ გეგმის დონეზე არსებული ნაგებობათა კვალი, რომელთა ზუსტი დანიშნულებაც უცნობია.

რთულ რელიეფზე განთავსებული ციხე-სიმაგრის ძირითადი კედლები მოშლილია. დაზიანებული და თითქმის ბოლომდე გამქრალია შიდა პერიმეტრზე განთავსებული მცირე სათავსები. ნაგებობის მთავარი სივრცის მომსახურელი გალავანი მცირე ფრაგმენტების სახითაა შერჩენილი. კლდოვან კონცხზე განთავსებული მასშტაბური ციხე-სიმაგრე ტერასულად უნდა იყოს ნაგები, სადაც იკითხება გალავანი, რომელიც მთის თხემს რელიეფის გათვალისწინებით შემოუყვება და უშუალოდ შიდა პერიმეტრზე ნაგები ნაწილები, რომლებიც პირობითად ციტადელად უნდა მივიჩნიოთ. არსებული მასალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების მძლავრ ციხე-სიმაგრესთან ან თუნდაც ციხე-ქალაქთან, რომლის შემორჩენილი კედლებიც არაერთი გადაკეთების კვალს ატარებს. საფასადო ნაწილებზე განირჩევა ორი სამშენებლო ფენა. კედლების ძირითადი ნაწილები ნაგებია დულაბზე - დაახლოებით 1.5-2 მეტრის სისქის კედლები მოყვითალო-რუხი ფერის მცირე ზომის კვადრებითაა ნაგები, ხოლო მათ შორის სივრცე სქელ დულაბზეა ამოყვანილი.

ციხეს ჰქონდა ურარტული წარწერა, რომელიც ამჟამად ერზურუმის მუზეუმშია დაცული. წარწერა გამოქვეყნებულია თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 139). გათავაზობთ წარწერის თარგმანს:

„... სიცოცხლე (?), (იმის მნიშვნელობა) დან გამომდინარე (?) (მისი) იქიდან მოაშორებინა (?). არგიშთის ძე სარდური, ძლიერი მეფე (და) ქალაქ ტუშპის მმართველი.“ [თურქულიდან თარგმნა ბ. გოზალიშვილმა].

Avnik, a Fortress and Urartian Inscription

Avnik, a village in historical Basiani, the modern Güzelhisar, Köprüküy District, Erzurum Province (Güzelhisar, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

The ruins of the monument are located northward of the village, on different sections of a large rocky “promontory”, approximately 100-150 meters away from the center of the village (39°49'47.35"N 41°58'57.69"E). Due to the extremely large scale of the monument, it is difficult to determine its full size, although the total length of the complex should be 200-250 meters, and the width should be 100-150 meters. The height of the walls varies from place to place. In some places, only traces of existing walls can be seen at the level of the floor plan. The exact purpose of these structures is unknown.

The main walls of the fortress, located on a complex relief, are ruined. The small rooms within the inner perimeter of the defensive wall are also ruined. They were demolished almost to the ground. The wall surrounding the main space of the monument is preserved in small fragments. A large-scale monument located on a rocky “promontory” is a terraced fortress. Its two main parts can be distinguished: a) the outer defensive wall, which runs along the slopes of the ridge, and b) the citadel – constructions built on the inner perimeter. Based on the available materials, it can be said that it is a powerful medieval fortress or even a fortress-city, whose preserved walls bear the traces of numerous reconstructions. Two construction layers are distinguished on the facade. The main parts of the walls are built with mortar. The walls are approximately 1.5-2 meters thick. They are built of small yellowish-gray blocks and the space between them is filled with a cobblestone mortar.

Once the fortress had an inscription in Urartian language, which is currently preserved in the Erzurum Museum. The inscription is published in Turkish literature (Özgül 2011: 139). We offer the translation of the inscription:

“Took (?) the life (?) from there, based on its (?) (significance). Sardur, son of Argishti, the mighty king (and) the ruler of the city of Tushpa.” [Translated from Turkish into Georgian by B. Gozalishvili].



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)




ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view




ფოტო/Photo 3, 4. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments



ფოტო/Photo 5. გალანის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments



ფოტო/Photo 6, 7. გალანის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 8. ციხის გეგმა (წყარო: Subaşı 2010: 225, ფოტო 32) / Ground plan of the fortress (Source: Subaşı 2010: 225, Photo 32)



ფოტო/Photo 9. ურარტული წარწერა (წყარო: Karageçi და Günaşdı 2019: 666, ფოტო 8) / Urartian inscription (Source: Karageçi and Günaşdı 2019: 666, Photo 8)



ფოტო/Photo 10. ურარტული წარწერის სქემატური გამოსახულება (წყარო: Özgül 2011: 234, ფოტო 90) / Drawing of the Urartian inscription (Source: Özgül 2011: 234, Photo 90)

აკსიკომსი, მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენის, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სამონასტრო კომპლექსის ნაშთები მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მთის ფერდის მოსწორებულ ბაქანზე, სოფლიდან დაახლოებით 700-800 მეტრის მოშორებით (40°01'29.46"N 41°43'05.13"E). არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით რთულია ძეგლის ზუსტი ზომებისა და საერთო მასშტაბის დადგენა. ტერიტორიაზე ფიქსირდება მინიმუმ ორი სხვადასხვა ტაძრის სამშენებლო ფენა, რომელთა ნანგრევებიც ერთმანეთშია არეული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთი ეკლესიის სიგრძე დაახლოებით 16-18 მეტრი, ხოლო სიგანე 10-12 მეტრამდე უნდა ყოფილიყო - მისი კედლების სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. მეორე ნაგებობის კვალი თითქმის აღარ აღინიშნება - შემორჩენილია მხოლოდ ძეგლის ნანგრევები.

აღსანიშნავია, რომ კომპლექსი მოსაზღვრული იყო გალავნით, რომლისგანაც მცირე ფრაგმენტებია გადარჩენილი. გალავნის შიგნით მოქცეული ტაძრების ნანგრევები ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული. ფეხზე მდგომი სახით დარჩენილია მხოლოდ ერთი ტაძრის დასავლეთი მონაკვეთი. წარმოდგენილია, სახურავჩაქცეული მცირე ფრაგმენტი, სადაც ერთგვაროვანი სიმაღლის სამი (დასავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი) კედელი იკითხება. ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი სრულადაა განადგურებული და ნანგრევების გროვადაა ქცეული. საყურადღებოა, რომ არსებობს აღნიშნული ძეგლის საარქივო ფოტო, რომლის მიხედვითაც ნათლად იკითხება კომპლექსის საერთო სახე და მისი შემადგენელი ნაწილების ზომები და მასშტაბი. ჩანს, როგორც მაღალი გალავანი, ისე მის შიგნით მოქცეული სამონასტრო ნაგებობები. ხსენებული ყველა სათავსი თუ გარკვეული დანიშნულების შენობა - გალავნის ჩათვლით, ნატეხი ქვითაა ნაგები, განსხვავებით ცენტრში მოქცეული გუმბათოვანი ტაძრისა, რომელიც კარგად დაჭრილ-დამუშავებული კვადრებითაა ნაშენი. ეს უკანასკნელი ფოტოს მიხედვით თითქმის სრულადაა შემორჩენილი. საარქივო ფოტოს მიხედვით ნაგებობა, რომელიც სადღესოდაა შემორჩენილი, დაახლოებით იმავე მდგომარეობაშია. ამრიგად, სხვადასხვა დროის სამშენებლო პერიოდის სამონასტრო კომპლექსი ორ ეკლესიას მოიცავდა, რომელთაგან ერთი საარქივო ფოტოზე იკითხება და დღეს სრულადაა განადგურებული, ხოლო მეორე ამ გუმბათოვანი ტაძრის დასავლეთით, მასზე მიჯრით მიდგმული, შედარებით უფრო ძველი ტაძარი - საარქივო ფოტოზეც კი მისი მხოლოდ დასავლეთი ნაწილია დარჩენილი. ერთმანეთის პირისპირ ნაგები ტაძრებიდან გუმბათოვანი შედარებით მოგვიანო ხანისაა, ხოლო მის უკან დარჩენილი ნაშთი, რიყისა და ნატეხი ქვის საფასადო წყობით - ადრეულია. ამჟამად შემორჩენილი ძველი ეკლესიის ნაშთი შედგება დასავლეთი ნაწილისგან, სადაც ჩანს გუმბათოვანი ეკლესიის მცირე მონაკვეთი. მისი საფასადო წყობა შემორჩენილია, თუმცა ინტერიერში კვადრების დიდი ნაწილი დაკარგულია.

თურქი მკვლევარი სევანი ნიშანიანის ცნობით, ეს ძეგლი იყო სომხურ წყაროში (სტეფანოს ტარონეცი X-XI სს.) მოხსენიებული აკსიკომის მონასტერი. ძეგლი, ასევე მოხსენიებული აქვს რამდენიმე თურქ მკვლევარს, რომლებიც მას ციხედ მოიხსენიებენ.

Aksikoms, a Monastery

Aksikoms, a village in historical Basiani, the modern Demirdöven, Pasinler District, Erzurum Province (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The ruins of the monastery complex are located southwest from the village, on a flat surface of the mountainside, approximately 700-800 meters away from the village (40°01'29.46"N 41°43'05.13"E). Taking into consideration the current poor state of the monastery, it is difficult to determine the exact dimensions and general scale of the monument. There are at least two different churches at the site, the ruins of which are intermingled. It can be assumed that one church should have been approximately 16-18 meters long and 10-12 meters wide. The height of its walls is 5-6 meters. Traces of the second building are almost no longer visible: only the ruins remain.

It should be noted that the complex was surrounded by a wall, small fragments of which have been preserved. The ruins of the churches inside the wall are arranged side by side. Only the western part of one of those churches remains. A small part of the building with collapsed roof survived with three walls of the same height (west, south

and north). The eastern part of the building was completely destroyed and turned into a pile of rubble. It should be noted that there is an archival photograph of the mentioned monument, which clearly shows the general appearance of the complex and the dimensions and scale of its parts. You can see both the high defensive wall and the monastic buildings within it. All the above-mentioned constructions and certain purpose buildings, including the defensive wall, are built of rubble, unlike the domed church in the middle, which is built of the well-hewn square blocks. The latter is almost completely preserved. According to the archive photo, the building that survived to this day, is in about the same condition. Thus, the monastery ensemble from different construction periods included two churches, one of which can be seen in the archive photo. The latter is now completely destroyed. Another, the older church was attached to the west side of the domed church. When the archive photo was taken, only its western part remained. Of the two churches, the domed church is from a relatively later period, while the adjacent church, the facade of which is laid in courses of cobble stone and rubble, dates to the earlier period. Only the western part of the older church survives with a small fragment of the domed structure. Its facade remains, although most of the interior wall cladding is gone.

According to the Turkish scholar Sevan Nişanyan, this monument is the Aksigom monastery mentioned in an Armenian written source (Stepanos Taronets, 10th-11th centuries). The monument is also mentioned by several Turkish scholars who call it a fortress.



ფოტო/Photo 1. მონასტრის საარქივო ფოტო / An archival photo of the monastery



ფოტო/Photo 2. ეკლესიის საერთო ხედი / Church, general view



ფოტო/Photo 3. ეკლესიის ხედი ჩრდილოეთიდან / Church, view from the north



ფოტო/Photo 4. ეკლესიის ხედი დასავლეთით / Church, view looking west



ფოტო/Photo 5. ეკლესიის ინტერ. კამარის სამხრ. ფრაგმ. / Church interior. South fragment of the barrel vault



ფოტო/Photo 6. ეკლესიის ინტერ. კამარის ჩრდ. ფრაგმ. / Church interior. North fragment of the barrel vault

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენის, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli). ნაგებობა მდებარეობს სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 3.5 კილომეტრის მოშორებით, მთის თხემზე (40°03'25.58"N 41°42'25.06"E). მისი ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. როგორც Google Earth რუკაზე ჩანს, ნაგებობა მართკუთხა გეგმარებისაა. საფიქრებელია, რომ შენობა ნაგებია უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის ქვით. ნაგებობის სიგრძე 45 მეტრია, ხოლო სიგანე 30 მეტრი.

Aksikoms, a Drywall Building Northwest of the Village

Aksikoms, a village in historical Basiani, the modern Demirdöven, Pasinler District, Erzurum Province (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The construction is located in the northwest from the village, about 3.5 kilometers away from it, on a mountain ridge (40°03'25.58"N 41°42'25.06"E). We were unable to investigate it on site. As can be seen on the Google Earth map, the building is rectangular in shape. It is conceivable that the building was constructed of roughly hewn medium-sized stone. The building is 45 meters long and 30 meters wide.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)

აკსიკომსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენის, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით, პატარა გორაკის თხემზე, მდებარეობს ნაგებობის მცირე ნაშთები (40°03'20.76"N 41°43'39.24"E). ძლიერ დაზიანებული შენობა სრული სახით გეგმის დონეზეც კი არ იკითხება. წრიული გეგმარების შენობის ნაშთები შემადღებული ბორცვის ბუნებრივ რელიეფს შემოსდევს და მისი დიამეტრი დაახლოებით 30-35 მეტრი უნდა იყოს, ხოლო ზედაპირზე შემორჩენილ კედელთა მაქსიმალური სიმაღლე 1-1.2 მეტრს აღწევს. გალავნის ძირითადი კედლების ნაშთების გარდა, ნაგებობის ტერიტორიაზე იკითხება „შიდა უბნების“ მომნიშვნელი,

კონსტრუქციული თუ ფუნქციური დანიშნულების კედელთა ნაწილები. ფრაგმენტულად ჩანს კედლის შემორჩენილი წყობის ნაწილები, როგორც „გალავანზე“, ისე შიდა პერიმეტრზე - ერთ-ერთ ასეთ მონაკვეთზე იკითხება წყობის რამდენიმე რიგი, სადაც გვხვდება მშრალი წესით ნაგები კედლები. გალავნის კედლები საკმაოდ მძლავრია - კედლები გარე და შიდა პირზე გასწორებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ შორის არე, დაახლოებით 2 მეტრი, ამოვსებული მცირე ზომის ქვა-ყრილებით. გარდა შენობის ძირითადი მონაკვეთის მომსახურელი კედლებისა, „ინტერიერში“ იკითხება მრავალი სათავსის ნაშთი, რომლებიც ნაგებობის შიდა ტერიტორიაზე ფუნქციურ და კონსტრუქციულ ნაწილებს წარმოადგენდა.


ნაგებობის მდებარეობის, მისი განთავსების არეალის, გეგმარებითი სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკის, ქვის სახეობის და წყობის ხასიათის თუ საერთო პროპორციების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ტიპს განეკუთვნება.

Aksikoms, a Drywall Building Northward from the Village

Aksikoms, a village in historical Basiani, the modern Demirdöven, Pasinler District, Erzurum Province (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

Northward from the village, about 3 kilometers away, there are small remains of a building on the crest of a small hill (40°03'20.76"N 41°43'39.24"E). A badly damaged building cannot be conceived as a whole, even at plan level. The remains of the circular building follow the natural relief of the rising hill and should have a diameter of about 30-35 meters, and the maximum height of the walls remaining on the surface is 1-1.2 meters. In addition to the remains of the defensive wall, the wall parts delimiting “internal areas” of different structural and functional purposes can be found on the site of building remains. The remaining fragmentary parts of the stone piles are visible both on the “defensive wall” and on the inner perimeter. In one of those parts, you can see several rows of dry walls. The defensive wall is quite wide. It seems that first were constructed the outer and inner surfaces of the wall, and next, the space between them, about 2 meters wide, was filled with small stones. In addition to the walls surrounding the main parts of the building, the “interior” includes the remains of many rooms that were functional and structural parts of the internal area of the building.

Based on the location of the building, its placement area, design structure, construction technique, stone type and stonework method, as well as its general dimensions, there is reason to assume that the monument belongs to the type of megalithic defensive architecture.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. 4. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments



ფოტო/Photo 5. განძის მაძიებელთა განათხარი / Treasure hunters' dig



ფოტო/Photo 6. ნაგებობის ინტერიერის ფრაგმენტები / Fragments of the building's interior

ალაქილისე, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ალაქილისე, თანამედროვე იეშილდერე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yeşildere, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ნაეკლესიარი სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით, მცირე ბორცვზეა განთავსებული, რომელიც სოფელს გადაჰყურებს (40°07'28.94"N 42°05'18.69"E). ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ის გასულ საუკუნეში აუფეთქებიათ. აფეთქების მიზეზი ის გახლდათ, რომ მოცემული შენობა სავარაუდოდ სომხურ ეკლესიას წარმოადგენდა, რასაც მოწმობს კიდევაც სოფლის ძველი სახელწოდება - „ალაქილისე“, რაც ითარგმნება, როგორც წითელი ეკლესია. ადგილობრივების ზუსტი მითითებით და ნაწილის მახსიერებით აქ მდგარა ეკლესია, რომლის სამშენებლო მასალადაც გამოყენებული იყო წითელი შეფერილობის ქვა. მომდევნო პერიოდში ეს ადგილი სამხედრო მიზნით გამოიყენებოდა და სწორედ ამ დროს იქნა ბორცვის ერთ ნაწილზე დასხმული ბეტონის საკმაოდ მოზრდილი ბაქანი. ბორცვის თავზე არსებული ტერიტორია სადღეისოდ სრულად ნანგრევების სახითაა წარმოდგენილი, სადაც ერთმანეთშია არეული, როგორც ეკლესიის, ისე მოგვიანო სამხედრო დანიშნულების სტრუქტურა. ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად იკითხება ეკლესიის ნაწილები, მისი შვერილები და აფეთქებული ნაგლეჯები, ჩანს სქელი ფენა დულაბნარევი ქვებისა. ეს წარმოადგენდა ტაძრის კედლების ძირითადი კონსტრუქციული ნაწილების პერანგის შიდა მასას, რომელიც გარედან საფასადო წყობით უნდა ყოფილიყო დაფარული. ნაგებობის სიახლოვეს და უშუალოდ მის პერიმეტრზე გვხვდება სხვადასხვა ზომის კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

ადგილზე დარჩენილი დულაბის ფენების, მათი ზოგადი ფორმებისა და კონტურების მიხედვით მიგვაჩნია, რომ საქმე უნდა გვექონდეს გუმბათოვან ტაძართან. ამის დასტურად შეიძლება გამოდგეს, ერთი მხრივ ის მასური მოცულობა, რომელიც პერიმეტრზეა გაშლილი, ყოფილი ტაძრის სახით, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ დულაბიანი ფრაგმენტები, სადაც განირჩევა გუმბათქვეშა კონსტრუქციის ელემენტები. ყურადღებას იქცევს ერთი მცირე დეტალი, რომელიც ჩვენი ხედვით ლორფინის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ეს მცირე ფრაგმენტი წითელი შეფერილობისაა და შესაბამისად, ჩნდება მოსაზრება, რომ სახელწოდება - „ალაქილისე“, წითელი ეკლესია - შესაძლოა სწორედ ამიტომ ეწოდებოდა. ამგვარად, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ტაძრის კედლები კი არა, ლორფინის გადახურვა იყო წითელი და სწორედ აქედან გაჩნდა სახელწოდებაც.

Alakilise, a Church

Alakilise, a village in historical Basiani, the modern Yeşildere, Horasan district, Erzurum Province (Yeşildere, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The site of the church is located on a small hillock that overlooks the village, approximately 400 meters eastward of it (40°07'28.94"N 42°05'18.69"E). According to local residents, the building on a hillock was exploded in the last century. The reason for the explosion was that the building was probably an Armenian church, which is evidenced by the old name of the village – “Alakilise”, which can be translated as the red church. Locals remember that the church was built of red stone. Later the church was used for military purposes. A large concrete platform was built on one part of the hillock. The area on top of the hillock is now in ruins: the demolished parts of both the church and the later military structure are mixed together. Stones embedded in a thick layer of mortar can be seen in the area where church parts, rubble and exploded fragments are now found. These are the fragments of the inner-body-frame of the church, the façade of which was probably faced with finely-dressed stones. Pottery sherds of different sizes can be found in the vicinity of the monument and directly within its perimeter.

Based on the preserved mortar and stone fragments, their general shapes and contours, we consider that the building was a domed church. This is corroborated not only by numerous fragments scattered around the perimeter, but also by individual fragments from which the elements of the under-dome structure can be distinguished. A small piece of a flat stone caught our eye. It is probably a stone tile used to cover roofs. The fragment is reddish. Based on this feature, we assume that the village and church were called “Alakilise” because of the red colour of the dome roof and not because of the red colour of the church walls.



ფოტო/Photo 1. ეკლესიის ნანგრევები / Ruins of the church



ფოტო/Photo 2. ჩამოქცეული გუმბათი / The collapsed dome



ფოტო/Photo 3. ეკლესიის ტერიტორია / Site of the church



ფოტო/Photo 4, 5. ეკლესიის სამშენებლო მასალები / The materials used in church construction



ფოტო/Photo 6, 7. კერამიკის ფრაგმენტები ეკლესიის ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site of the church

ალვარი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ალვარი, თანამედროვე ალვარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის განაპირას, ცენტრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 0.6 კილომეტრის მოშორებით ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს კონკრეტულ მონაკვეთს, სადაც ეკლესია უნდა მდგარიყო (39°56'48.56"N 41°36'38.93"E). დასახელებული ადგილი წარმოადგენს მცირე ბორცვს გაშლილ მინდვრებზე - ბაქანი მინდვრის დონიდან დაახლოებით 1.5-2 მეტრითაა ამოზრდილი, ხოლო მისი სიგრძე-სიგანე 7x8 მეტრია. ბორცვი ბუნებრივი წარმონაქმნი არ უნდა იყოს - ესაა გაშლილ ველზე მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებული, წრიული მოხაზულობის მქონე, შემალემა ზედაპირმოსწორებული ბაქნით. აღნიშნული ბორცვის ქვეშ შემორჩენილი უნდა იყოს თავდაპირველი ნაგებობის საძირკველი და გეგმარება, რომლის წაკითხვაც ნათელს მოჰყვანს ძეგლის ფუნქციას. რეგიონში მიკვლეული რამდენიმე ოსმალური აკლდამა, ზოგადი პროპორციებით, გეოგრაფიული განთავსების არეალითა და მის ირგვლივ არსებული, ხელოვნურად მოსწორებული ბაქნით, ამკარა სიახლოვეს ავლენს მოცემული ტერიტორიის გარეგნულ იერ-სახესთან.

Alvar, a Church

Alvar, a village in historical Basiani, the modern Alvar, Pasinler District, Erzurum Province (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

On the outskirts of the village, northward from the center, about 0.6 kilometers away, local residents point to the place where the church should have stood (39°56'48.56"N 41°36'38.93"E). The mentioned place is a mound in an open field. The leveled surface is raised approximately 1.5-2 meters above the level of the field. Its length and width are 7x8 meters. The mound does not have to be a natural formation - it is a more or less structured circular rise in an open field with a flat top. The foundation of the original building must be preserved under the said mound outline of which will shed light on the function of the monument.

The similarity of the site under consideration with the sites of Ottoman-era tombs found throughout the area, namely the general size and geographic location of the mound, and its artificially leveled top, gives reason to think that it is a burial mound.



ფოტო/Photo 1, 2. ეკლესიის ადგილის საერთო ხედი / General view of the church site



ფოტო/Photo 3, 4. ძეგლის ტერიტორიაზე არსებული ფრაგმენტები / The site of the monument, fragments

ალვარი, ძველი ჯამე

ისტორიული ბასიანის სოფელი ალვარი, თანამედროვე ალვარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრში და წარმოადგენს ჯამეს ($39^{\circ}56'29.85''N$ $41^{\circ}36'45.08''E$), რომელიც მოიცავს დაახლოებით 8-9 მეტრის სიმაღლის მინარეთს. შენობის ძირითადი კორპუსის დაახლოებითი სიგრძე-სიგანე 12x10 მეტრია და შედგება რამდენიმე ოთახისგან. ძველი ნაწილობრივ თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, თუმცა განირჩევა მოგვიანო გადაკეთებების კვალი, როგორც გარე მასებში, მინაშენებით, ისე ინტერიერში გადაკეთებულ-გადაღებული კედლების სახით. ყველაზე უკეთ შემორჩენილ ნაწილს ჯამეს ცენტრალური დარბაზი წარმოადგენს, სადაც იკითხება აღნიშნული არქიტექტურისთვის სახასიათო ყველა ელემენტი. ინტერიერში გვხვდება საფეხუროვანი წყობით გადაწყვეტილი ჭერი, რომლის ცენტრალური კვადრატი გაფორმებულია ხეზე კვეთის ელემენტებით. მოცემულია შიდა კვადრატის მარგანიზებული ოთხი სვეტი დამუშავებული დაროვანი ჩანაკვითებით. აღნიშნული დარბაზის შიდა ტერიტორიაზე, სამი მხრიდან, მსუბუქი კონსტრუქციის მქონე ღია მეორე სართულია წარმოდგენილი. ცენტრალურივე დარბაზის სხვადასხვა კედელში განთავსებულია რელიეფური თავსართებით დასრულებული ნიშები, რომელთაგან ერთი, მიჰრაბი, მხატვრული თვალსაზრისით განსაკუთრებით აქცენტირებულია - მის დეკორად სტალაქტიტური გაფორმების ორნამენტია მოცემული. შენობის ინტერიერში ხის დეკორირებული კარნიზების არეზე, საღებავის ქვეშ, აღიქმება არაბულენოვანი წარწერები.

შენობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი წრიული გეგმარების მქონე მინარეთია, რომელიც კარგად დამუშავებული, რუხი ფერის მოზრდილი კვადრებითაა ნაგები. მინარეთის ცილინდრული მასის შუა მონაკვეთზე წარმოდგენილია ამავე ფორმის შვერილი აივანი. მის ინტერიერში ნათლად იკითხება დიდი ოსტატობით შესრულებული ჩახვეული კიბის უჯრედი.

ზოგადი არქიტექტურული ნიშნების მიხედვით საფიქრებელია, რომ ჯამე XVIII ან XIX საუკუნეებშია აგებული.

Alvar, an Old Jamatkhana

Alvar, a village in historical Basiani, the modern Alvar, Pasinler District, Erzurum Province (Alvar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).


The structure is located in the center of the village. This is a Jamatkhana with 8-9 meters high minaret ($39^{\circ}56'29.85''N$ $41^{\circ}36'45.08''E$). The main part of the building is approximately 12 meters long and 10 meters wide. It consists of several chambers. The monument is partially preserved in its original form, however, there are traces of later reconstructions, both of the exterior and interior in the form of renovated and painted walls. The best-preserved part is the central hall of the Jamatkhana, where all the elements characteristic of the mentioned architecture are present. The interior has a stepped ceiling, the central square of which is decorated with wood carvings. It has four columns decorated with grooves. The interior space is divided by the columns. Within the aforementioned hall, on three sides, there is an open second floor with light construction. Walls of the central hall have niches finished with relief capitals, one of which, the mihrab decorated with stalactite decoration, is a real masterpiece of art. In the interior of the building, in the area of decorated wooden cornices, inscriptions in Arabic can be seen under the paint.

One of the most important parts of the building is a round minaret of well-made gray blocks. In the middle of the cylindrical mass of the minaret, a circular balcony protrudes from the wall. A spiral staircase made with great skill can be seen in the interior.


Taking into consideration the style and architectural features of the Jamatkhana, it can be dated to the 18th or 19th century.



ფოტო/Photo 1. ჯამეს საერთო ხედი / Jamatkhana, general view



ფოტო/Photo 2, 3, 4. ჯამეს ინტერიერი / Jamatkhana, interior



ფოტო/Photo 5. ჯამეს ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით / Interior of Jamatkhana, looking east



ფოტო/Photo 6. ჯამეს მინარეთის კიბის უჯრედი / Stairs inside the minaret of Jamatkhana

ანდაკა, კლდეში ნაკვეთი მონასტერი და ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ანდაკა, თანამედროვე იარბოლაზი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yarboğaz, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით არსებულ კლდოვან ქარაფზე (39°57'16.01"N 42°12'41.12"E). გაშლილ სივრცეში, ფერდობებზე ამოზრდილი კლდოვანი მასის ზედაპირი ციხეს, ხოლო თავად კლდის ქარაფები გამოქვაბულთა კომპლექსებს ეკავა. სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ ქვაბულთა ნაწილი, ხოლო ციხის კვალი არ იკითხება.

კლდოვანი ქარაფის ზედაპირზე, ერთმანეთისგან სხვადასხვა მანძილით დაშორებული მცირე და დიდი ზომის ქვაბებია ნაკვეთი. დაახლოებით ცენტრალურ მონაკვეთზე გვხვდება შედარებით დიდი ზომის, რამდენიმე სათავსისგან შედგენილი, ჯგუფი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა დანიშნულების სათავსებს. სწორედ მდებარეობს კომპლექსის ფუნქციური, არქიტექტურული თუ მხატვრული თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი - ეკლესია. ტაძარი მცირე ზომის დარბაზია, რომლის აღმოსავლეთითაც მოცემულია ნახევარწრიული აფსიდა. საკურთხეველი შემადღებულია, ხოლო აფსიდში გვხვდება მცირე ზომის ნიშები. ეკლესიის სივრცეში, დაზიანებულ ქანებზე განირჩევა რამდენიმე სომხური გრაფემა. მკვეთრად იკითხება ორი მათგანი, ხოლო დაზიანებულ არეზე შესაძლოა ყოფილიყო ბევრად ვრცელი ნაწილი. კედლებზე მრავლადაა ნაკვეთი მცირე და საშუალო ზომის, მარტივი პროფილირების ჯვრები. საერთო ჯამში მთელი კლდოვანი მასივი მოიცავს რამდენიმე ერთეულ გამოქვაბულს, რომლებიც სართულებადაა განლაგებული - ჩანს მცირე ზომის კონსტრუქციული დეტალები, არქიტექტურული ელემენტები და ა.შ. კომლპექსის პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა დროისა და დანიშნულების კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები.

დამატებითი კვლევების გარეშე, არსებული რეალობა ისე წარმოგვიდგება, რომ ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა ტაძარს და მის დამატებით სათავსებს, ხოლო კლდის ქარაფის სხვადასხვა არეზე განთავსებული იყო სენაკები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსები.

Andaka, a Rock-Cut Monastery and Fortress

Andaka, a village in historical Basiani, the modern Yarboğaz, Horasan district, Erzurum Province (Yarboğaz, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The monument is located approximately 400 meters from the center of the village on a cliff (39°57'16.01"N 42°12'41.12"E). The fortress stood on a rocky outcrop, and a complex of rock-cut caves was found in the cliff face. Only a few caves have survived. Now there is no sign of the fortress.

Small and large caves can be seen on the cliff face. They are rock cut at different distances from each other. Around the middle, there is a group of relatively large caves for various purposes. Here you can find the functionally, architecturally and artistically most important part of the complex – the rock-cut church. The church is a small hall with a semicircular apse on the east side. The altar floor is raised, and there are small niches in the apse. Several Armenian graphemes can be distinguished on the damaged rock wall within the church. Two of them are clearly legible. There should have been more graphemes on the damaged surface. There are many small and medium-sized simple crosses on the walls. In general, the entire rock mass contains several individual caves, which are arranged in several tiers. Small structural details, architectural elements, etc. of the caves are visible. Within the perimeter of the monument, you can find pottery sherds from different time periods and of different purposes.

At the current stage of the research, it can be assumed that the main accent was made on the rock-cut church and its parts. Monastery cells and utility caves were scattered on the cliff face.



ფოტო/Photo 1. მონასტრის და ციხის მდებარეობა (Google Earth) / Locations of the monastery and fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. მონასტრის საერთო ხედი / Monastery, general view



ფოტო/Photo 3. გამოქვაბულები კლდის პირზე /
Caves in the rock face



ფოტო/Photo 4. კლდეში ნაკვეთი სათავსი /
Rock-cut room



ფოტო/Photo 5. საკურთხევლის აფსიდი /
Altar apse



ფოტო/Photo 6. კლდეში ნაკვეთი სათავსი /
Rock-cut room



ფოტო/Photo 7. ჯვრის გამოსახულებები /
Cross images



ფოტო/Photo 8. სომხურენოვანი წარწერის ფრაგმენტი /
Armenian inscription, fragment



ფოტო/Photo 9, 10. კერამიკის ფრაგმენტები კომპლექსის ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site of the complex

არტიფი, ეკლესია და ძველი საცხოვრებელი სახლები

ისტორიული ბასიანის სოფელი არტიფი, თანამედროვე ოთლუქქაფი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Otlukkapı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მდებარეობდა ეკლესია (39°53'50.32"N 41°40'19.42"E). ამჟამად ეკლესიისგან არანაირი არტეფაქტი არაა შემორჩენილი. ერთ-ერთი ადგილობრივი მოსახლის თქმით, 1960-იან წლებში, ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ეკლესიის მცირე ფრაგმენტები. ხოლო მის ბაბუას, ეკლესია მთლიანი ახსოვდა და მისი თქმით ეკლესია საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო.

სოფლის ტერიტორიაზე მდებარეობს ძველი ნაგებობები - მათ შორის, სოფლის ცენტრში განთავსებულია ძველი სახლი, რომელიც მოგვიანებით ჯამედ იქნა გადაკეთებული და სახლი, რომელიც თავდაპირველი ფუნქციითაა შენარჩუნებული, თუმცა ძლიერაა დაზიანებული. სოფელში სხვადასხვა ნაგებობის ფასადზე ფიქსირდება კვეთილ-ორნამენტისანი ქვები - გაფორმებული სარკმლები და ნაგებობათა კუთხოვანი არეები. ზოგიერთ სახლში შემორჩენილია ძველი ბუხრები. გარდა ამისა, სოფლის ტერიტორიაზე გვხვდება ორნამენტირებული ქვები. ერთ-ერთი ასეთი ქვის შუა არეზე დიდი ხვრელია დატანილი, ხოლო მისი გვერდითი არეები დამუშავებულია მსხვილი ლილვებით - აღნიშნული შეიძლება სვეტის ბაზისი ყოფილიყო.

Artif, a Church and Old Houses

Artif, a village in historical Basiani, the modern Otlukkapı, Pasinler District, Erzurum Province (Otlukkapı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

According to local residents, there was a church in the middle of the village (39°53'50.32"N 41°40'19.42"E). There seems now to be no church remains on the site or nearby. According to a local resident, there were only small fragments of the church in the 1960s. His grandfather remembered the whole church, and according to him, the church must have been quite big.

There are old buildings in the village area. Among them is an old house in the center of the village, which was later converted into Jamatkhana, and a house that keeps its original structure, although very damaged. Stones with carved ornaments are used to decorate facades of some buildings in the village. The windows and corners of the houses are decorated. Some houses still have old fireplaces. In addition, there are ornamented stones in the village area. One of these stones has a large hole in the center and its side areas are decorated with a large spiral pattern. This may have been the base of a pillar.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის საერთო ხედი Building, general view



ფოტო/Photo 2, 3. ნაგებობის ინტერიერი, გადახურვის სისტემა / Interior of the building, roofing system



ფოტო/Photo 4, 5. ნაგებობის ინტერიერი, ვივრგვინი / Interior of the building, a pyramidal vault



ფოტო/Photo 6. ძველი სახლის საერთო ხედი / Old house, general view

ფოტო/Photo 7. სახლის კარი გეომეტრიული ჩუქურთმით / Door of the house with geometrical ornamentation



ფოტო/Photo 8, 9. სოფლის ტერიტორიაზე არსებული ნაშთები / Stone fragments found at the site of the village

არუჩაქრაგი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი არუჩაქრაგი, თანამედროვე ალიჩეირეკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aliceyrek, Horasan İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი სათავსების ნაშთები შემორჩენილია სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან სამხრეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალი მთის კლდოვან პირზე (40°01'38.40"N 42°18'12.02"E). სოფელში შემავალი გზის მარჯვენა მხარეს განიჩევა მხოლოდ ორი ქვაბულის მცირე ნაწილები. კლდოვანი ქანების დაზიანების გამო ჩამოშლილია ნაგებობათა „საფასადო“ ნაწილები და გამოქვაბულებიდან რეალურად იკითხება შიდა, ზურგის მონაკვეთები და ნაწილობრივ გვერდითი კედლების მცირე ფრაგმენტები. შემორჩენილი, კლდეში ნაკვეთი სათავსები სხვადასხვა ზომის და გეგმარებისაა, თუმცა ორივე მათგანი მართკუთხა მოხაზულობას უახლოვდება. მარჯვენა ქვაბული, პირობითად უფრო დიდი, შედარებით ქვემოთაა განთავსებული და მკვეთრად მართკუთხა გეგმარებისაა, ხოლო მცირე სათავსი, რომელიც მისგან მარცხენა ზედა კუთხეშია გამოკვეთილი, შიდა მხრიდან კედლის სიბრტყე რკალისებურადაა შეზნექილი და ორჯერ უფრო დაბალია. განთავსების, გეგმარების, მათი ზომების, ურთიერთმიმართებისა და კვეთის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემული სათავსები თავდაპირველად ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, თუმცა დაკარგული მონაკვეთის გამო კავშირის რა ფორმა არსებობდა არ ჩანს. ქვაბულები შეიცავს მცირე ზომის ჯვრების გამოსახულებებსა და დეკორატიული გაფორმების ელემენტებს.

საყურადღებოა, რომ დაზიანებათა მიუხედავად ერთი ქვაბულის მარჯვენა კედელზე აღიქმება რამდენიმე სომხური გრაფემა. წარწერები სავარაუდოდ ორ რეგისტრად უნდა წავიკითხოთ, საიდანაც ზედა რეგისტრი მოიცავს მინიმუმ სამ, ხოლო ქვედა ორ გრაფემას - აქედან ზედაზე წარმოდგენილია ქარაგმის ნიშანი. დაზიანებათა გამო მათი შინაარსის ამოკითხვა ვერ ხერხდება.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, დაფიქსირებულია თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 144-145), სადაც ასევე მოყვანილია ჩვენ მიერ აღწერილი ორი გამოქვაბულის გარდა სხვა გამოქვაბულები და ქვაბოვანი ეკლესია, რომელიც ექსპედიციის დროს ვერ ვნახეთ. ლიტერატურაში დამოწმებული ქვაბოვანი ეკლესიისა და ჩვენ მიერ დაფიქსირებული და აღწერილი გამოქვაბულების გათვალისწინებით, შესაძლებელია დავუშვათ, რომ განხილული ქვაბოვანი კომპლექსი მონასტერი იყო.

Arucakrag, a Rock-Cut Cave Complex Southward from the Village

Arucakrag, a village in historical Basiani, the modern Aliceyrek, Horasan District, Erzurum Province (Aliceyrek, Horasan İlçesi, Erzurum İli)

The remains of rock-cut caves are preserved near the village, approximately 1.5 kilometers southward from the center, on the rocky slope of a high mountain (40°01'38.40"N 42°18'12.02"E). Small fragments of two caves whose façades have collapsed can be seen on the right side of the road entering the village. Internal, rear and partly small fragments of the side walls of the caves can be made out. The preserved rock-cut caves are of different sizes and shapes. Both have an almost rectangular floor plan. Provisionally larger cave on the right is rock cut relatively low and is clearly rectangular in shape, while the small rock-cut cave in the upper left corner has a curved interior wall and is twice as low as another cave. Based on the location, design, dimensions, ratio and cross-sections it can be assumed that these caves were originally connected, although due to the missing part, it is not clear what kind of connection it was. In the caves, there are images of small crosses and decorative elements.

It should be noted that, despite the damage, there are several Armenian graphemes on the right wall of one of the caves. The inscriptions occupy two registers, of which there are at least three graphemes in the upper register and two graphemes in the lower one. The abbreviation mark is used in the upper register. Heavily damaged inscriptions cannot be read.

The description of the rock-cut complex can be found in a publication in Turkish (Özgül 2011: 144-145). Apart from the two caves described by our team, the above publication additionally mentions other caves, one of which is a rock-cut church, which we did not see during our expedition. Taking into consideration the presence of a rock-cut church mentioned in the Turkish publication and the two caves we documented, it can be assumed that the complex in question was a monastery.



ფოტო/Photo 1. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view



ფოტო/Photo 2. კლდეში ნაკვეთი სათავსის ფრაგმენტი / A fragment of the rock-cut room



ფოტო/Photo 3. საერთო ხედი გამოქვაბულებებისა (წყარო: Özgül 2011: 256, ფოტო 133) / Caves, general view (Source: Özgül 2011: 256, Photo 133)



ფოტო/Photo 4. ეკლესიის ინტერიერი (წყარო: Özgül 2011: 258, ფოტო 138) / Church interior (Source: Özgül 2011: 258, Photo 138)

აღუღლუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი აღუღლუ, თანამედროვე აღილი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ağılı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალი მთის თავზე, ზღვის დონიდან 2400 მეტრზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (39°53'05.76"N 42°23'58.00"E), რომლის ადგილზე შესწავლა და ფიქსაციაც ვერ მოხერხდა. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს მოცემულ ლოკაციაზე ციხის არსებობას, თუმცა უარი განგვიცხადეს ტერიტორიაზე მისასვლელი გზის ჩვენებაზე.

ნაგებობის ადგილზე შესწავლა შეუძლებელი გახდა. ჩვენ მხოლოდ მოვახდინეთ შორი დისტანციიდან რამდენიმე ფოტოს გადაღება, რაც ასევე ნათლად ასახავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მშრალი წყობის, საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობასთან. ასრებული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ესაა ოვალური გეგმარების ნაგებობა, რომლის სამშენებლო მასალადაც გამოყენებულია მოზრდილი ლოდები, რომლებიც ერთმანეთზე მშრალი წესით, დუღაბის გარეშეა ნაწყობი. ამასთანავე განირჩევა მთის თავზე, ერთგვარ ციტადელად, წარმოდგენილი ციხის ნაშთები, რომელსაც მთელ პერიმეტრზე შემოსდევს გალავანი. ციტადელის ციხის ნაწილები შეიცავს საშუალო და დიდი ზომის ქვის სამშენებლო მასალის ნაშთებს.

საყურადღებია, რომ კედლის სტრუქტურებში ჩანს თხელი ქვის ფილები, რომლებიც წყობის სრულებით განსხვავებულ სახეს ქმნის. ამგვარი სამშენებლო მასალების გამოყენების შემთხვევებში ჩვენ ხშირად ვხვდებით ე.წ. თევზისფხისებრ წყობებს.

სამშენებლო მასალის, ძეგლის მდებარეობის, მისი საერთო გეგმარების, ქვის წყობისა და სხვა დეტალების მიხედვით, საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო სისტემასთან.

Ağullu, a Drywall Building in Southwest of the Village

Ağullu, a village in historical Basiani, the modern Ağılı, Horasan District, Erzurum Province (Ağılı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

To the southwest of the village, approximately 1.5 kilometers away, on top of a high mountain, at 2,400 meters above sea level, there is a drywall building (39°53'05.76"N 42°23'58.00"E), which we did not manage to visit, document and study in situ. The local residents confirm the presence of a fortress in this place, but they refused to show us the path leading to the area.


We only managed to take a few photos from afar. You can see from the photos that it is a large drywall structure. Based on the available information, it can be said that it is an oval structure built of large boulders stacked on top of each other without mortar. Apart from that, the remains of a fortress, a kind of citadel can be seen on top of the hill. It is surrounded by defensive walls along the entire perimeter. Piles of medium and large stone building materials are found inside the citadel.

It is worth noting that thin stone slabs can be seen in the wall structures, which is an eye-catching design. In places where such construction material is used, we often find stonework where the so-called herringbone design is used.

Based on the construction material, the location of the monument, the general plan, the arrangement of stones and other details, it is a defensive and residential construction of megalithic type.



ფოტო/Photo 1, 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)

ახა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ახა, თანამედროვე კავუშტურანი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kavuşturan, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ძველი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, მაღალი მთის წვერზე, ცენტრიდან დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით (40°00'56.59"N 41°40'08.76"E). ნაგებობა მოქცეულია მთის ფერდზე არსებულ კლდოვან ბაქანზე. ძლიერ დაზიანებული და თითქმის განადგურებული ნაგებობის საერთო ზომებისა და მასშტაბის ზუსტი განსაზღვრა ვერ ხერხდება, თუმცა არსებული ნანგრევების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წრიული დაგეგმარების ამ მასშტაბური ძველის დიამეტრი დაახლოებით 60-70 მეტრი უნდა ყოფილიყო. მისგან სადღეისოდ მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი - ადგილ-ადგილ იკითხება მშრალი წყობით ნაგები კედლების მცირე მონაკვეთები.

მთის თხემზე შორიდანვე განირჩევა წრიული გეგმარების ოდნავ შემადლებული მოვაკება, რომელიც მთელ პერიმეტრზე ერთგვარ ბაქანს წარმოქმნის. ოდესღაც არსებული, განაშენიანების რეალურობას ადასტურებს ხელოვნურად შექმნილი ბაქანი მთის თავზე, დიდი რაოდენობით ფერდებზე ჩამოწოლილი ქვა-გროვები და ალაგ-ალაგ დარჩენილი კონცენტრირებული ქვა-ყრილები. მნიშვნელოვანი ფრაგმენტები იკითხება მცირე ზომის ქვა-ყრილების სახით, სადაც მოცემულია მართკუთხა და წრიული გეგმარების ნაშთები - ამჟამად, მიწით დაფარული.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას Topdağı/Küçükdağ Kalesi-ს (ზარბაზნის მთას/პატარამთის ციხეს) უწოდებს.

Aha, a Drywall Building Southwest of the Village

Aha, a village in historical Basiani, modern Kavuşturan, Pasinler District, Erzurum Province (Kavuşturan, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument is located southwest from the village, on top of a high hill, about 1.5 kilometers from the center (40°00'56.59"N 41°40'08.76"E). The building is erected on a rocky platform on the slope of the mountain. The total size and scale of the badly damaged and almost destroyed building cannot be precisely determined, but based on the existing ruins, it can be assumed that this large circular monument should have been approximately 60-70 meters in diameter. Only small fragments of it remain today: here and there one can see drywall pieces.

From a distance, a somewhat elevated circular plan can be seen, which forms a kind of platform at the top of the hill. The presence of historical buildings in the place is confirmed by an artificially created platform on the top of the hill, a large number of stone piles lying on the slopes and scattered piles of stones. The stone-piles indicate the existence of rectangular or circular buildings now covered with earth.

Based on the location of the structure, its outline, placement of stones and general design principle, it is likely that it is a defensive structure or a settlement of the megalithic culture. The local population calls it Topdağı / Küçükdağ Kalesi (Cannon Mountain / Fortress of a Little Mountain).



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. განძის მაძიებელთა განათხარი / Treasure hunters' dig



ფოტო/Photo 3. შიდა ტერიტორიაზე არსებული ფრაგმენტები / Fragments found at the site



ფოტო/Photo 4. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 5. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments

ბადიჯუინი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ბადიჯუინი, თანამედროვე ესენდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Esendere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრში, მთავარი გზის სიახლოვეს, დღევანდელი სამეურნეო და საცხოვრებელი „კომპლექსის“ შუაგულში (40°00'43.72"N 41°49'11.63"E). ძლიერ დაზიანებული ეკლესიისგან რამდენიმე ფრაგმენტი წარმოდგენილი, მაგრამ ეს ნაწილებიც მოქცეულია ახალი მშენებლობის არეალში. სავარაუდოა, რომ მისი სიგრძე დაახლოებით 25-30 მეტრი, ხოლო სიგანე 15-20 მეტრი ყოფილიყო. დღემდე სხვადასხვა მონაკვეთზე შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს, ხოლო მათი სისქე 0.9-1.3 მეტრს შორის უნდა ყოფილიყო. ნაგებობის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კედლები სრულადაა განადგურებული, ხოლო სამხრეთითა და აღმოსავლეთით სტრუქტურის ნაწილი, ძლიერ დაზიანებული სახით, მაინც შემორჩენილია. ტაძრის სამხრეთი კედლის ნაწილები მხოლოდ პერანგშემოცლილი დუღაბის სახითაა მოდწეული. აღმოსავლეთით კი იკითხება საკურთხევლისა და მის გვერდით არსებული პასტოფორიუმების ნაშთები. სამხრეთი პასტოფორიუმი დაკარგულია და მხოლოდ აფსიდის სამხრეთ კედელზე შერჩენილი ბუდეების მიხედვით შეიძლება მისი ზოგადი ზომების განსაზღვრა. საკურთხეველი ნაწილობრივია შემორჩენილი - განირჩევა აფსიდი, სადაც ქვედა ნახევარზე პერანგის წყობაცაა შემორჩენილი და მის ჩრდილოეთ მხარეს არსებული სამკვეთლო, რომელში შესასვლელი არ არსებობს ძეგლის ღია მხრიდან. დაკარგულია საკურთხევლის კონქი და საერთოდ აფსიდის ზედა ნახევრის მომპირკეთებელი წყობა. შუაზე გახლეჩილი აფსიდის ქვედა კედელი მოგვიანო წყობით სანახევროდაა შევსებული.

არსებული მდგომარეობის მიხედვით, გადაჭრით ძნელია ნაგებობის თავდაპირველი გეგმარების ზედმიწევნით ზუსტი აღდგენა - შესაბამისად, რთულია ძეგლის ტიპის განსაზღვრა. უდიდესი ალბათობით, საქმე უნდა გვექონდეს გუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშთან, რომლისგანაც მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. მნიშვნელოვანია, რომ სამკვეთლოს სათავსი თითქმის სრული სახითაა მოცემული, სადაც ჩანს მისი გეგმარება - ეს გახლავთ ჯვრის ფორმაზე განვითარებული სათავსი, რომლის აღმოსავლეთი მხარე აფსიდით სრულდება, ხოლო დანარჩენი სამი მკლავი, თითო საფეხურით, მცირედაა ჩანაკვეთი კედლის სივრცეში, რაც სათავსს ჯვრის ფორმის გეგმარებას აძლევს. სამკვეთლომ ჩვენამდე შედარებით დაუზიანებლად მოაღწია, სადაც ფიქსირდება, როგორც ზოგად-სივრცითი გადაწყვეტა, ისე მისი მხატვრული გაფორმება და ქვის მოპირკეთება. სათავსის კედლები შემოსილია რუხი ფერის, კარგად თლილი და ოსტატურად დამუშავებული, საშუალო ზომის კვადრებით, სადაც დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. ყველა თალი კუთხის არეებზე ნაკვეთ, პროფილირებულ თარო-კაპიტელს ეყრდნობა, ხოლო ჯვრული კამარის ცენტრალურ ღერძებზე, სათავსის გეგმარების დამხრობით, მოცემულია მცირე სიმაღლის რელიეფური ჯვარი. ვფიქრობთ, რომ ანალოგიური გადაწყვეტის უნდა ყოფილიყო ტაძრის სადიაკვნე.

აღმოსავლეთით შემორჩენილი სტრუქტურის, სამნაწილედ საკურთხევლის და მისი მოწყობის პრინციპების, მიხედვით დგინდება, რომ ნაგებობა გუმბათოვანი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სამხრეთი კედლის შემორჩენილი ნაწილის მიმართების მიხედვით, აღმოსავლეთით დაფიქსირებულ ნაწილებთან, თვალსაჩინო ხდება შენობის საერთო მასშტაბი. დასახელებული მონაკვეთები, მათი გეგმარებითი თავისებურება, სივრცითი კონსტრუირება, შემორჩენილ სათავსთა დამოუკიდებელი სივრცით-გეგმარებითი გააზრება, კედლების თაღოვანი სისტემები, კაპიტელებისა და კონქის გადაწყვეტა თუ შემორჩენილ არეებზე ქვის წყობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვექონდეს შუა საუკუნეების გუმბათოვანი არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშთან, რომელიც სავარაუდოდ VII-X საუკუნეების აღმშენებლობას უნდა მივაკუთვნოთ.

Badjuin, a Church

Badjuin, a village in historical Basiani, the modern Esendere, Pasinler District, Erzurum Province (Esendere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The building is located in the center of the village, near the main road, in the middle of today's agricultural and residential "complex" (40°00'43.72"N 41°49'11.63"E). Some fragments of the badly damaged church can be seen, which are included in the new construction area. It is estimated to be approximately 25-30 meters long and 15-20 meters wide. The maximum height of the walls preserved in various places to this day is 5-6 meters, and their thickness is 0.9-1.3 meters. The western and northern walls of the building are completely destroyed, and the part of the southern and eastern walls are badly damaged. Parts of the southern wall of the church survive in a form of rough walls stripped of façade stones. To the east, you can see the remains of the sanctuary flanked by the pastoforia. The southern pastoforium has gone. Its total size can only be determined from the grooves in the south wall of the apse. The sanctuary is preserved just partially: the apse, its lower half finished with façade stones, and the prothesis on the northern side, which lacks an entrance from the nave. The altar apse lacks conch, and the upper part of the apse wall lacks tiling. There is a large crack in the lower wall of the apse, splitting it in half. The crack has been filled and repaired only partially.

According to the current situation, it is difficult to accurately restore the original design of the building, which makes it difficult to determine the architectural type of the monument. We are probably dealing with a sample of domed architecture, of which only small fragments have survived. It is important that the prothesis survived in almost complete form so that its plan is clearly visible. The prothesis is a room of a cruciform plan: a semi-circular apse in the east wall and three shallow niches are creating a cross-shaped plan. The prothesis is well preserved and gives an idea of its general-spatial and artistic solution. Stone coating of the walls is also preserved. The walls are covered with gray, well-cut and skillfully worked medium-sized squares. The horizontality of the stone courses is observed. All the arches rest on carved, profiled shelf-capitals in the corner areas, and a carved cross in low relief is placed on the central axis of the cruciform ceiling of the prothesis. We can assume that the diaconicon of the church was designed in the same way.

Taking into account structure of the preserved eastern part of the church, the tripartite sanctuary and organizational principle of its arrangement, it can be assumed that the building should have been a domed structure. The total scale of the building becomes visible based on the ratio between the preserved part of the south and east walls. Planning of the above-mentioned parts, the volumetric design, design of surviving building spaces, the use of arched wall systems, the solution of capitals and altar conch, and the placement of the stones in the rest of the areas leads us to believe that we should be dealing with an outstanding example of medieval domed architecture, probably dating from the 7th to the 10th century.



ფოტო/Photo 1. ეკლესიის საერთო ხედი / Church, general view



ფოტო/Photo 2. ეკლესიის ხედი აღმოსავლეთით / Church, view looking east



ფოტო/Photo 3. ეკლესიის ხედი სამხრეთიდან / Church, view from the south



ფოტო/Photo 4. ეკლესიის სამხრეთ კედლის ფრაგმენტი / Church, south wall fragment



ფოტო/Photo 5, 6. ეკლესიის ინტერიერი, სამკვეთლო / Interior of the church, prothesis

ბასიანი, ეკლესია

ისტორიული ბასიანი, თანამედროვე ქალაქი ფასინლერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ქალაქის ცენტრში, ძველ უბანში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, მდებარეობდა ეკლესია (39°58'44.85"N 41°40'37.79"E). ამჟამად ეკლესიის ადგილას ახალი (სავარაუდოდ XIX-XX სს-ის მიჯნა) ჯამეა აღმართული, სადაც განთავსებულია წარწერა, რომ ამ ადგილას ძველი ნაგებობა იყო, თუმცა ეკლესია ნახსენები არაა.

Basiani, a Church

Historical Basiani, the modern city of Pasinler, Pasinler District, Erzurum Province (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

According to the locals, the church was located in the center of the city, in the old quarter (39°58'44.85"N 41°40'37.79"E). Currently, a Jamatkhana (probably from the end of the XIX or XX century) stands on the site of the church. The information board at the entrance says that there was originally an old building there, although there is no mention of a church.



ფოტო/Photo 1. ეკლესიის ადგილას მდებარე ჯამე, საერთო ხედი / Jamatkhana at the site of the church, general view



ფოტო/Photo 2. ჯამეზე განთავსებული წარწერა / Inscription on the Jamatkhana wall

ბასიანი, ციხე და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანი, თანამედროვე ქალაქი ფასინლერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში შემადგენელი მთის თხემზე, ცენტრიდან დაახლოებით 400-500 მეტრის მოშორებით, ცენტრალური გზის პირას (39°58'45.59"N 41°40'51.32"E). საკმაოდ მასშტაბური ციხე-სიმაგრედან სადღეისოდ მხოლოდ ნაწილია დარჩენილი. ციხის დაახლოებითი სიგრძე 200-250 მეტრი, ხოლო სიგანე 50-70 მეტრი უნდა იყოს. შემორჩენილია ნაგებობის გალავნის კედლები, რომელთა საშუალო სიმაღლე 4-5 მეტრია. მიუხედავად სარესტავრაციო სამუშაოებისა, დაზიანებულ-განადგურებულია ძეგლის სხვადასხვა მონაკვეთი, როგორც გალავნის არეზე, ისე მის შიდა ტერიტორიაზე, სადაც ფრაგმენტულად იკითხება სხვადასხვა დანიშნულების შენობის გეგმარება. საერთო სახით, ორი დონით წარმოდგენილი სიმაგრე, სადაც არსებობდა ქვედა ციხე და ციტადელი, ძლიერი დანაკარგებითაა მოღწეული დღემდე. დაზიანების ხარისხი გაცილებით დიდია ქვედა ციხის გალავნის შემთხვევაში, სადაც მხოლოდ ფრაგმენტები იკითხება. გამაგრების ციტადელი მოიცავდა სხვადასხვა დანიშნულების შიდა სათავსებს - ჩანს მხოლოდ მცირე მონაკვეთები, გეგმის დონეზე დარჩენილი კედლის ფრაგმენტები, რომელთა მიხედვითაც რაიმე ტიპის არქიტექტურაზე მსჯელობა შეუძლებელია. ქვედა ციხის კედლების პერიმეტრზე, გარკვეული ინტერვალებით მოცემულია მართკუთხა გეგმარების კომპ-კონტრფორსები და შესასვლელი კარიბჭის ფრაგმენტები. გაცილებით უფრო შთამბეჭდავი და უკეთესაა დაცული ციტადელი და განსაკუთრებით მისი კარიბჭე, რომელიც რამდენიმე გადაკეთების კვალს ატარებს. შესასვლელი მოწყობილია მართკუთხა გეგმარების ორ მძლავრ კომპს შორის, სადაც ძირითადი კედლის ზედაპირიდან კომპის არეები წინაა გამოზიდული, მათ შორის კი თაღის სახით გამართულია პარადული შესასვლელი. ნაგებობის ციტადელის კედლების მშენებლობისას გამოყენებულია სხვადასხვა მასალა, თუმცა ყველა მათგანი დუღაბის სქელ ფენაზეა ამოყვანილი - ჩანს რიყის, ფლეთილი და კარგად დამუშავებული ქვიშაქვა. კედლების სისქე მონაკვეთების მიხედვით ვარიირებს და ზოგან 3 მეტრსაც აღწევს. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით სიმაგრის მხოლოდ ნახევარზე შეიძლება მსჯელობა, თუმცა შემორჩენილ ნაწილებს შორის იკითხება ქვედა ციხე კედლებითა და კედლებში დაყოლებული კომპ-ბურჯებით, ქვედა ციხის კარიბჭის ნანგრევები, ციტადელი, მისი კარიბჭე და ქონგურებიანი კომპები, შიდა ტერიტორიაზე მიშენებული სათავსები, სათვალთვალო და თავდაცვითი კომპები, მცირე შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთით, გალავნის კიბეები და სამომრავო ბაქნები, სხვადასხვა დანიშნულების შიდა სათავსები, სარკმლები, თავდაცვითი ღიობები და ა.შ.

ციხეს ჰქონდა ურარტული წარწერა, რომელიც ამჟამად სტამბოლის არქეოლოგიურ მუზეუმში ინახება. წარწერა გამოქვეყნებულია ურარტული ტექსტების კორპუსში (Salvini 2008: A 5-41B), ასევე თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 129-130). გათვალისწინებით წარწერის თარგმანს:

„ღმერთი ხალდის ძლიერებით იშპუინის ძე მენუამ ეს ციხე სრულყოფილად (?) ააგებინა. ღმერთი ხალდის დიდებულებით იშპუინის ძე მენუა, ძლიერი მეფე, დიდი მეფე, ბიანილის ქვეყნის მეფე (და) ქალაქ ტუმფას მმართველი(ა).“ [თურქულიდან თარგმნა ზ. გოზალიშვილმა].

Basiani, a Fortress and Urartian Inscription

Historical Basiani, the modern city of Pasinler, Pasinler District, Erzurum Province (Pasinler, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument is located on the crest of a high hill in the eastern part of the city, about 400-500 meters from the center, on the roadside (39°58'45.59"N 41°40'51.32"E). Only part of the large-scale fortress is preserved. The approximate length of the fortress is supposed to be 200-250 meters, and the width – 50-70 meters. The 4-meter-high defensive walls survive. Despite the restoration work, various parts of the monument are damaged and destroyed both in the area of the wall and in the inner area, where the contours of various purpose buildings can be made out just fragmentarily. The fortress consisted of two levels: the lower fortress and citadel, which has reached us only partially. The degree of damage to the defensive wall of the lower fortress is much greater: only the fragments of the wall survive. The fortification citadel contained internal chambers with different purposes. Only the

intermittent outline of the wall at the floor level is visible, which makes it impossible to assess the architectural design. On the perimeter of the lower fortress walls, rectangular towers-buttresses placed at certain intervals and entrance gate fragments can be seen. Much more impressive and highly protected is the citadel, and especially its gate, which shows traces of several alterations. The gate is placed between two powerful rectangular towers. Towers protrude from the front of the main wall. An arched parade entrance is placed between them. Various materials were used in the construction of the citadel walls: the cobblestone, rough stone, and well-hewn square blocks of sandstone. A thick layer of mortar is applied between them. The thickness of the walls varies and reaches three meters in some places. Due to the current state of the monument, only one half of the fortress can be documented. The preserved parts include the lower fortress with towers-buttresses incorporated in the walls, the ruins of the lower fortress gate, the citadel, its gate, and crenelated towers, rooms built in the inner area, guard and defense towers, a small southeast entrance, stairs and wall walk (allure), inner quarters with various purposes, windows, battlements, etc.

A stone plate with an inscription written in the Urartian language was found in the fortress wall. It is currently preserved in the Archaeological Museum of Istanbul. The inscription is published in the “The Corpus of Urartian Texts” (Salvini 2008: A 5-41B) and in Turkish literature (Özgül 2011: 129-130). Here follows the translation of the inscription:

“With the power of God Haldi, Minua, son of Išpuini built this fortress to perfection (?). By the majesty of the god Haldi, Menua the son of Išpuini, the mighty king, the great king, the king of the country of Bianil (and) the ruler of the city of Tushpa.” [Translated from Turkish into Georgian by B. Gozalishvili].



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი დასავლეთიდან / Fortress, general view from the west



ფოტო/Photo 3. ციხის საერთო ხედი სამხრეთიდან / Fortress, general view from the south



ფოტო/Photo 4. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 5. ციხის სამხრეთ კარიბჭე / South gates of the fortress



ფოტო/Photo 6. ციხის ინტერიერი, სამხრეთ კარიბჭე / Interior of the fortress, south gates



ფოტო/Photo 7. ციხის ინტერიერი, ხედი დასავლეთიდან / Interior of the fortress, view from the west




ფოტო/Photo 8. ციხის ინტერიერი, ხედი სამხრეთიდან / Interior of the fortress, view from the south




ფოტო/Photo 9. ციხის ინტერიერი, სამხრ. კედელი / Interior of the fortress, south wall



ფოტო/Photo 10. ციხის ინტერიერი, ხედი სამხრ.-დას.-ით / Interior of the fortress, view looking southwest



ფოტო/Photo 11. ციხის გეგმა (წყარო: Subaşı 2010: 224, ფოტო 30) / Ground plan of the fortress (Source: Subaşı 2010: 225, Photo 32)



ფოტო/Photo 12. ურარტული წარწერის სქემატური გამოსახულება (წყარო: Özgül 2011: 199, ფოტო 20) / Drawing of the Urartian inscription (Source: Özgül 2011: 199, Photo 20)

ბედრევანქი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ბედრევანქი, თანამედროვე იურუქათლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yürükatlı, Horasan İlçesi, Erzurum İli)

სოფლის ცენტრიდან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთაზე, ზღვის დონიდან 2055 მეტრზე, მდებარეობს ბედრევანქის მეგალითური ციხის ნაშთები (40°05'51.29"N 41°58'48.41"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა კალეჯიკის სახელით მოიხსენიებს. ძველი არსებული კედლების ფრაგმენტების მიხედვით საკმაოდ მასშტაბური უნდა ყოფილიყო. მისი დაახლოებითი სიგრძე, სადღეისოდ შემორჩენილი მასალის გათვალისწინებით 130 მეტრამდე, ხოლო სიგანე 100 მეტრამდე აღწევს. აღსანიშნავია, რომ ნაგებობა განთავსებულია მთის თავზე და მისი გეგმარება თითქმის სრულად იმეორებს მთის/ქედის კონტურს. უმთავრესი ნაწილი, რომელიც ძლიერი დაზიანების მიუხედავად იკითხება, ციტადელის ძირითადი ნაგებობის მასიური, მძლავრი კედლებია, რომელთა ვერტიკალური წყობა მორღვეულია და ჩანს მხოლოდ წყობის ორი-სამი ფენა. საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვების წყობით შედგენილია კომპლექსის ციტადელზე არსებული მშენებლობის ძირითადი კედლების შიდა და გარე ფასადები, რომელთა შორის არსებული არეც შევსებული იყო შედარებით მცირე ზომის ქვა-ღორღით. გარდა ამისა, ციტადელის პერიმეტრზე განირჩევა სხვადასხვა ზომის, ფორმისა და გეგმარების ნაგებობათა კვალი, რომლებიც სადღეისოდ ნანგრევებადაა ქცეული და ნაწილობრივ მიწითაა დაფარული. ნაგებობათა ნაშთები, გარდა გალავნის კედლებისა, განირჩევა როგორც ციტადელის ზედა, ისე მის ქვედა ტერასებზე. განსაკუთრებული კონცენტრაცია კედლების ჩამოშლილი ქვებისა მაინც ზედა მონაკვეთზე განირჩევა, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ რაიმე განსაკუთრებულად მაღალი და მძლავრი ნაგებობა უნდა მდგარიყო. ძველის სხვადასხვა მონაკვეთზე ჩანს განსხვავებული ზომის ფრაგმენტები კერამიკული ნაწარმისა, რომელთა უმეტესობა საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ მთის ზედა მონაკვეთამდე, ერთგვარ ციტადელამდე, გვხვდება ქვედა ციხე, რომელიც ტერასულადაა გაშლილი. რელიეფის ამ მონაკვეთზე განირჩევა შედარებით მცირე ზომის ქვის წყობის ნაწილები, რომელთა საერთო კონტური აღარ აღიქმება.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით თუ სამოსახლო სისტემასთან.

Bedrevank, a Megalithic Fortress to the Northwest from the Village

Bedrevank, a village of historical Basiani, the modern Yürükatlı, Horasan District, Erzurum Province (Yürükatlı, Horasan İlçesi, Erzurum İli)

To the northwest from the village center, approximately 2 kilometers away, on a high mountain, at 2,055 meters above sea level, there are the remains of a megalithic fortress of Bedrevank (40°05'51.29"N 41°58'48.41"E). Locals call it Kalejik. Based on the fragments of the existing walls, the monument must have been a fairly large structure. Its approximate length, taking into account the preserved ruins, is 130 meters and its width is 100 meters. It should be noted that the building is located on top of a hill and its design almost completely follows the shape of the ridge. Despite severe damage, most of the structure is visible. It is a citadel with massive and strong walls, although it has been destroyed. The maximum preserved height of the wall is only two or three rows of masonry blocks. The inner and outer surfaces of the main walls of the citadel are built of medium-sized rough stones, and the space between them is filled with relatively small stones. In addition, on the site of the citadel there are traces of buildings of different sizes, shapes and foundations, which have been reduced to ruins and are partially covered with soil. Apart from the fortress walls, the remains of buildings can be seen on both the upper and lower terraces of the citadel. There is a particularly high concentration of stones that have fallen from the walls at least at the top, which suggests that there must have been some particularly tall and powerful building there. Sherds of household pottery of different sizes are found in different sections of the site

It should be noted that below the citadel there is a lower fortress, which stands on the terraces. In this section of the landscape, you can distinguish small wall sections built of relatively smaller stones. The general outline of the structure is no longer visible.

Based on the location of the building, the outline of the remains, the stone arrangement and the general plan, it is likely that it is a defensive residential construction of megalithic type.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragments





ფოტო/Photo 3. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragments



ფოტო/Photo 4. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragments



ფოტო/Photo 5. გალანის ფრაგმენტები Defensive wall fragments



ფოტო/Photo 6, 7, 8. გალანის ფრაგმენტები / Defensive wall fragments



ფოტო/Photo 9, 10. კერამიკის ფრაგმენტები ციხის ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site of the fortress

გერდეკაია, კოშკი

ისტორიული ბასიანის სოფელი გერდეკაია, თანამედროვე გერდეკაია, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Gerdekkaya, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 0.2 კილომეტრის მოშორებით (39°54'12.18"N 41°29'03.60"E). ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ამ ადგილას კოშკი მდგარა, რომელიც სადღესოდ აღარ არსებობს. ადგილი, სადაც მოსახლეობა ნაგებობის არსებობას მიუთითებს, თავის მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გეოგრაფიული პუნქტია, რომელიც ხეობას და ირგვლივ განთავსებულ სოფლებს აკონტროლებს.

Gerdekkaya, a Tower

Gerdekkaya, a village in historical Basiani, the modern Gerdekkaya, Pasinler District, Erzurum Province (Gerdekkaya, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

According to the locals, the tower stood at a distance of about 0.2 kilometers southwest of the center of the village (39°54'12.18"N 41°29'03.60"E). The tower no longer exists. The place where it was located is a rather important geographical point that dominates the valley and the surrounding villages.



ფოტო/Photo 1. კოშკის მდებარეობა (Google Earth) / Location of the tower (Google Earth)



ფოტო/Photo 2. კლდე, სადაც მდებარეობდა კოშკი / Rock on which was erected a tower

გეჯიკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი გეჯიკი, თანამედროვე ილდირანი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yıldırım, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთებზე, ზღვის დონიდან 2175 და 2200 მეტრზე, ერთმანეთის გვერდით განთავსებულია ორი მშრალი წყობის ნაგებობა. მაღალი, კლდოვანი მთები ერთმანეთის გვერდით მდებარეობს და მათ შორის მანძილი დაახლოებით 300 მეტრია.

პირველი, მარჯვენა მშრალი წყობის ნაგებობა თითქმის ბოლომდეა განადგურებული (40°04'08.44"N 41°55'49.03"E). ჩამოშლილია კედლების სტრუქტურები და ზოგან მათი კვალი საერთოდ არ იკითხება. გვხვდება მხოლოდ ფრაგმენტები ადგილ-ადგილ, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მხოლოდ ძეგლის უზოგადესი გეგმარებითი სტრუქტურის წარმოდგენა. ნაგებობის გეგმა ნაწილობრივ მორგებულია რელიეფის ფორმას, როგორც ხდება ხოლმე ამ ტიპის ძეგლების უმეტესობაში, ხოლო ზურგის მხრიდან ის მოსაზღვრავს გარკვეულ არეალს, ერთგვაროვანი, სწორი ზედაპირის ნიშნულს. აღსანიშნავია, რომ ნაგებობის წინა მხარეს კლდოვანი მასივია და დაცულობის ხარისხი მაღალია, ხოლო უკანა ნაწილით ის ღიაა მომხდური მტრისთვის. გალავნის კედლის გარე და შიდა პირი გასწორებული უნდა ყოფილიყო, ხოლო მათ შორის არე ამოვსებულია ქვა-ღორღით. ბორცვის ზედაპირზე ნათლად განირჩევა შენობის გეგმის მოხაზულობა - ესაა ოვალური მოხაზულობის საშუალო ზომის ნაგებობა. მისი სიგრძე დაახლოებით 90-100 მეტრია, ხოლო სიგანე 70-80 მეტრს უახლოვდება.

მარცხენა მხარეს არსებული მშრალი წყობის ნაგებობა შედარებით უფრო მაღლა მდებარეობს (40°04'1.29"N 41°55'39.98"E), თუმცა გაცილებით ნაკლები დაცულობით ხასიათდება. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ოვალური მოხაზულობის მქონე მოზრდილ ნაგებობასთან. მისი სიგრძე დაახლოებით 120 მეტრია, ხოლო სიგანე 100 მეტრამდე აღწევს. ამ შემთხვევაში მხოლოდ მცირე ფრაგმენტები განირჩევა ნაგებობის გალავნისა, თუმცა ჩანს მისი ზოგადი კონტური. საფიქრებელია, რომ აღნიშნული შენობები თანადროულად ფუნქციონირებდა და სამშენებლო ტექნიკის, არქიტექტურული სახის თუ ზოგადგეგმარებითი პრინციპების მიხედვით, ურთიერთმსგავსი უნდა ყოფილიყო. კომპლექსის შიდა ტერიტორიაზე სხვა შენობათა ნაშთები არ ჩანს, თუმცა ცხადია, რომ ისინი უდავოდ იქნებოდა.

ნაგებობათა განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვითი თუ სამოსახლო სისტემასთან. ნაგებობა თურქულ ლიტერატურაში მოხსენიებულია მეგალითურ ციხედ.

Geçik, Drywall Buildings in the Northwest of the Village


Geçik, a village in historical Basiani, the modern Yıldırım, Horasan district, Erzurum Province (Yıldırım, Horasan İlçesi, Erzurum İli).

To the northwest of the village, about 1.5 kilometers from the center, in the high mountains, at 2,175 and 2,200 meters above sea level, two drywall buildings are standing side by side. The high rocky hills are next to each other. The distance between them is approximately 300 meters.

The first drywall structure on the right is almost completely destroyed (40°04'08.44"N 41°55'49.03"E). The structures of the walls were demolished and in some places no traces of them can be seen at all. Only fragments are found here and there. Based on them, it is possible to reconstruct only the general design of the monument. The plan of the building is partially adapted to the natural landscape, as is the case with most monuments of this type, and from the back side it delimits an area – a uniform, flat surface. It should be noted that the front part of the structure stands on the edge of a rock mass, therefore the degree of protection is high, while the back part is open to the enemy. The outer and inner surfaces of the defensive wall had to be leveled, and the space between them was filled with gravel. The outline of the building plan stands out clearly from the surface of the hill. It is a medium-sized building with an oval outline. It is approximately 90-100 meters long and approximately 70-80 meters wide.

The drywall structure on the left side is erected at a relatively higher level (40°04'1.29"N 41°55'39.98"E). Despite this, it is much less protected. It is also an oval-shaped large building. It is approximately 120 meters long and approximately 100 meters wide. In this case, only small fragments of the defensive wall are visible, although its general outline can be clearly seen. It is conceivable that the mentioned buildings functioned at the same time and should have been similar in terms of construction techniques, architecture and general design principles. The remains of other buildings are not visible in the inner area of the complex, although it is clear that they would undoubtedly be there.

Based on the location of the buildings, the outline of the remains, the arrangement of the stones and the general design principle, it is likely that it is a defensive or residential system of the megalithic type. The building is called a megalithic fortress in Turkish literature.



ფოტო/Photo 1. ნაგებობების მდებარეობა (Google Earth) / Location of buildings (Google Earth)



ფოტო/Photo 2. მარჯვენა ნაგებობის საერთო ხედი / General view of the building to the right



ფოტო/Photo 3, 4. მარჯვენა ნაგებობის ფრაგმენტები / Ruins of the building to the right



ფოტო/Photo 5. მარცხენა ნაგებობის საერთო ხედი / General view of the building to the left



ფოტო/Photo 6. მარცხენა ნაგებობის ფრაგმენტები / Ruins of the building to the left



ფოტო/Photo 7. მარცხენა ნაგებობის გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragments of the left building

დელიბაზა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი დელიბაზა, თანამედროვე არასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მთის თხემზე, ზღვის დონიდან 1690 მეტრზე (39°58'49.75"N 42°18'09.43"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Günaşdı და სხვ., 2020: 665), ციხის სიგრძე 36 მეტრია. ციხის პერიმეტრზე შეიმჩნევა ნაგებობათა კვალი. მათი ნაწილი ჩაქცეულია, ნაწილი კი განძის მაძიებელთა მიერ არის გადათხრილი და განადგურებული. ციხის დასავლეთ დაფერდებაზე არსებული ნაგებობები სამარხები და ნამოსახლარები უნდა იყოს. ტერიტორიაზე მიკვლეულ იქნა კერამიკა, რომელიც ადრე და შუა რკინის ხანას განეკუთვნება. თურქულ ლიტერატურაში ციხე მოხსენიებულია არასის სახელით.

Delibaba, a Fortress in the Southwest of the Village

Delibaba, a village in historical Basiani, the modern Aras, Horasan district, Erzurum Province (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The fortress is located about a kilometer southwest of the village, on the crest of a mountain, 1,690 meters above sea level (39°58'49.75"N 42°18'09.43"E). It was not possible to document and study the monument in situ. According to Turkish literature (Günaşdı et al., 2020: 665), the length of the fortress is 36 meters. Traces of buildings can be seen on the perimeter of the fortress. Some of them are in ruins and some have been excavated and destroyed by treasure hunters. The buildings on the west side of the fortress should be tombs and settlements. Pottery of the Early and Middle Iron Ages was found in the area. In Turkish literature the fortress is called Aras.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი (წყარო: Günaşdı და სხვ., 2020: 675, ფოტო 5) / Fortress, general view (Source: Günaşdı et. Al., 2020: 675, Photo 5)

დელიბაბა, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი დელიბაბა, თანამედროვე არასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა სოფლის ცენტრში, სკოლის სიახლოვეს მდებარეობს და წარმოადგენს თურბეს (39°59'20.36"N 42°18'28.09"E). შენობა კუბური ფორმისაა და ნახევარკონუსური ფორმის გუმბათით სრულდება. ნაგებობა საშუალო ზომისაა - მისი კვადრატული საფუძვლის კედლების ზომები დაახლოებით 4-4.5 მეტრია. შენობა ნაგებია სხვადასხვა შეფერილობის კარგად დამუშავებული კვადრებით. ფერადოვანი გადაწყვეტა ქვის წყობისა განსაკუთრებით მეტყველს ხდის შენობის საფასადო კედლებს და აცოცხლებს მის იერსახეს. ნაგებობას აქვს მხოლოდ ერთი სარკმელი, რომელიც აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი და ერთი კარი ჩრდილოეთით. კარი მარტივი, მართკუთხა მოყვანილობისაა, ხოლო სარკმლის თავსართი არე შეისრული სახითაა გამოყვანილი. მცირე ზომის სარკმელი ინტერიერში საკმაოდ ფართო განშლითაა წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს შიდა სივრცის კარგ განათებას. გუმბათისა და ძირითადი კვადრატული სივრცის სიმაღლე თითქმის თანაბარია, რაც კიდევ უფრო აძლიერებს გუმბათის მხატვრულ ეფექტს.

შენობის ერთადერთი, ჩრდილოეთი შესასვლელი მხატვრული თვალსაზრისით ყველაზე აქტიურია. მის თავზე მოცემულია წითელი ფერის ქვა, რომელიც შემკულია არაბულენოვანი წარწერებით. წარწერები ოთხ ძირითად სტრიქონადაა განთავსებული და მოქცეულია ჰორიზონტალურ, გეომეტრიული მოტივებით გაფორმებულ, არშიებში. გარდა წარწერიანი ქვისა, ხსენებული თაღოვანი არე მოიცავს მცირე ზომის „ტიმპანს“, რომელზეც ნაგებობის მხატვრული გაფორმების ერთადერთი კვეთილი ნაწილია წარმოდგენილი. „ტიმპანის“ ქვის ცენტრში წარმოდგენილია ვარსკვლავის გამოსახულება, რომელიც წრეშია მოქცეული, ხოლო მის ორივე მხარეს ნაკვეთია ხმალი, რომლის პირი ბოლოსკენ მკვეთრად იღუნება (ამ ტიპის თურქულ ხმალს ქართულად „ყილიჯი“ ჰქვია).

შენობის ინტერიერი მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით სრულებით განსხვავებული ეფექტის მატარებელია, რადგან აქ კედლები სრულადაა შელესილი. მნიშვნელოვანი გახლავთ უშუალოდ დასაკრძალავი ნაწილები, რომლებიც შენობის კიდურა მონაკვეთებშია მოქცეული. გვხვდება ორი, აღმოსავლეთითა და დასავლეთით განთავსებული, სამარხი. მათი ზომები, პროპორციები და ფორმები თითქმის ერთგვაროვანია.

ნაგებობა ნაწილობრივ დაზიანებულია, თუმცა საერთო სახე და პროპორციები სრულებით აქვს შენარჩუნებული. სავარაუდოა, რომ ნაგებობა გვიანი შუა საუკუნეების ბოლო მონაკვეთს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ დელიბაბას სახელითაა ცნობილი ერთ-ერთი ურარტული წარწერა, რომელიც მდებარეობდა სოფელ კალბულასთან (იხ. „კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა“).

Delibaba, Old Türbe

Delibaba, a village in historical Basiani, the modern Aras, Horasan district, Erzurum Province (Aras, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The building is located in the center of the village, near the school. It is a türbe (39°59'20.36"N 42°18'28.09"E). The building is cube-shaped with a semi-conical dome on top. The türbe is of medium size. The side of cube is approximately 4-4.5 meters. The building is built of finely dressed blocks of different colours. The colours of the stonework make the facades of the building particularly expressive and enliven their appearance. The building has only one window cut into the east wall and a door on the north. The door is simple, rectangular, and the top of the window is arrow-like. The window in the interior is small, but because it has splayed jamb extensions, the interior space is well illuminated. The heights of the dome and the main cubic space are almost equal, which further enhances the artistic effect of the dome.

The only entrance into the building is from the North. On top of it is placed a red stone decorated with Arabic inscription. The inscription is distributed in four lines between the horizontal rims which are decorated with geometric motifs. Apart from the inscribed stone, the aforementioned arched area has a small “tympanum” carved in bas-relief. It is the only carved decorative element in the building. In the center of the tympanum is a figure of a star in a circle flanked by two swords with deeply curved blades (known as kilij or pala).

The interior of the building looks completely different in terms of artistic decoration, as its walls are completely plastered. The tombs are located at the edges of the building, on the eastern and western sides. Their sizes, proportions, and shapes are almost the same.

The building is partially damaged, but the general appearance and proportions are completely preserved. The building probably dates to the end of the Late Middle Ages.

It is of interest that one of the well-known Urartian inscriptions is known as Delibaba inscription, which was engraved near to the village of Kalbulas (Note “Kalbulas, a Fortress (?) and Urartian Inscription”).



ფოტო/Photo 1. თურბეს საერთო ხედი / Türbe, general view



ფოტო/Photo 2. არაბულენოვანი წარწერა კარის თავზე / Arabic inscription above the door

დელილერი, ნაგებობა (ეკლესია / ჯამე ?)

ისტორიული ბასიანის სოფელი დელილერი, თანამედროვე ილიტფინარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yığıtpınarı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში (40°02'34.38"N 41°36'02.46"E), თუმცა იგი სხვადასხვა მხრიდან მოსაზღვრულია ახალი მშენებლობის ფენებით. შემორჩენილი, მართკუთხა გეგმარების შენობის დიდი ნაწილი დანგრეულია, თუმცა არსებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია მისი ზოგადი პროპორციებისა და ზომების დადგენა. ძირითადი კვადრატის სიგრძე დაახლოებით 8-10 მეტრია, ხოლო სიგანე 5-6 მეტრი. ნანგრევი სიმაღლეში 3 მეტრამდე აღწევს. მართკუთხა გეგმარების ძირითადი სივრცე და

მის გვერდით მიდგმული ასევე მცირე ზომის სათავსი ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ჯამე უნდა ყოფილიყო. შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის, კარგად დამუშავებული სხვადასხვა ფერისა და მოცულობის კვადრებით. ნაგებობის ერთ ფასადზე დატანებულია ორი მართკუთხა ფორმის სარკმელი, რომლებშიც ხის ჩარჩო და რკინის რიკულებია ჩასმული. შენობის კარნიზის ქვემოთ იკითხება ერთმანეთის გვერდით ჩალაგებული კვადრატული შვერილობები, რომელთა ზედაპირიც გაფორმებულია მარტივი პროფილირების ხაზოვანი ჩანაჭდევებით.

დღეის მდგომარეობით ნაგებობის სრული არქიტექტურული სახის წარმოდგენა ჭირს ისევე, როგორც მისი თავდაპირველი ფუნქციისა. გვაქვს ეჭვი, რომ აღნიშნული შენობა თავდაპირველად ეკლესიას წარმოადგენდა და შემდგომ იქნა გადაკეთებული ჯამედ. საერთო გეგმარებითი თუ სივრცითი კომპოზიციით ნაგებობა არ ავლენს ჯამესათვის სახასიათო გადაწყვეტის თავისებურებებს. გარდა ამისა, დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ძეგლის თავდაპირველი ფუნქცია საცხოვრებელი ყოფილიყო.

Deliler, a Building (Church / Jamatkhana ?)

Deliler, a village in historical Basiani, modern Yiğitfinarı, Pasinler District, Erzurum Province (Yiğitpinarı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The building is located in the center of the village (40°02'34.38"N 41°36'02.46"E). The object is disturbed by new constructions. The larger part of the surviving rectangular old building is in ruins, although its general proportions and size have yet to be determined. The main square is about 8-10 meters long and 5-6 meters wide. The height of the ruins is up to three meters.

According to the locals, the main space of the rectangular plan and a small room next to it should have been Jamatkhana. The building is constructed of large, well-finished blocks of different colours and sizes. One of the facades of the building has two rectangular windows with wooden frames and iron bars. Below the ledge of the building, several side-by-side square corbels are visible, the surfaces of which are decorated with a series of simple linear indentations.

Today it is difficult to imagine what the original architectural design of the building looked like in its complete form. The original purpose of the building is also questionable. We suspect that the mentioned building was originally a church which was later converted into Jamatkhana. The general plan of the building and the spatial structure do not show any special features characteristic of a Jamatkhana. We are more inclined towards the opinion that the original function of the monument was a residence.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 2. ნაგებობის ინტერიერი / Interior of the building



ფოტო/Photo 3. ნაგებობის სამხრ. კედელი / South wall of the building



ფოტო/Photo 4. ნაგებობის სამხრ. კედელი, დეკორირებული კარნიზი / South wall of the building; ornamental cornice

ეზირმიჯი, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი ეზირმიჯი, თანამედროვე ოვაქოი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ovaköy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, სასაფლაოს ტერიტორიაზე (39°57'59.38"N 41°29'40.92"E). არსებული წრიული გეგმარების ნანგრევის დიამეტრი დაახლოებით 5-5.5 მეტრია, ხოლო მისი კედლების შემორჩენილი, მაქსიმალური სიმაღლე 3-3.5 მეტრს აღწევს. ძველი წრიული მოხაზულობის ოსმალურ აკლდამას წარმოადგენდა, რომლის ზედა მონაკვეთიც სადღეისოდ დაკარგულია, ხოლო ქვედა ნაწილი გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი. კედლის წყობა, სამირკვლის დონეზე მოწყობილი კედლები რიყის ქვის რეგულარული განლაგებით, ჰორიზონტალური რიგების დაცვით, საკმაოდ კარგადაა დაცული. წრიული გეგმარების აკლდამის ინტერიერში დაფიქსირებულია ხუთი ჩასასვენებელი სათავსი - ესაა წაგრძელებული, მართკუთხა ფორმის, დაახლოებით 0.5-0.8 მეტრის სიმაღლის აგურის ან თლილი ქვის

წყობით შედგენილი კედლები, რომლის შიგნითად უშუალოდ ხდებოდა მიცვალებულის ჩასვენება. განთავსებული სამარხების ფორმები, კედელთა წყობა, მასალა და საერთო პროპორციები მიგვანიშნებს ქრონოლოგიურად განსხვავებული ეპოქის მშენებლობაზე.

2019 წლის ზაფხულში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნულ აკლდამაზე წარმოებდა არქეოლოგიური გათხრები. თურქეთის საელჩოს განცხადებით მიკვლეულ იქნა ალაედინ ქეიყუბად II-ის და მისი დედის, გურჯი ხათუნის, იგივე თამარ დედოფლის სარკოფაგები, რომლის შესახებაც საელჩო დამატებით მოკვლევას აანონსებდა. გურჯი ხათუნი, დედოფალი თამარი (XIII ს.) საქართველოს მეფის რუსუდანისა და ერზრუმის გამგებლის ტიღრილის ძის, მოღის ედ-დინის ასული იყო. ის 1236 წელს მიათხოვეს რუმის სულთან ყიას ად-დინ ქეი ხუსრევ II-ს. ცნობილია ისიც, რომ იმავე 1236 წელს მოჭრილ მონეტაზე სიმბოლურად (მზე ლომის ზოდიაქოში) სწორედ მისი სახე ამოატვიფრინა სულთანმა. სულთანის გარდაცვალების შემდგომ რუმის გამგებლობა ხელთ იგდო ვეზირმა მუინ ად-დინ სულიეიმან ფერვანემ და ქვრივი თამარი ცოლად შეირთო. 1277 წელს მონღოლმა ნოინებმა ფერვანე მოკლეს, ხოლო თამარი იძულებული გახდა კონია დაეტოვებინა. იმის გამო, რომ ხუსრევმა თავის მემკვიდრედ თამართან შეძენილი შვილი ალაედინ ქეიყუბად II დაასახელა, ტახტის მოცილებებმა ისიც მოკლეს. რაც შეეხება თავად თამარ დედოფალს, მისი გარდაცვალებისა და ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ დადასტურებული ინფორმაცია არ არსებობს. არის ვარაუდი, რომ ის კონიაში გარდაიცვალა, თუმცა ზოგი მოსაზრებით მან მოახერხა საქართველოში დაბრუნება და აქ განისვენებს.

თუკი ისტორიული წყაროების ანალიზს დავეყრდნობით, გურჯი ხათუნის ვაჟი მასზე ადრე გარდაიცვალა, ხოლო თავად თამარის გარდაცვალების დრო და ადგილი უცნობია. ამასთანავე ანგარიშგასაწევია ჩვენ მიერ ხსენებული აკლდამა და მისი არქიტექტურა, რომელიც თითქოს ასე ადრეულ პერიოდზე არ მიუთითებს.

ამდენად, ისტორიული წყაროებისა და თავად აკლდამის არქიტექტურული რაგვარობის გათვალისწინებით საეჭვოა დადასტურდეს ინფორმაცია გურჯი ხათუნისა და მისი შვილის აღნიშნულ აკლდამაში განსვენების შესახებ.

Ezirmik, Old Türbe

Ezirmik, a village in historical Basiani, the modern Ovaköy, Pasinler District, Erzurum Province (Ovaköy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The ruins of the building are located in the southwestern part of the village, about one kilometer from the center, in the area of the cemetery (39°57'59.38"N 41°29'40.92"E). The diameter of the current round-plan ruins is about 5-5.5 meters, and the maximum height of the preserved walls is 3-3.5 meters. The monument is a round Ottoman tomb-tower, the upper part of which is now lost. The lower part was unearthed during archaeological excavations. Walls at the basement level are well preserved, with an orderly arrangement of cobblestones laid in even horizontal courses. In the interior of the round türbe there are five burial vaults where the dead were interred. They are elongated rectangular structures, approximately 0.5-0.8 meters high, built of bricks or hewn stone blocks. The form of the vaults, the placement of the walls, the type of materials used and the general proportions suggest that the building proper and the vaults were constructed at different times.

In the summer of 2019, information was spread that archeological excavations have been carried out at the site of the türbe. According to the statement of the Georgian Embassy in Turkey, the sarcophagi of Alaeddin Keykubad II and his mother Gurji Khatun have been found. According to the embassy, further studies are planned. Gurji Khatun was a royal Georgian princess born as Tamar (13th century). She was the daughter of Queen Rusudan of Georgia and Moghis-ed-Din, son of Toghrul, the governor of Erzurum. In 1236, she became the favorite wife of Ghiyath al-Din Kaykhusraw ibn Kayqubād or Kaykhusraw II, the sultan of the Seljuqs of Rûm. It is known that in 1236, the sultan ordered to engrave the images of the sun and the lion on a coin minted in Rum. The Sun in the zodiac sign Leo symbolized Tamar. After the death of the sultan, his vizier Pervane Mu'in al-Din took over the administration of Rum and married the widow, Tamar. In 1277, Mongol Noins killed Pervane. Tamar was forced to leave Konya. Since Kaykhusraw II had named his son Alaeddin Keykubad II as his heir to the throne, the latter was killed by the usurpers. As for Queen Tamar herself, there is no confirmed information about her death and the last

years of her life. She supposedly died in Konya, but according to other opinion, she managed to return to Georgia where she found final rest.

Based on the analysis of historical sources, the son of Gurji Khatun died before her death. The exact time and place of Tamar's death are unknown. It is worth considering that the architecture of the above-mentioned türbe does not seem to match the period of activity of Gurji Khatun: it dates to the later period.

Thus, considering the historical sources and architectural features of the monument, it is doubtful that the above-mentioned türbe is the resting place of Gurji Khatun and her son.



ფოტო/Photo 1. თურბეს საერთო ხედი / Türbe, general view



ფოტო/Photo 2. თურბეს ინტერიერი, ქვის წყობა / Türbe, interior, masonry

ეიუფლერი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ეიუფლერი, თანამედროვე ეიუფლერი, კოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Eyüpler, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს (39°46'53.35"N 41°47'06.22"E). ძეგლის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Ceylan და სხვ., 2018: 92), ნაგებობის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილში შემორჩენილია საშუალო ზომის, უხეზად დამუშავებული ქვით ნაგები კედლის მცირე ფრაგმენტები. კედლები მშრალი წყობითაა ნაგები. ძეგლი დაახლოებით 30 მეტრის სიგრძისა და 20 მეტრის სიგანისა უნდა იყოს. თურქი მკვლევარი ნაგებობას ციხედ მოიხსენიებს.


Eyüpler, a Drywall Building Eastward from the Village

Eyüpler, a Village in historical Basiani, the modern Eyüpler, Köprükøy District, Erzurum Province (Eyüpler, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

The building is located eastwards from the village, approximately 1.5 kilometers afar, on the left bank of the Araks River (39°46'53.35"N 41°47'06.22"E). It was not possible to visit and study the monument on site. According to a Turkish language publication (Ceylan et al., 2018: 92), small fragments of a medium-sized, rough-hewn stone wall have been preserved in the eastern and western parts of the monument. It is a drywall construction. The monument should be approximately 30 meters long and 20 meters wide. The Turkish researcher calls the building a fortress.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი (წყარო: ჯეილანი და სხვ., 2018: 102, ფოტო 14) / Building, general view (Source: Ceylan et al., 2018: 102, Photo 14)

ერზურუმ-ფასინლერის გზის მე-12 კილომეტრი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ბასიანში, მდინარე ფასიანის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე ქალაქების ერზურუმ-ფასინლერის მაკავშირებელი ცენტრალური გზის მე-12 კილომეტრზე, გზის პირას, გზიდან ჩრდილოეთით 100-150 მეტრში (39°57'02.09"N 41°22'42.04"E). კომპლექსი საკმაოდ ვრცელ მონაკვეთს მოიცავს და შედგება მთის ფერდზე შეფენილი გამოქვაბულთა რამდენიმე ჯგუფისგან. აღსანიშნავია, რომ იოლად შლადი კლდოვანი ქანები დროთა განმავლობაში თითქმის სრულად გაქრა. კომპლექსი თითქმის მთის ფერდის ძირში იწყება და სრულდება მთის წვერზე - საერთო სიგრძე დაახლოებით 500-700 მეტრი უნდა ყოფილიყო, ხოლო სიგანე 200-300 მეტრი.

მთის ფერდზე შეფენილი გამოქვაბულების კომპლექსი, სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე ორ პირობით ნაწილად შეიძლება დაიყოს - ქვედა და ზედა. ქვედა ნაწილის კლდის მცირე ფრაგმენტის არეზე ჯერ კიდევ შესაძლებელია მინიმუმ ოთხი ქვაბულის ამოკითხვა. მათგან ორი ძლიერაა დაზიანებული და მხოლოდ მცირე ელემენტები განირჩევა, ხოლო ორი შედარებით მოზრდილია. მოცემული ორი გამოქვაბული ერთმანეთის თავზე, სართულებადაა გადაწყვეტილი.

ზედა, მთავარი კომპლექსი სრულდება კლდოვანი მთის თხემზე ჰორიზონტალურად, ოთხ იარუსად განლაგებული გამოქვაბული სათავსების ერთიანი სისტემით, სადაც მინიმუმ 16 ქვაბია დაფიქსირებული. კლდის საფასადო ნაწილის სიმაღლე დაახლოებით 7-9 მეტრია, მომწყდარია წინა მხარე და შესაბამისად კედლის მიღმა არსებული, ოდესღაც დაფარული, ქვაბულები სადღეისოდ „გამიშვლებულია“. სათავსები იარუსებადაა განლაგებული და გვხვდება გამოქვაბულთა სამი სართული და ერთი მიწისქვეშა დონე, რომლის დანიშნულებაც უცნობია. რაც შეეხება ზედა სამ იარუსს, აქ გვხვდება ერთმანეთთან დაკავშირებული და დამოუკიდებელი სათავსების დიდი ჯგუფი. პირველ სართულზე ჩანს დაახლოებით რვა ქვაბის არსებობის კვალი. მეორე იარუსის დონეზე, სადაც მოხვედრა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია, იკითხება დაახლოებით ექვსი გამოქვაბულის არსებობის კვალი. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს სათავსი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო გადასასვლელებით, თუმცა ყველა მათგანი სადღეისოდ აღარ ფიქსირდება. ქვაბების ნაწილში მინიმუმ ორი სათავსი იკითხება, ხოლო სიღრმეში მიმავალი სივრცის მიღმა რა ხდება ამის დადგენა შეუძლებელია.

საყურადღებოა, რომ დაკვირვების შედეგად საერთო კომპლექსის დანაკარგი თითქმის ნახევარი ან მასზე მეტია. აღნიშნული გამოქვაბულების სივრცეში, ჩვენი დაკვირვებით, არ ჩანს რაიმე საკულტო დანიშნულების სათავსი, თუმცა ის შესაძლოა ყოფილიყო კომპლექსის დაკარგულ მონაკვეთზე.

The 12th Kilometer of the Erzurum-Fasinler Road, a Rock-Cut Cave Complex

The complex lies in historical Basiani, on the left bank of the Fasian River, on the 12th kilometer of the central road connecting the cities of Erzurum-Fasinler, on the road side, 100-150 meters north of the road (39°57'02.09"N 41°22'42.04"E). The complex covers a wide area and consists of several groups of caves scattered on the hillside. It should be noted that in some places the soft sedimentary rock has been eroded. The complex starts almost at the foot of the mountain slope and ends at the top of the mountain – the total length should be about 500-700 meters and the width – 200-300 meters.

Based on the available data, the caves scattered on the hillside can be conditionally divided into two parts: the lower and the upper caves. At least four caves can be made out in the lower part of the slope. Two of them are badly damaged and only small elements can be distinguished, while the other two are in relatively better condition. These two caves are distributed vertically in two levels, one above another.

The caves of the upper, main complex are aligned horizontally in groups and the latter are distributed vertically in four levels. At least 16 caves have been recorded. The height of the cliff is about 7-9 meters. The front edge of the cliff has collapsed and the caves are now exposed. The caves are arranged in tiers. There are three visible and one underground levels. The purpose of the latter is unknown. As for the upper three tiers, there is a large group of interconnected and several separate caves. There are about eight caves on the first level. Traces of some six caves can be seen in the second tier which is inaccessible without special equipment. Considering the current situation, it can

be assumed that all these caves were interconnected by passages, which have mainly collapsed. At least two caves can be observed on the surface, but what is going on deep in the rock is impossible to determine.

We assume that almost half or even more of the complex has gone. According to our observations, the complex lacks a cave for religious worship, although it may have disappeared due to the collapse of the rock.



ფოტო/Photo 1. კომპლექსის საერთო ხედი ჩრდილოეთით / Complex, general view looking north



ფოტო/Photo 2. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view



ფოტო/Photo 3. გამოქვაბულთა იარუსები / Tiers of caves



ფოტო/Photo 4, 5. გამოქვაბულები / Caves



ვანასორი, ციხე (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი ვანასორი, თანამედროვე ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Horasan İlçesi, Erzurum İli). ნასოფლარი ვანასორი მდებარეობს თანამედროვე სოფელ დონერტაშიდან (Dönertaş) ჩრდილოეთით, დაახლოებით 3 კილომეტრის მოშორებით. სოფელი მიწისძვრის შედეგად დაზიანდა და ადგილობრივი მოსახლეობა გადასახლდა სხვა ადგილას.

ნასოფლარის ტერიტორიაზე, მაღალი, კლდოვანი მასივის თავზე, ზღვის დონიდან 2150 მეტრზე, ადგილობრივი გამყოლი მიუთითებს ციხის არსებობას (40°14'18.88"N 42°08'31.82"E), თუმცა ადგილზე მკვეთრად გამოხატული წყობის ნაწილები არ იკითხება. სოფელი ვანასორი სწორედ ამ მთის ქვეშ იყო განთავსებული. მთის ძირას კარგად განირჩევა ძველი საცხოვრისების კვალი (40°14'12.07"N 42°08'29.91"E). არსებული მასალის მიხედვით, ქვის წყობის, სამშენებლო მასალის, სათავსთა გეგმარებისა თუ სხვა დეტალების გათვალისწინებით, არსებული საცხოვრისები დაახლოებით XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგისა უნდა იყოს.

უშუალოდ ნაციხრის ტერიტორიაზე, მაღალი მთის თხემზე, კლდოვანი მასივების მიდამოებში განირჩევა მცირე ზომის ყორე-ქვის არეული წყობები. თხემის ირგვლივ, სხვადასხვა მონაკვეთზე იკითხება ყორე-ქვის ნაშალი ნაწილები, რაც შესაძლოა განვიხილოთ ციტადელის გალავნის ნაწილებად. თავისთავად მთის გეოგრაფიული გარემო, მისი ბუნებრივი მოცემულობა, აშკარად სტრატეგიული მნიშვნელობისა იქნებოდა, თუმცა კლოვან მასებზე არავითარი კვალი არ იკითხება. ერთადერთი მანიშნებელი აღნიშნულ ტერიტორიაზე გამაგრებული პუნქტის, თავდაცვითი ნაგებობის, შესაძლო არსებობაზე მთის თხემის პერიმეტრზე, ადგილ-ადგილ წარმოდგენილი ნაშალი ქვის სტრუქტურებია.

Vanasor, a Fortress (?)

Vanasor, a village in historical Basiani, Horasan District, Erzurum Province (Horasan İlçesi, Erzurum İli).

The site of a village Vanasor is located approximately 3 kilometers northward from the modern village of Dönertaş. The local population moved to another place after the earthquake destroyed the village.

The local guide pointed out the presence of a fortress in the area of the village on top of a high rock massif, at 2,150 meters above sea level (40°14'18.88"N 42°08'31.82"E), although there are no ruins at the site. The village of Vanasor was located at the foot of this mountain where traces of old settlement can be clearly distinguished (40°14'12.07"N 42°08'29.91"E). Based on the available information, and by considering the stone piles, building materials, design of houses and other details, the existing buildings can probably be dated to the end of the 19th century and the end of the 20th century.

Directly on the territory of the former fortress, on the crest of a high mountain where the former fortress was built, piles of small stones are scattered around the rocky massifs. The rubble of a destroyed citadel walls can be seen in various parts of the crest. The geographical location of the mountain would be strategically important, although no traces remain from the fortification. Stone buildings scattered around are the only evidence of the existence of a fortified stronghold, a defensive structure which was possibly built around the perimeter of the mountain crest.



ფოტო/Photo 1, 2. ნასოფლარის საერთო ხედები / Site of a village, general view



ფოტო/Photo 3. ციხის (?) და წასოფლარის მდებარეობა (Google Earth) / Locations of the fortress (?) and former village (Google Earth)



ფოტო/Photo 4. ციხის (?) საერთო ხედი / Fortress (?), general view



ფოტო/Photo 5. ციხის (?) ტერიტორია / Site of the fortress (?)



ფოტო/Photo 6, 7. ციხის (?) ტერიტორია / Site of the fortress (?)

ვაღავერი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი


ისტორიული ბასიანის სოფელი ვაღავერი, თანამედროვე დუმანკაია, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Dumankaya, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან სამხრეთით, დაახლოებით 2-2.5 კილომეტრის მოშორებით, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების არსებობაზე. ადგილობრივი მოსახლეობის მიხედვით საქმე გვაქვს კლდეში ნაკვეთ კომპლექსთან, რომლის ცალკეული ქვაბები შორიდანაც განირჩევა მასიური, კლდოვანი ფერდის ზედაპირზე. მიუვალობის გამო კომპლექსის დეტალური შესწავლა ვერ მოხერხდა.

Vağaver, a Rock-Cut Cave Complex

Vağaver, a village in historical Basiani, the modern Dumankaya, Köprüküy District, Erzurum Province (Dumankaya, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

The locals informed about the presence of rock-cut caves southward, about 2-2.5 km away from the village. According to them, it is a rock-cut complex. The caves can be seen from afar on the surface of a massive rocky slope. Since the caves were inaccessible, we left them unexamined in detail.



ფოტო/Photo 1. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view

ზემო კარაკალე, მეგალითური ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო კარაკალე, თანამედროვე კარაკალე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karakale, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის განაპირა ტერიტორიაზე, ცენტრიდან დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, დასავლეთ ნაწილში, მცირედ შემადღებულ ბორცვზე (40°07'12.17"N 41°37'31.10"E). მისი საერთო ზომები საკმაოდ შთამბეჭდავია - სიგრძე დაახლოებით 70-80 მეტრს აღწევს, ხოლო სიგანე 50-60 მეტრი იქნება. ზოგიერთ მონაკვეთზე ძეგლის წყობა შედარებით უკეთაა შემორჩენილი და მისი სიმაღლე 4-5 მეტრს უახლოვდება, ხოლო ზოგან 1-2 მეტრია. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. თავდაპირველი

შენობის მხოლოდ ზოგადი ნიშნები იკითხება, ხოლო მისი ძირითადი არქიტექტურული მთლიანობა თითქმის ბოლომდეა დარღვეული.

ობიექტი წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების მოზრდილ ნაგებობას. ძეგლის აღმოსავლეთი, სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლები მართი კუთხითაა დაგეგმარებული, ხოლო დასავლეთ კედელზე შეინიშნება რკალური გადახრა საერთო ხაზიდან გარე პერიმეტრზე. სამხრეთი კედლის შუა მონაკვეთზე იკითხება დიდი ზომის განარღვევი არე (დაახლოებით 2-2.5 მეტრი). აღნიშნული ღიადი თავდაპირველად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ ის შესასვლელს წარმოადგენდა. იმავე სამხრეთი კედლის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში, შედარებით მომცრო ზომის, კიდევ ერთი კარია - მართკუთხა მოხაზულობის, დაახლოებით 1-1.2 მეტრის სიგანის კარის ღიობი ნაწილობრივ მიწის ქვეშაა მოქცეული. სამხრეთი კედელი მოიცავს წყობის საკმაოდ მაღალ მონაკვეთს, სადაც ჩანს ქვის განლაგების „თევზისფხისებრი“ მოტივი. წყობის ეს კონსტრუქციულად გააზრებული და მხატვრულად გადაწყვეტილი მოტივი საკმაოდ შთამბეჭდავია. აღსანიშნავია, რომ წყობის ეს ხასიათი ფიქსირდება ინტერიერშიც, ხოლო ლოდებსა და დიდი ზომის ქვებს შორის არსებული არე შევსებულია შედარებით წვრილი ქვის ღორღით. მნიშვნელოვანია ჩრდილოეთით შემორჩენილი კედლის კონსტრუქციული გააზრება – ამ მონაკვეთის წყობა ყველაზე მეტი დაცულობისაა და მოიცავს ერთგვარ კონტრფორსებს.

ამრიგად, საქმე გვაქვს მასიური ლოდებითა და მცირედ „სახემიციმული“ ქვების მშრალი წესით ამოყვანილ ძეგლთან, რომელიც სამშენებლო მასალის და საერთო გეგმარების მიხედვით მეგალითური ტიპის სათავდაცვო-სამოსახლო ნაგებობას წარმოადგენს.


Upper Karakale, a Megalithic Fortress

Upper Karakale, a village in historical Basiani, modern Karakale, Pasinler District, Erzurum Province (Karakale, Pasinler İlçesi, Erzurum İli).


The monument is located on the outskirts of the village, about 300-400 meters away from the center, in the western part, on a slightly elevated hill (40°07'12.17"N 41°37'31.10"E). Its overall dimensions are quite impressive: the length reaches about 70-80 meters, and the width – 50-60 meters. The structure of the monument is in some places relatively better preserved and its height is some 4-5 meters, in some places – 1-2 meters. The fortress is badly damaged. Only the general outline of the original structure remains. Its main architectural integrity is almost completely destroyed.

The monument is a large rectangular building. The eastern, southern, and northern walls of the monument meet at right angles, while the western wall has an arc deviation from the common external perimeter. A large gap (about 2-2.5 meters wide) can be seen in the central part of the south wall. We believe that this opening was originally an entrance: the main gate stood there. There is another relatively small entrance in the extreme eastern part of the same southern wall. The doorway is rectangular, approximately 1-1.2 meters wide and partially buried in the ground. The stone structure of one part of the south wall has a characteristic “herringbone” arrangement. This constructively thought out and artistically designed wall motif is quite impressive. It should be noted that a similar stonework pattern can also be seen in the interior. The space between the stone blocks and the large stones is filled with small stones. The construction method of the north wall is worth noting. To increase the strength of this wall, it was strengthened with buttresses.

It can be concluded that we are dealing with a drywall construction built of massive boulders and roughly “shaped” stones. Taking into account the building materials used and the general design, it is a defensive and residential construction of megalithic type.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი დასავლეთიდან / Fortress, general view from the west



ფოტო/Photo 3. ციხის დასავლეთი კარი / West gates of the fortress



ფოტო/Photo 4. ციხის სამხრეთი კედელი / South wall of the fortress

ზემო კიზილკალე, ციხე სოფლის ჩრდილოეთით


ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო კიზილკალე, თანამედროვე იუქარიკიზილკალე, ქოფრუქის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yukarıkızılkaale, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მთის თხემზე (39°44'01.77"N 41°45'00.29"E). ძეგლის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Ceylan და სხვ., 2018: 92, 93), ნაგებობის კედლები, რომელთა სისქეც 2-2.5 მეტრამდეა, მშრალი წყობის ტექნიკით, უხეშად დამუშავებული საშუალო ზომის ქვითაა ნაგები. ნაგებობას სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან თითო შესასვლელი აქვს. გარდა ამისა კედლები ჩრდილოეთიდან, დასავლეთიდან და სამხრეთიდან ბურჯებით არის გამაგრებული. ციხე დაახლოებით 50 მეტრის სიგრძისა და 26 მეტრის სიგანისაა.

Upper Kizilkale, a Fortress Northward of the Village

Upper Kizilkale, a village in historical Basiani, the modern Yukarıkızılkaale, Köprüküy District, Erzurum Province (YukarıKızılkaale, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

The fortress lies about one kilometer northward from the village, on a mountain ridge (39°44'01.77"N 41°45'00.29"E). It was not possible to visit the monument on site to study it. According to Turkish-language literature (Ceylan et al., 2018: 92, 93), the monument is a drywall construction built of rough-hewn and medium-sized stone. The thickness of the walls is 2-2.5 meters. The building has one entrance from the south and another from the east. In addition, the walls are reinforced with buttresses on the north, west and south sides. The fortress is approximately 50 meters long and 26 meters wide.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)

თავშანჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი თავშანჯიკი, თანამედროვე თავშანჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Tavşancık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

გამოქვაბულთა საკმაოდ მასშტაბური კომპლექსი განთავსებულია სოფელ თავშანჯიკის აღმოსავლეთით 2 კილომეტრის მოშორებით, ცენტრალური გზის პირას (40°06'35.67"N 42°23'54.31"E).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი რამდენიმე იარუსადაა დანაწევრებული. მისი წინა არე, ძლიერი დაზიანების გამო, ჩამოშლილი და დაკარგულია. არსებული მონაცემებით იკითხება კომპლექსის შემადგენელი მინიმუმ ორი სართული, საიდანაც ქვედა იარუსი დაშლილ-დანაწევრებულია, ხოლო ზედა სართულზე არსებული ნაწილი კლდის სიღრმეში საკმაოდ ღრმად იშლება.

კლდის პირზე აღინიშნება რამდენიმე სათავსი. მათი ზომები, ფორმები და დანიშნულება განსხვავებულია. გვხვდება ისეთი სათავსები, სადაც პირველი და მეორე სართულები ერთმანეთს უკავშირდება წრიული ხვრელების საშუალებით. ამავე მონაკვეთზე იკითხება კიბის უჯრედები, კლდეში ნაკვეთი ქვევრები, გამოქვაბულთა სივრცეში არსებული მცირე ნიშები, თაროები, დასაჯდომი შევრილობები და ა.შ. აღნიშნულ მონაკვეთზე, საერთო ჯამში დაახლოებით 20-მდე ქვაბია შემორჩენილი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის სხვადასხვა დონეზე და მის პერიმეტრზე განირჩევა კერამიკის, მცირე ზომის, ფრაგმენტები. აღნიშნული არტეფაქტები ძირითად შემთხვევაში საყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა.

კომპლექსის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, მეორე იარუსზე არსებული, გრანდიოზული სივრცე, რომელიც კლდოვანი მასივის სიღრმეშია განვითარებული. მოცემულ შემთხვევაში ჩვენ გვხვდება ერთი, გრძელი „დერეფანი“, რომლის ორივე მხარესაც, ერთმანეთის პარალელურად, წარმოდგენილია განშტოებები. „დერეფნის“ სიღრმეში განვითარების პარალელურად, მის ორ მხარეს, თანაბარი მანძილით გვხვდება დამატებითი სათავსები. ესაა ერთგვარი „ბაზილიკის“ პრინციპზე გამოკაფული სივრცე, რომელსაც გააჩნია ცენტრალური „ნავი“ და თალებით უკავშირდება გვერდით სათავსებს. საერთო ჯამში ჩვენ გვხვდება ხუთ-ხუთი პარალელური გასასველი სათავსი, ცენტრალური ნავიდან.

გარდა მოცემული კომპლექსისა, მიმდებარე პერიმეტრზე, დაახლოებით 5 კილომეტრის რადიუსზე კლდოვან ქანებზე განირჩევა სხვადასხვა ზომის, მასშტაბისა და დანიშნულების კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ფრაგმენტები.

Tavşancık, a Rock-Cut Cave Complex Eastward from the Village

Tavşancık, a village in historical Basiani, the modern Tavşancık, Horasan District, Erzurum Province (Tavşancık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

There is a large cave complex located 2 kilometers eastward of the village of Tavshanjik, on the side of the central road (40°06'35.67"N 42°23'54.31"E).

The caves of the rock-cut complex are distributed over several floors. Part of them is severely damaged: the front parts of the caves have decayed and collapsed. Currently, at least two tiers of the complex are visible, from which the lower-level caves are damaged, and a certain part of the caves on the upper level go deep into the hill.

Several caves can be seen on the rock face. They vary in size, shape and purpose. There are caves whose first and second floors are connected to each other by means of round holes. In the same section of the rock, the stairs, rock-cut pitchers, small niches in the interior of the caves, shelves, rock-cut benches, etc. can be seen. In total, about 20 caves have been preserved in the mentioned section. At different levels and around the perimeter of the rock-cut cave complex, there are mostly fragments of household pottery.

The most important part of the complex is a large room on the second level, which goes deep into the rock. In this case, we find a long “corridor” with branches on both sides. There are additional caves rock cut at equal distances along the two sides of the corridor. It is a room excavated according to the “basilica” plan, which has a central “nave” connected to the side rooms by arches. In total we find five parallel caves accessible from the central nave.

Apart from this complex, within a radius of about 5 kilometers, fragments of the rock-cut complexes of different sizes, scales and purposes can be seen.



ფოტო/Photo 1. კლდეში ნაკვეთი კომპლექსი / Rock-cut cave complex




ფოტო/Photo 2. კომპლექსის სათავსების ფრაგმენტები / Complex, room remains



ფოტო/Photo 3. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მთავარი სივრცე / The main room of the rock-cut complex



ფოტო/Photo 4. კლდეში ნაკვეთი კომპლექსის მთავარი სივრცე / The main room of the rock-cut complex



ფოტო/Photo 5, 6, 7. კომპლექსის ცალკეული სათავსები / Complex, separate rooms



ფოტო/Photo 8, 9. კერამიკის ფრაგმენტები კომპლექსის ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site of the complex

თეფეჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ეკლესიის ბაზისები

ისტორიული ბასიანის სოფელი თეფეჯიკი, თანამედროვე თეფეჯიკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Tepecik, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

2002 წელს, სოფლის ტერიტორიაზე თურქმა მკვლევარმა დააფიქსირა ეკლესიის სვეტის ოთხი ბაზისი (Karaosmanoğlu და სხვ., 2004: 303). არტეფაქტების არსებობას ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს, თუმცა მათი ნახვა ვერ მოხერხდა.

Tepecik, Church Column Bases Found in the Village

Tepecik, a village in historical Basiani, the modern Tepecik, Pasinler District, Erzurum Province (Tepecik, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

In 2002, a Turkish researcher found four bases of church columns in the village area (Karaosmanoğlu et al., 2004: 303). Local residents confirm the presence of the column bases though we failed to see them.

თიზგი, ოსმალური აბანო

ისტორიული ბასიანის სოფელი თიზგი, თანამედროვე აზიტლარი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aşıtlar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში და სადღეისოდ მოქცეულია გვიანდელი მინაშენი სახლის ფარგლებში. მართკუთხა გეგმარების კუთხეებმომრგვალებული ძეგლის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 4x5 მეტრია, ხოლო მისი სიმაღლე ინტერიერში 5 მეტრს აღწევს. არ იკითხება ნაგებობის საერთო პროპორციები და მისი ზოგადი არქიტექტურული თუ კონსტრუქციული მთლიანობა - ჩანს მხოლოდ ერთი სათავსი, მართკუთხა დაგეგმარების და მის გარე კედელზე ერთი მხრიდან მიშენებული ნაგებობა.

შემორჩენილი ნაწილების მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს ოსმალური ტიპის აბანოსთან, რომლისგანაც სადღეისოდ, სრული სახით მხოლოდ ერთი ფრაგმენტი იკითხება. ნაგებობის ინტერიერი შელესილია, რის გამოც არ იკითხება სამშენებლო მასალა. შენობის ძირითადი კორპუსი ქვით, ხოლო გუმბათი აგურის წყობით უნდა იყოს ამოყვანილი. მნიშვნელოვანია, რომ ინტერიერის კედლები შემკულია ერთმანეთზე გადამავალი შეისრული თალებით. ინტერიერში შემორჩენილია პატარა ზომის ნიში, ნახევარწრიული თავსართით, რომლის ფუნქცია უცნობია და მცირე არქიტექტურული დეტალები.

დღემდე შემორჩენილი, მონაცემების მიხედვით რთულია მსჯელობა ძეგლის საერთო არქიტექტურული, გეგმარებითი თუ მხატვრული სახის შესახებ. ასევე რთულია მისი სავარაუდო აგების თარიღის დადგენა, თუმცა შესაძლებელია ნაგებობა XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღდეს.

Tizgi, an Ottoman Bath

Tizgi, a village in historical Basiani, the modern Aşıtlar, Pasinler District, Erzurum Province (Aşıtlar, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument lies at the center of the village. It is partially altered by the later extension. The rectangular monument with rounded corners is approximately 4 meters long and 5 meters wide, and its height in the interior is 5 meters. The overall proportions of the building and its general architectural and structural integrity cannot be perceived. Only a rectangular building built against the outer wall as an extension is visible.

According to the preserved parts, it is probably an Ottoman Turkish bath, of which only one part survives altogether. The interior of the building is plastered; therefore, no building materials are visible. The main body of the building should be of stone, and the dome should be built of brick. It is important that the interior walls are decorated with pointed arches. A small arched niche of unknown function and small architectural details are preserved in the interior.

It is difficult to assess the overall architectural, design or artistic aspects of the monument based on the remains that have survived to this day. It is also difficult to determine the approximate time of its construction, although it is plausible that the monument dates from the XVII-XVIII centuries.



ფოტო/Photo 1. აბანოს საერთო ხედი/Bathhouse, general view



ფოტო/Photo 4. აბანოს ინტერიერი/Bathhouse, interior

იაზილიტაში, ციხე და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანის სოფელი იაზილიტაში, თანამედროვე იაზილიტაში, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yazılıtaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს უზარმაზარი მთა, რომლის თავზეც, ზღვის დონიდან 2240 მეტრზე, მშრალი წყობით ნაგები ციხის ნაშთებია შემორჩენილი, ხოლო კლდის ძირში განთავსებულია ურარტული წარწერა (39°52'02.74"N 42°17'09.27"E). აღსანიშნავია, რომ ექსპედიციის ფარგლებში, ბუნებრივი რთული პირობების გამო ვერ მოხერხდა ციხის დეტალური ფიქსაცია. მნიშვნელოვანია, რომ თავად ეს მასშტაბური და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მთა, რომელიც უღელტეხილზეა განთავსებული, უძველესი ხანიდანვე იყო ათვისებული. მსგავსი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებიც ბუნებრივი გამაგრებითი სისტემით გამოირჩეოდნენ და იმავდროულად აკონტროლებდნენ მიდამო ხევებსა და ტერიტორიებს, ცხადია გამორჩეული ინტერესის საგანს წარმოადგენდა.

კლდის ძირში, მიწის დონიდან დაახლოებით 2.5-3 მეტრის სიმაღლეზე, მოცემულია მართკუთხა მოხაზულობის ჩანაკვეთი არე, რომლის სიღრმეც დაახლოებით 30-40 სანტიმეტრია. 1.5 მეტრის სიმაღლისა და 1 მეტრის სიგანის მართკუთხა კლდოვანი სიბრტყე სრულადაა შევსებული ურარტული წარწერით, რომელიც ალაგ-ალაგ დაზიანებულია ნატყვიარებით. წარწერა მაღალი ოსტატობითაა შესრულებული და საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. მართკუთხა, ჩანაკვეთი ჩარჩო და მასში განთავსებული წარწერა, თავისი გადაწყვეტით, „ჩარჩოში მოქცეულ სურათს“ მოგვაგონებს. წარწერის თავზე, ერთგვარი ფრონტონის სახით, მოცემული კლდეში ჩანაკვეთი „ლილვი“, რომლის დანიშნულებაც უცნობია. წარწერა გამოქვეყნებულია ურარტული ტექსტების კორპუსში (Salvini 2008: A 5-3). ლ. გორდეზიანის მიხედვით წარწერა შემდეგნაირად იკითხება:

„ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაუხის, ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა (სალაშქროდ) მენუა იმფუნის მე; წინ უძღოდა (მას) ღვთაება ხალდი. მენუა ამბობს: დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრეები (დავანგრეე). მივედი შეშეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუა(მდე), ქალაქი უტუხაი ... მენუა ამბობს: უტუფურში, მეფე დიაუხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე (მას) მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის (გადახდის) პირობით, მომცა მან ოქრო (და) ვერცხლი, მომცა ხარკი. ის ტყვეები (?), (რომლებიც) დაბრუნდნენ (მასთან), დამიბრუნა მან მთლიანად. მენუა ამბობს: ... 2 მეფე მე იქიდან მოვაცილე: ბალთულხის ქვეყნის (მეფე) (და) ქალაქ ხალდირიულხის ქვეყნის (მეფე). გამაგრებული ციტადელები, (რომლებიც კი იყო იმ) ქვეყანაში, მე იქიდან მოვლიოჯე. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გასტეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: „მე გავაკეთე (ყველაფერი ეს)“, დაე მოსპონ ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა იგი მზის ქვეშ, ნურც გზა გარეთ (ექნება), ნურც ღმერთი ნურც ხალხი სადმე წაიყვანს/შეიფარებს.“ (გორდეზიანი 2012: 90-92).

Yazılıtaş, a Fortress and Urartian Inscription

Yazılıtaş, a village in historical Basiani, the modern Yazılıtaş, Horasan District, Erzurum Province (Yazılıtaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

About a kilometer eastward of the village, there is a huge mountain, on the top of which, at 2,240 meters above sea level, there are remains of a drywall fortress, and at the foot of the rock is found the Urartian inscription (39°52'02.74"N 42°17'09.27"E). It should be noted that the fortress could not be documented in detail during the expedition due to difficult natural conditions. It is important that this massive and strategically important mountain, where the mountain pass is located, has been used since ancient times. Naturally, of interest are the geographic areas which played the role of natural fortification system and at the same time dominated the adjacent valleys and areas.

At the foot of the rock, at a height of about 2.5-3 meters above the ground level, there is a rectangular rock-cut area with a depth of about 30-40 centimeters. The 1.5-meter-high and one-meter-wide rectangular rock surface is

completely filled with Urartian inscription, which is partially damaged by bullets. The inscription is skillfully carved and fairly well preserved. A rectangular rock-cut frame and an inscription placed inside it reminds of a “framed picture”. Above the inscription, there is a rock-cut “shaft” in the form of a kind of a pediment the purpose of which is unknown. The inscription is published in the “The Corpus of Urartian Texts” (Salvini 2008: A 5-3). The reading of the text by L. Gordeziani:

“God Haldi with his weaponry went on a campaign against the powerful country Diauehi. God Haldi is strong and God Haldi's weaponry is powerful as well. Minua, son of Išpuini, went (on a campaign) armed with the power of God Haldi. God Haldi went ahead. Minua says: I captured the Land of Diauehi and Šašilu; I captured the King City in the war. I burned down the country, (destroyed) the fortresses. I reached the Land of Šešetin and the City of Zua. The City of Utuha... Minua says: Utupurši, the King of Diauehi came before me, embraced my knees, fell at my feet. I showed mercy to him. I spared his life in exchange for tribute. He gave me gold and silver. He paid tribute. He gave me back all those captives(?) (who) returned (to him). Minua says: ... I took from there two kings: (the king) of the Baltulhi Country and (the king) of the Haldiriulh Country. I wiped from the face of the Earth the fortified fortresses (that were in that) country. Minua says: whoever eradicates this inscription, whoever destroys it, whoever makes someone else to do so, or whoever says “I did (all these things)”, may the God Haldi, the God Teišeba, the God Šivini, (and all) the Gods ruin him under the sun, let there be no way out for him, let neither the God nor the people accept him / give shelter anywhere.” (Gordeziani 2012: 90-92).



ფოტო/Photo 1. კლდეზე ნაკვეთი ურარტული წარწერა / Urartian inscription engraved on the rock surface



ფოტო/Photo 2. ციხის და ურარტული წარწერის მდებარეობა (Google Earth) / Locations of the fortress and Urartian inscription (Google Earth)



ფოტო/Photo 3. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 4. კლდეზე ნაკვეთი ურარტული წარწერა, საერთო ხედი / Uartian inscription engraved on the rock surface, general view



ფოტო/Photo 5. კლდეზე ნაკვეთი ურარტული წარწერა, საერთო ხედი / Uartian inscription engraved on the rock surface, general view

იღირბიღირი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი იღირბიღირი, თანამედროვე იღირბიღირი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (İğirbiğir, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 2.5 კილომეტრის მოშორებით, მაღალ მთებში, ზღვის დონიდან 2280 და 2340 მეტრზე, მდებარეობს ნაგებობათა კომპლექსები, რომლებიც საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი. ადგილობრივი მოსახლეობა მოცემულ ტერიტორიასა და აქ განთავსებულ მშრალი წყობის ნაგებობებს იღირბიღირის სახელით მოიხსენიებს.

ძეგლები გაშენებულია ორ, ერთმანეთის გვერდით არსებულ მთაზე ისე, რომ მათ შორის მანძილი დაახლოებით 300 მეტრია. ერთი მათგანი (მარჯვენა, რომელიც სოფლიდან ამომავალი გზიდან პირველი გვხვდება) შედარებით მცირე ზომისაა და დაბალ დონეზე მდებარეობს, ხოლო მეორე მასშტაბით, სიმაღლით, მოცულობითა თუ დაცულობის ხარისხით ბევრად შთამბეჭდავია.

მარჯვენა მთის თხემზე განთავსებული მშრალი წყობის ნაგებობა (39°59'29.27"N 42°30'30.19"E) ძლიერაა დაზიანებული, დაშლილია მისი კედლები, ხოლო სამშენებლო მასალა ყველა მხარესაა კლდოვან რელიეფზე ჩამოშლილი. ჩანს შენობის თავდაპირველი გეგმარების ძირითადი კედლები, რომელიც კლდოვანი ბაქანის ფორმას შემოსდევს. დაახლოებით 150 მეტრის სიგრძისა და 120 მეტრის სიგანის მთის თხემი სრულად აქვს ათვისებული თავდაცვითი სისტემის ნაშთებს. შენობას ხეობის მხარეს კლდოვანი მასივი იცავს, ხოლო ზურგის არეზე შედარებით იოლი მისასვლელია. გალავნის, შენობის ძირითადი კედლები გარდამავალი დაცულობით ხასიათდება - მისი კედლების საშუალო სიმაღლე 2-2.5 მეტრია, ხოლო ზოგან უფრო მაღალ ნიშნულსაც აღწევს. ამავე გალავნის კედლის სისქე 3 მეტრამდეა, რაც ადასტურებს სისტემის მდგრადობასა და სიმტკიცეს. კედლები დიდი და საშუალო ზომის, მცირედ დამუშავებული და ფორმამიცემული ქვებითაა ნაგები. საფასადო არე და ინტერიერის წყობა გასწორებულია და შედგენილია მოზრდილი ქვებისგან, ხოლო მათ შორის სივრცეები ამოვსებულია შედარებით მცირე ზომის ქვებითა და ფლეთილებით. საყურადღებოა თავად კომპლექსის ინტერიერი, სადაც მრავლად განიჩქვება ნაგებობათა კვალი. ზოგიერთ შემთხვევაში იკითხება გეგმარება, ხოლო ზოგან მხოლოდ კედელთა სასაძირკვლე კედლების ნაშთებიღა აღიქმება. ნაგებობის შიდა პერიმეტრზე ჩვენ რამდენიმე უბანთან გვაქვს საქმე, რომლებიც შესაძლოა ერთმანეთს კედლებითაც ემიჯნებოდა. გალავნის გარე პერიმეტრზეც, ნაგებობის ზურგის მხრიდან, სადაც ის ნაკლები დაცულობით ხასიათდება, გვხვდება შენობათა კვალი, რომლებიც სავარაუდოდ გალავნის დამატებითი, ტერასული ნაწილებია.

მეორე, მარცხენა ნაგებობა, რომელიც ხსენებულზე გაცილებით მასშტაბურია, უფრო მაღლაა განთავსებული (39°59'29.27"N 42°30'30.19"E) და მეტი დაცულობით ხასიათდება. ამ შემთხვევაშიც ნაგებობის ძირითადი გეგმარება კლდის თავის ბუნებრივი განვითარების კონტურს შემოსდევს. ციტადელი გაცილებით ფართო მასშტაბს მოიცავს, მისი ძირითადი მონაკვეთის სიგრძე 250 მეტრს, ხოლო სიგანე 200 მეტრს უახლოვდება. მთავარი შენობა თავისი კარგი დაცულობით აშკარად ავლენს მის გვერდით მთაზე არსებული ნაგებობისგან განსხვავებულ სტრუქტურას. ციტადელის გალავნის კედლების სამშენებლო მასალად დიდი ზომის ქვებია გამოყენებული ისე, რომ შიდა და გარე წყობის გასწორებულ კედლებს შორის მოქცეული არე შევსებულია შედარებით წვრილი ქვების ღორღით. კედლების სისქე დაახლოებით 2.7-3 მეტრია, ხოლო მისი აგების სტრუქტურისთვის სახასიათოა კონტრფორსების არსებობა. მთავარი კედლის მთელ პერიმეტრზე, წყობის გარე ნაწილზე, დაახლოებით 4-5 მეტრიანი დისტანციით წარმოდგენილია მართკუთხა შვერილები, რაც კედელს განსაკუთრებულ სიმტკიცესა და მდგრადობას სძენს. საფიქრებელია, რომ ეს კომპლექსი, თავისი მასშტაბითა და გრანდიოზულობით აერთიანებდა როგორც საცხოვრებელ, ისე თავდაცვით ნაწილს. აქვე საყურადღებოა, რომ ორივე მთის ძირში და მათ მაკავშირებელ უღელტეხილზე არსებულ მოვაკებაზე განიჩქვება ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

კონტრფორსებით გამყარებული ძეგლები ბასიანის რეგიონის ფარგლებში, გარდა ამ უკანასკნელისა, მხოლოდ ორია, თუმცა მასშტაბისა და გრანდიოზულობის თვალსაზრისით იღირბიღირი ორივე მათგანს ძლიერ აღემატება. ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვით და სამოსახლო სისტემასთან.

ნაგებობები მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი მეგალითურ ციხეებად იხსენიებს.

Iğırbiğır, a Drywall Buildings Northwest from the Village

Iğırbiğır, a village in historical Basiani, the modern Iğırbiğır, Horasan District, Erzurum Province (Iğırbiğır, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Northwest from the village, at approximately 2.5 kilometers from the center, in the high mountains, at 2,280 and 2,340 meters above sea level, there are quite well-preserved building complexes. Local residents call this area and the drywall buildings located there Ighirbighir.

The monuments are built on two adjacent hills, about 300 meters apart. One of them (the one on the right, the first then leaving the village) is relatively small and lies low, while the second one is much more impressive because of its large scale, height and degree of protection.

The drywall building erected on the crest of the right mountain (39°59'29.27"N 42°30'30.19"E) is heavily damaged: its walls have collapsed, and the rubble is scattered across a rocky terrain. The original main walls of the building can be seen. Their design almost completely follows the contour of the ridge. The 150-meter-long and 120-meter-wide ridge of the mountain is completely occupied by the remains of the defensive wall. The building is protected by a rock massif on the valley side; the back side is relatively easy to access. The main walls of the defensive wall are characterized by different protection options: the average height of the walls is 2-2.5 meters; sometimes it reaches a higher mark. The wall thickness is up to 3 meters, which ensures the stability and strength of the system. The walls are built of large and medium-sized, slightly worked and shaped stones. The facade surface and the internal structure are aligned and assembled of large stones, and the spaces between them are filled with relatively small stones. The interior of the complex itself is notable for numerous building traces. Sometimes, the layout can be discerned and sometimes only the remains of the foundations of the walls can be seen. The internal perimeter of the building covers several areas that may have been separated from each other by walls. On the outer perimeter of the defensive wall, behind it, where the fortress is less protected, there are traces of buildings, which are probably parts of the defensive wall erected on the terraces.

The second building on the left, which is much larger than the above-mentioned one, is located higher and is more protected (39°59'29.27"N 42°30'30.19"E). In this case too, the basic design of the building follows the contour of the ridge. The citadel is much larger: the length of its main section is 250 meters, and the width is close to 200 meters. The well-preserved main building shows a distinctly different structure than the one on the adjacent hill. Large stones are used as building material for the walls of the citadel, so that the area between the smooth walls of the inner and outer piles is filled with relatively smaller stones. The thickness of the walls is approximately 2.7-3 meters and its construction is characterized by the presence of buttresses. On the outer surface of the perimeter of the main wall, rectangular buttresses are built at a distance of about 4-5 meters from each other, to give the wall special strength and stability. It can be assumed that the large-scale complex combined both residential and defensive functions. It should be noted that numerous remains of buildings can be seen at the foot of both mountains and in the pass connecting them.

Apart from the monument under discussion, there are only two buttressed monuments in the Basiani region, although Iğırbiğır greatly surpasses both of them in terms of scale and grandeur. Based on the location of the building, the shapes of the remains, the arrangement of the stones and the general design principle, it is probably a defensive and residential structure of the megalithic culture.

The monuments are mentioned in the Turkish literature. Turkish researchers call them megalithic fortresses.



ფოტო/Photo 1. ნაგებობების მდებარეობა (Google Earth) / Location of buildings (Google Earth)



ფოტო/Photo 2. მარჯვენა ნაგებობის საერთო ხედი / General view of the building to the right



ფოტო/Photo 3. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 4. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 5. მარცხენა ნაგებობის საერთო ხედი / General view of the building to the left



ფოტო/Photo 6. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 7. გალანის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 8. ნაგებობის ტერიტორიაზე არსებული ფრაგმენტები / Fragments at the site of the building

კაინარჯა, ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი კაინარჯა, თანამედროვე კაინარჯა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით, მდინარის პირას, ოდნავ შემადლებულ ბორცვზე, ზღვის დონიდან 2090 მეტრზე, განთავსებული უნდა ყოფილიყო ციხე, რომელიც სადღეისოდ სრულადაა გამქრალი (39°57'17.88"N 42°31'59.70"E). მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ პერიმეტრზე არ ჩანს კედლების სტრუქტურის კვალი და არც რაიმე ნაგებობის ნაშთი, დასაშვებად მიგვაჩნია აქ ციხის არსებობა რამდენიმე მიზეზის გამო. უპირველესად, საყურადღებოა სავარაუდო ძეგლის განთავსების არეალი - ის, რომ ახლოსაა მდინარესთან, მდებარეობს შემადლებულ ბორცვზე და ეს ბორცვი ზოგადი სახით გამოხატავს მსგავსი ტიპის ნაგებობათა გეგმარებით თავისებურებას. ფერდობის ბაქნის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 70x80 მეტრზეა, ხოლო მის ზედაპირზე დაკვირვებული და გამოცდილი თვალისთვის შესამჩნევია, მცენარეული საფარის ქვეშ არსებული, ნიადაგის ხელოვნური რელიეფურობა. გარდა ჩამოთვლილი მიზეზებისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სწორედ ამ მონაკვეთზე მიუთითებს ოდესღაც არსებული ციხის შესახებ. ნაციხრის მიმდებარე ტერიტორიაზე უხვადაა მიმოვანტული კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, რომლებიც საგანგებო კვლევებს საჭიროებს, თუმცა ზოგადი სახით აქ განირჩევა შუა საუკუნეებისთვის სახასიათო საყოფაცხოვრებო ჭურჭელი.

ვფიქრობთ, რომ ციხე მოქცეულია მიწის ქვეშ, თუმცა მისი რაიმე სახის დადგენა ამ მდგომარეობაში შეუძლებელია, მით უფრო - დათარიღება.

Kaynarca, a Fortress

Kaynarca, a village in historical Basiani, the modern Kaynarca, Horasan District, Erzurum Province (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

About 400 meters eastward of the center of the village, on the edge of the river, on a slightly elevated hill, at 2,090 meters above sea level, there should have been a fortress, which has completely disappeared (39°57'17.88"N 42°31'59.70"E). Despite the fact that there are no traces of a wall structure on the perimeter and no building remains, we consider the existence of the fortress possible for several reasons. First of all, the location of the above-mentioned monument is not accidental: it is located near the river, on a high hill. The latter shows the contours characteristic of the design of the fortifications. The levelled platform on the crest of the hill is 70 meters long and 80 meters wide. The artificial relief of the earth is visible to the attentive and experienced eye through the vegetation. In addition to the above-mentioned signs pointing to the existence of a construction on the hill, the local residents refer to a fortress that once stood on the site. In the vicinity of the former fortress area, there are a lot of pottery sherds that require special research. In general, the fragments of household utensils of the Middle Ages can be distinguished.


We consider that the fortress is buried underground that makes impossible to judge the design and the date of construction of the monument.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის ტერიტორია /
The building site



ფოტო/Photo 2. კერამიკის ფრაგმენტები ციხის ტერიტორიაზე /
Pottery sherds found at the site of the fortress



ფოტო/Photo 3. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 4. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view

კაინარჯა, ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი კაინარჯა, თანამედროვე კაინარჯა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის მიდამოებში, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, დაახლოებით 2.5 კილომეტრში ზღვის დონიდან 2240 მეტრზე, ლოკალიზდება ციხის ფრაგმენტები (39°56'15.67"N 42°30'49.82"E). სავარაუდო ციხე განთავსებული იყო კლდოვან ქარაფზე, ერთგვარ კანიონში, სადაც ორ კლდოვან შვერილს შორის მდინარე ჩამოედინება. კლდის ქანობები, მდინარის მხარეს საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან და არაა გამორიცხული, რომ ოდესღაც (აქ ციხის ფუნქციონირების დროს), მათ შორის გადებული ყოფილიყო საკომუნიკაციო საშუალება ხის ან ქვის ხიდის სახით. სადღეისოდ ნაგებობათა ნაშთები განირჩევა მხოლოდ კლდოვანი მასივის მარცხენა მხარეს. აღნიშნული მონაკვეთის საფორტიფიკაციო განვითარება პირობითად ორ სიმძლავრედ უნდა წარმოვიდგინოთ - ერთი უშუალოდ კლდის თხემი, სადაც ყველაზე მაღალი წერტილია მოცემული და ოდნავ მის ქვემოთ მცირე ბაქანი, დაახლოებით 15 მეტრის სიგრძისა და 25 მეტრამდე სიგანის. სწორედ ამ უკანასკნელზე განირჩევა წყობის ფრაგმენტები. გვხვდება კედლის სტრუქტურების სხვადასხვა ლოკაციაზე, თუმცა ძლიერ დაზიანებული და დაშლილი. საფიქრებელია, რომ ციხის შემადგენელი კედლების დიდი ნაწილი მიწის ქვეშაა მოქცეული, რადგან ტერიტორია თითქმის სრულადაა მცენარეებით დაფარული. ძეგლის პერიმეტრზე მრავლად განირჩევა კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტები.

ქვის წყობის, სამშენებლო მასალის, ციხის განთავსების ზოგადი სახისა თუ ადგილზე გამოვლენილი კერამიკული ნაწარმის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების დულაბით ნაგებ თავდაცვით სისტემასთან. თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ზემო კომის მეგალითურ ციხედ.

Kaynarca, a Fortress in the Southwest of the Village


Kaynarca, a village in historical Basiani, the modern Kaynarca, Horasan District, Erzurum Province (Kaynarca, Horasan İlçesi, Erzurum İli).

In the southwest of the village area, approximately 2.5 kilometers from the sea, at 2,240 meters above sea level, ruins of a fortress can be seen (39°56'15.67"N 42°30'49.82"E). The fortification is located on a rocky outcrop, in a “canyon” where a river flows between two rocks. The rock cliffs are quite close to each other on the river side, and it is possible that sometimes (during the existence of the fortress), a wooden or stone bridge was placed between them to move from one side to the other. Today, the remains of the buildings can be seen only on the left side of the rock massif. It can be assumed that it was a two-level fortress. One level was the crest proper, the highest point, and the other was slightly lower. It is a small flat platform of the hill, approximately 15 meters long and 25 meters wide, which is occupied by the fragments of the wall. The wall remains can be found in other locations as well, although they are all badly damaged and decayed. It is conceivable that a large part of the defensive wall is underground, since the area is almost completely covered by vegetation. There are many fragments of ceramic vessels on the perimeter of the monument.

Based on the type of masonry, construction materials, the location of the fortress, and design of the ceramic vessels found on the site, it can be assumed that we are dealing with a medieval fortress built of stone and mortar. In Turkish literature, the monument is called the Megalithic Fortress of Upper Komi.



ფოტო/Photo 1, 2. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building



ფოტო/Photo 3. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 4. ციხის საერთო ხედი / . Fortress, general view



ფოტო/Photo 5. ციხის საერთო ხედი /
Fortress, general view



ფოტო/Photo 6. კერამიკის ფრაგმენტები ციხის ტერიტორიაზე /
Pottery sherds found at the site of the fortress

კალბულასი, ციხე (?) და ურარტული წარწერა

ისტორიული ბასიანის სოფელი კალბულასი, თანამედროვე იემილოზი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yeşilöz, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით 2.3 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ველიბაბას მარჯვენა ნაპირას მდებარე ფრიალო კლდეზე შემორჩენილია წყალზე ჩასასვლელი გვირაბი, კლდეში ამოჭრილი საფეხურებით (39°57'07.51"N 42°17'18.64"E). ძეგლის ადგილზე გადამოწმება ვერ მოხერხდა. თურქულ ლიტერატურაში ეს ადგილი „დელალად“ არის მოხსენიებული (Dellal Kaya). ლიტერატურაში მხოლოდ ამ გვირაბის მცირე აღწერილობაა მოყვანილი (Ceylan 2022: 573). თუმცა კლდოვანი მასივის გამოკვეთილი ფორმა, მდებარეობა და მასზედ წყალზე ჩასასვლელი გვირაბის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ კლდის თხემზე ციხე უნდა ყოფილიყო. ჩვენს ვარაუდს ამყარებს ქვემოთ მოყვანილი ურარტული წარწერა, რომელიც „დელიბაბას ურარტული წარწერის“ სახელითაა ცნობილი. წარწერა გამოქვეყნებულია ურარტული ტექსტების კორპუსში (Salvini 2008: A 5-41A), ასევე თურქულ ლიტერატურაში (Özgül 2011: 143). გთავაზობთ წარწერის თარგმანს:

„ღმერთი ხალდის ძალით იშპუინის ძე მენუამ ეს ციხე სრულყოფილად ააგებინა. ღმერთი ხალდის დიდებულებით იშპუინის ძე მენუა, ძლიერი მეფე, დიდი მეფე, ბიანილის ქვეყნის მეფე (და) ქალაქ ტუშპას მმართველი(ა).“ [თურქულიდან თარგმნა ბ. გოზალიშვილმა].

ეს წარწერა ამჟამად დაკარგულად ითვლება. თურქი ავტორის ტექსტში მოყვანილი ინფორმაციის მიხედვით, ეს წარწერა ზემოთ ნახსენები დელალის კლდის სამხრეთით, მცირე ბორცვზე არსებულ ნაგებობაზე მდებარეობდა (Ceylan 2022: 573). შესაბამისად წარწერაში ნახსენები ციხე, რომელიც მენუამ ააგო, ამ კლდის თხემზე უნდა ყოფილიყო.


Kalbulas, a Fortress (?) and Urartian Inscription

Kalbulas, a village in historical Basiani, the modern Yeşilöz, Horasan District, Erzurum Province (Yeşilöz, Horasan İlçesi, Erzurum İli).


2.3 kilometers in the northeast from the village, on a wavy rock on the right bank of the Velibaba River, there is a tunnel with rock-cut steps leading to a water source (39°57'07.51"N 42°17'18.64"E). It was not possible to document the monument on site. In Turkish literature the site is called “Dellal Kaya”. There is only a brief description of the tunnel in the literature (Ceylan 2022: 573). The shape of the rock massif, its location and the existence of a tunnel leading to the water source indicate that there was probably a fortress on top of the rock. Our assumption is supported by Urartian inscription known as the “Delibaba's Urartian Inscription”. The inscription is published in the “The Corpus of Urartian Texts” (Salvini 2008: A 5-41A) and in Turkish literature (Özgül 2011: 143). Here follows the translation of the inscription:

“With the power of God Haldi, Minua, son of Išpuini built this fortress to perfection. By the majesty of the god Haldi, Menua the son of Išpuini, the mighty king, the great king, the king of the country of Bianil (and) the ruler of the city of Tushpa” [Translated from Turkish into Georgian by B. Gozalishvili].

This inscription is now considered lost. According to the information given in the text of the Turkish author, this inscription was located in a structure built on a small hill southward of the aforementioned Delal Kaya (Ceylan 2022: 573). So, the fortress mentioned in the inscription, which was built by Menua, must have been located on the crest of this mountain.



ფოტო/Photo 1. ურარტული წარწერის სქემატური გამოსახულება (წყარო: Özgül 2011: 252, ფოტო 125) / Drawing of the Urartian inscription (Source: Özgül 2011: 252, Photo 125)



ფოტო/Photo 2. ციხის და ურარტული წარწერის მდებარეობა (Google Earth) / Locations of the fortress and Urartian inscription (Google Earth)



ფოტო/Photo 3. ციხის საერთო ხედი (წყარო: Ceylan 2022: 589, ფოტო 2) / Fortress, general view (Source: Ceylan 2022: 589, Photo 2)

კარაველეთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი კარაველეთი, თანამედროვე კარაველეთი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karavelet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნანგრევები მდებარეობს სოფლის განაპირა ტერიტორიაზე, ცენტრიდან დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, შემალღებულ ბორცვზე (39°55'30.20"N 41°29'46.90"E). მცირე ბორცვის ზედაპირზე აღიქმება ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც თავის გარეგნული ფორმითა და საერთო გეგმარებით მიგვანიშნებს მშრალი წყობის ნაგებობაზე. ადგილზე მიკვლეული მასალის მიხედვით ჩნდება ეჭვი, რომ ტერიტორია სხვადასხვა დროის სამშენებლო ფენებს მოიცავს. ადგილობრივი მოსახლეობის მითითებით, მოცემული ბორცვზე რამდენიმე ათეული წლის წინ სოფელი მდებარეობდა, საიდანაც მოგვიანებით დაბლობზე გადმოსახლებულან. გადაჭრით იმის თქმა, რომ აღნიშნული ბორცვი მშრალი წყობის ნაგებობას მოიცავს, არ იქნება მართებული, მაგრამ ეს ვერსია არ არის გამოსარიცხი. შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ თავის დროზე სოფელი ძველ, მშრალი წყობის ნაკვალევზე გაშენდა.


ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას Kuşakkaya kalesi-ს უწოდებს.

Karavelet, a Drywall Building

Karavelet, a village in historical Basiani, the modern Karavelet, Pasinler District, Erzurum Province (Karavelet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The ruins are located on the outskirts of the village, approximately 300-400 meters from the center, on a high hill (39°55'30.20"N 41°29'46.90"E). The remains of stone buildings can be seen on top of a small hill. Taking into account external form and general plan of the buildings, these are drywall constructions. Based on the materials found at the site, it is likely that the construction layers from different periods are present. According to local residents, a few decades ago there was a village on the hill. Later, its population moved to the plains. It cannot be said for sure that these are drywall constructions, but this possibility cannot be ruled out. We consider it possible that the village was founded on the site of the drywall construction.

The local population calls the site Kuşakkaya kalesi.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments



ფოტო/Photo 4. ნაგებობის ინტერიუსის ფრაგმენტები / Fragments of the building's interior

კარაჯავირანი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი კარაჯავირანი, თანამედროვე კარაჯაიორენი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karacaören, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, მინდვრებსა და ველებზე არსებულ კლდოვან მასივში გაჭრილია გამოქვაბულები (40°02'47.11"N 42°20'46.18"E). ესაა მასიური კირქვის კლდოვანი შვერილი, რომელიც თეთრი ფერის სტალაგმიტური სახითაა წარმოდგენილი. თავისთავად კლდოვანი მასივი ძლიერ შთამბეჭდავია - ის გამოყენებული ყოფილა გამოქვაბული სისტემებისთვის.

რთული ბუნებრივი გარემო-პირობებისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამო, ძეგლის ადგილზე ვიქსაცია ვერ მოხერხდა. არსებული მასალის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლდოვანი მასივის შუა წელზე, მიწიდან დაახლოებით 20-25 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს გამოქვაბული კომპლექსები, რომელთა გარე ნაწილები მიდამო პერიმეტრიდანაც აღიქმება. ჩანს, რომ კომპლექსი საკმაოდ დიდი ზომისა უნდა იყოს, თუმცა გარედან დაკვირვებით იმის დადგენა თუ რამდენად ღრმად ვითარდება ქსელი კლდის სიღრმეში ძნელი დასადგენია.

Karacaviran, a Rock-Cut Cave Complex

Karacaviran, a village in historical Basiani, the modern Karacaören, Horasan District, Erzurum Province (Karacaören, Horasan İlçesi, Erzurum İli).

To the northeast of the village, approximately 0.5 kilometers away, caves are rock cut in the hill which rises in the valley (40°02'47.11"N 42°20'46.18"E). It is a white, stalagmite-like massive outcrop of limestone. The rock mass itself is very impressive. It is honeycombed with caves.

Due to extreme environmental conditions and opposition from local residents, we could not manage to document the monument on the site. Based on the available information, we can conclude that there are cave complexes in the middle of the rock mass, approximately 20-25 meters above the ground. Cave openings are visible from the surrounding perimeter. It is clear that the complex must be quite large, although it is difficult to determine from the outside how deep the cave complex extends.



ფოტო/Photo 1. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view

კიზლარკალე, ციხე (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი კიზლარკალე, თანამედროვე კიზლარკალე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kızlarkale, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, მის განაპირა მხარეს, ხევის პირას, ზღვის დონიდან 1965 მეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ციხის არსებობას ($40^{\circ}10'16.96''N$ $42^{\circ}01'43.58''E$), თუმცა ადგილზე არაფერია შემორჩენილი. სავარაუდო ლოკაცია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 300 მეტრში ხეობის პირას მდებარეობს.

ადგილზე გვხვდება დიდი ზომის, ოვალური ფორმის შვერილი კლდოვანი მასა. საფიქრებელია, რომ გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი პირობების გამო, მოცემული ტერიტორია ათვისებული იქნებოდა თავდაცვითი სისტემისთვის, თუმცა დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით არავითარი კვალი აღარ იკითხება. მოსახლეობის ახალგაზრდა ნაწილი ამბობს, რომ აქ ციხის არსებობის შესახებ მხოლოდ „ლეგენდაა“ და რეალური მონაცემები საამისოდ არ არსებობს. მოცემულ სოფელში ციხის არსებობის ვარაუდის უფლებას თავად სოფლის სახელწოდება, „კიზლარკალე“ გვაძლევს, თუმცა ამ ვარაუდს რეალური არტეფაქტები არ გვიდასტურებს.

Kızlarkale, a Fortress (?)

Kızlarkale, a village in historical Basiani, the modern Kızlarkale, Horasan District, Erzurum Province (Kızlarkale, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Local residents claim that there was a fortress in vicinity of the village, on its edge, next to the gorge, at 1,965 meters above sea level ($40^{\circ}10'16.96''N$ $42^{\circ}01'43.58''E$), although nothing remains of it. The estimated location of the fortress is in the northeast of the village, approximately in 300 meters from the center, on the edge of the gorge.

There is a large oval-shaped rock mass on the site. It is likely that the area in question could have been used for the construction of a fortification due to its geographical location and natural conditions, although there is no sign of its existence at present. The younger part of the population says that the existence of the fortress is a common fallacy which has no basis in reality. Although, the name of the village “Kızlarkale” gives the right to assume that there really was a fortress near the village, although artifacts do not confirm this assumption.



ფოტო/Photo 1. ციხის (?) მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (?) (Google Earth)



ფოტო/Photo 1, 2. ტერიტორიის საერთო ხედები / General views of the site

მალი კომუ, მეგალითური ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი მალი კომუ, თანამედროვე პელიტლი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pelitli, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, კლდოვანი მთის წვერზე მდებარეობს (40°06'25.69"N 41°38'05.84"E). მისი საერთო პროპორციები საკმაოდ მასშტაბურია, თუმცა სრული სახით წარმოდგენა სადღეისოდ შეუძლებელია - უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი სიგრძე დაახლოებით 30-35 მეტრი, ხოლო სიგანე 25-30 მეტრი იქნებოდა. ამასთანავე, შემორჩენილი ქვა-ყრილების მიხედვით საფიქრებელია, რომ ბაქნის გარდა ნაგებობა მოიცავდა ქვედა ტერასას - „ქვედა ციხეს“.

კომპლექსზე ფიქსირდება ორი სამშენებლო ფენა - პირველი ფენის გეგმარებითი სტრუქტურა წრიული მოხაზულობისაა. ის მიჰყვება მთის თხემის ბუნებრივ ფორმას. შემორჩენილი ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ წყობის მონაკვეთი შედარებით მოზრდილი ქვებისგან იყო შედგენილი. ჩანს დიაგონალზე ნაწყობი, ლოდოვანი ფილები, რომლებიც წარმოქმნიან „თევზისფხისებრ“ ეფექტს. გარდა ამისა, იკითხება წრიული მოხაზულობის ჩანართი „კომპები“ და ძეგლის შიდა „უბნის“ წყობების ფრაგმენტები. მთის ფერდისა და თხემის ნაწილებზე მრავლადაა მშრალი წყობის ჩამოშლილი გროვები. კედლების გარე და შიდა პირები ერთმანეთს მორგებული ლოდებითაა ნაგები, ხოლო მათ შორის არსებული სიცარიელე მცირე ზომის ქვებითაა შევსებული.

ნაგებობის მეორე სამშენებლო ფენა, რომელიც დულაბითაა ნაგები, ობიექტის ჩრდილოეთ ნაწილზეა დაფიქსირებული. მისი მცირე ფრაგმენტი სამხრეთის ფერდზე იკითხება. ამჟამად მხოლოდ დულაბის ნაწილები აღიქმება - პერანგის ქვის გარეშე. თავად დულაბის ფრაგმენტების გათვალისწინებით, კედლის საერთო სისქე 2 მეტრამდე უნდა ყოფილიყო.

მიგვაჩნია, რომ პირველი ფენის მშენებლობა, მრავალი ნიშნით უნდა წარმოადგენდეს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურას, ხოლო შემდგომი ფენა, დულაბზე ნაგები კედლები, შუა საუკუნეების მშენებლობას უნდა განვაკუთვნოთ.

Mali Komu, a Megalithic Fortress

Mali Komu, a village in historical Basiani, the modern Pelitli, Pasinler District, Erzurum Province (Pelitli, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The ruins of the monument are located on top of a rocky hill, about 0.5 km north of the village (40°06'25.69"N 41°38'05.84"E). It is quite large fortress, although it is impossible to perceive the monument in full extent. It can be assumed that it was approximately 30-35 meters long and 25-30 meters wide. Based on the preserved ruins, it can be assumed that apart from the upper platform, the construction had a lower terrace, or the “lower fortress”.

Two building layers can be confirmed in the complex. The plan of the first layer is circular. It follows contours of the ridge. Based on the preserved parts, it is clear that the wall was built of relatively large stones. Diagonally placed stone slabs create a “herringbone” pattern. Round towers were built on the fortress wall. There are building fragments in the courtyard of the fortress. Piles of drywall construction fragments that fell from the fortress walls are found on the on the top of the ridge and on its crest. The outer and inner surfaces of the walls are built of interlocking stones, and the space between them is filled with small stones.

The second building layer found in the northern part of the fortress was built with mortar. Small pieces of the same period are found on the southern crest as well. Nowadays, only the bare mortar is exposed: the hewn stone blocks lining the wall are gone. Considering the mortar pieces, the total thickness of the wall should have been approximately 2 meters.

We believe that the construction of the first layer with many signs should have been a defensive and residential construction of megalithic type. The second layer, whose walls are built with mortar, can be attributed to the Middle Ages.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის შუა საუკუნეების კედლის ფრაგმენტები / Fragments of the medieval wall of the fortress



ფოტო/Photo 3. ციხის ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები / Interior of the fortress, wall fragments



ფოტო/Photo 4. ციხის ინტერიერი, კედლის წყობა / Interior of the fortress, stone masonry

მარიფეთი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსის ნაწილები მდებარეობს სოფლის ზემოთ, ცენტრიდან დაახლოებით 0.6 კილომეტრის მოშორებით, ბორცვზე არსებული კლდოვანი მასივის ცენტრალურ ნაწილში (39°50'21.91"N 41°49'10.88"E). კლდის მასივის საერთო სიგრძე დაახლოებით 50-60 მეტრია, ხოლო მასში განთავსებული გამოქვაბულები მცირე მოცულობისაა. კლდის ქარაფზე იკითხება ორი სათავსის შესასვლელი, რომელთაგან ერთი შედარებით მაღლაა და სპეციალური აღჭურვილობის გარეშე მასში მოხვედრა შეუძლებელია. შორიდან აღიქმება მხოლოდ კარს მიღმა არსებული ნაკაფი სივრცე. მეორე გამოქვაბული, ასევე მაღლაა გაჭრილი, თუმცა ოდესღაც არსებული საფეხუროვანი ჩანაჭდეების საშუალებით მასში მოხვედრა შესაძლებელია - მისი სივრცეები თითქმის თავდაპირველი სახითაა მოღწეული. აღნიშნული ნაწილი ორი სათავსისგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან კარის საშუალებითაა დაკავშირებული. ორივე შემთხვევაში წარმოდგენილია მართკუთხა, კვადრატს მიახლოებული გეგმარების გამოქვაბული. მათი საერთო სიგრძე-სიგანე თითქმის თანაბარია. რაც შეეხება სათავსთა სიმაღლეს, ორივე გამოქვაბული დაახლოებით 1.8-1.9 მეტრამდეა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური შესასვლელი დახურული იქნებოდა კარით - შემორჩენილი ფოსოები სწორედ მისი საკედურების ფრაგმენტები უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ სათავსთა შორის მაკავშირებელი კარი არ იყო დახურული.

რთულია გადაჭრით თქმა თუ კონკრეტულად რა დანიშნულების შეიძლება იყოს მოცემული კომპლექსი. გამოქვაბულების კვეთილობა, შიდა სივრცე, გეგმარება და ინტერიერში კედლების ზოგადი გადაწყვეტა არ გვაძლევს მოცემულ სათავსთა საკულტო ნაგებობად მიჩნევის საშუალებას.

თურქი მკვლევრები გამოქვაბულებს კლდის სამარხად მიიჩნევენ.

Marifet, a Rock-Cut Cave Complex

Marifet, a village in historical Basiani, the modern Marifet, Köprüküy District, Erzurum Province (Marifet, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

Parts of the rock-cut complex lie just above the village, at a distance of about 0.6 kilometers from the center, in the central part of the rocky massif of the hill (39°50'21.91"N 41°49'10.88"E). The total length of the rocky massif is about 50-60 meters. The entrances to two caves are seen on the rock face. One of these caves is rock cut quite high into the rock and cannot be accessed without special mountaineering equipment. Only a narrow space behind the door can be seen from a distance. The second cave is also rock cut high in the rock, although we managed to climb the cave using notches cut into the rock. The interior of the cave is almost intact. It consists of two rooms connected by an opening. The rooms are rectangular, closer to a square outline. The length and width of the rooms are almost equal. As for the height, both caves are about 1.8-1.9 meters high. It can be assumed that the main entrance was closed by the door: the pits found on the side of the opening are probably the holes for the door hinges. The passage between the two rooms was probably not closed by a door.

It is difficult to say with certainty what specific purpose this complex may have served. The carving of the chambers, the interior space, the design and the general solution of the walls in the interior do not allow these rock-cut rooms to be considered religious buildings. Turkish scholars consider them to be rock-cut burial caves.



ფოტო/Photo 1. კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები, საერთო ხედი / Rock-cut caves, general view



ფოტო/Photo 2. გამოქვაბულის კარი / Entrance to the cave



ფოტო/Photo 3. ინტერიერი, გამოქვაბულის შიდა კარი / Interior, inner door of the cave



ფოტო/Photo 4. ინტერიერი, გამოქვაბულის კარი / Interior, door of the cave

მარიფეთი, ნაგებობა (აბანო / აკლდამა ?) სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

ობიექტი სოფლის სამხრეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, ბორცვზეა განთავსებული (39°50'6.06"N 41°49'26.43"E). შემორჩენილი ნაშთების საერთო დიამეტრი დაახლოებით 15-18 მეტრია. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და იკითხება მხოლოდ მისი სამირკველი ან მიწისქვედა სართული. ირგვლივაა მიმოფანტული შენობის სხვადასხვა ნაშთები - თლილი და რიყის ქვები, კრამიტის, აგურისა და სხვა კერამიკული ნაწარმის ნამსხვრევები. ნაგებობის თავდაპირველი ფუნქცია, მისი ზოგადი არქიტექტურული სახე და გეგმარება არ იკითხება. ბორცვის წრიული მოხაზულობიდან გამომდინარე, მასზე წრიული ნაგებობის არსებობა უნდა ვივარაუდოთ. ასეთი ფორმისა კი თურქული აბანოები და აკლდამებია.

თხრილის ირგვლივ გაშლილია კერამიკის, კრამიტის და მოზაიკის ნამსხვრევები, რომელთა დანიშნულებაც სხვადასხვაა. აღსანიშნავია კრამიტის საბურველის ფრაგმენტები და მათ შორის კბილანებიანი ფილები, რომლებიც, სავარაუდოდ ძეგლის გადახურვის ნაწილებს წარმოადგენდა. ადგილზე განირჩევა შირიმის ქვაში გამოკვეთილი დეტალები. კრამიტის ნამსხვრევთაგან ზოგიერთის ზურგის არეზე მოცემულია მცირე ჩანაჭდევეები და სამაგრი კოპები.

Marifet, a Building (Bathhouse / Burial Vault ?) Southward of the Village

Marifet, a village in historical Basiani, the modern Marifet, Köprüküy District, Erzurum Province (Marifet, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

The monument is located on a hillock south of the village, about a kilometer from the center (39°50'6.06"N 41°49'26.43"E). The total diameter of the remains is about 15-18 meters. The building is badly damaged and only the outline of its foundation or underground floor can be distinguished. The remains of the building are scattered around: hewn stones and cobblestones, fragments of tiles, bricks and other type ceramics. The original purpose of the building, its general architectural design and the plan are not legible. Based on the circular outline of the hillock, it can be assumed that a circular-shaped building stood at the site. It may have been a bathhouse of later period. Taking into account parts of the wall found in the trench, it is also possible that the building was a burial vault of the later period.

Fragments of ceramics are scattered around the trench: tiles and pieces of mosaics, the purpose of which differs. Fragments of tiles, including toothed tiles were found. They were probably parts of the monument's roof. Certain architectural details carved from the travertine stone are found at the site. Some tile fragments have small indentations and mounting protrusions (bosses) on the back.



ფოტო/Photo 1, 2, 3. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building



ფოტო/Photo 4. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 5. განძის მაძიებელთა განათხარი / Treasure hunters' dig



ფოტო/Photo 6. კერამიკის ფრაგმენტები ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site



ფოტო/Photo 7. კრამიტი და მოზაიკის ფრაგმენტები / Roof tile and mosaic fragments

მარიფეთი, ციხე (?) და კლდეზე ნაკვეთი ჯვრები სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მარიფეთი, თანამედროვე მარიფეთი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Marifet, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ირგვლივ ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ნაციხარს, ნამონასტრალსა და ქვაბულთა ოდესღაც არსებობის კვალს, თუმცა მათგან აღარაფერია დარჩენილი.

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 3-4 კილომეტრის მოშორებით, ერთმანეთის საპირისპიროდ არსებული კლდოვანი მასივებიდან ერთ მხარეს იკითხება კლდის ზედაპირზე დატანილი ნაკაწრი და ჩანაჭდევი ჯვრები (39°50'18.02"N 41°46'51.08"E), ხოლო მეორე მხარეს არსებული კლდოვანი რელიეფი, მოსახლეობის მტკიცებით, ნაციხარს წარმოადგენდა (39°50'10.59"N 41°46'59.69"E).

სავარაუდო ციხის ტერიტორია სადღეისოდ არავითარ კვალს არ ატარებს. საყურადღებოა, რომ აღნიშნული კლდოვანი მასივის ბუნებრივი გეოგრაფიული მდებარეობა არ გამორიცხავს მოცემულ მონაკვეთზე ციხის შესაძლო არსებობას.

ამავე სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, კლდოვან ქარაფებზე, მოსახლეობა მიუთითებს კონკრეტულ ადგილს, სადაც ნაკვეთია ჯვრის გამოსახულებები და გამოქვაბულები (39°50'54.13"N 41°50'48.25"E). აღნიშნული მონაკვეთის დეტალური შესწავლა სპეციალური აღჭურვილობის გარეშე შეუძლებელია.


Marifet, a Fortress (?) and Engravings of a Cross on the Rock Surface, Westward of the Village

Marifet, a village in historical Basiani, the modern Marifet, Köprükøy District, Erzurum Province (Marifet, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

The local residents claim that there were once the remains of a fortress, a monastery and caves in the environs of the village, although nothing can be traced today.

Westward from the village, at a distance of approximately 3-4 kilometers, on one side of the rock massifs facing each other, scratched and incised crosses can be seen on the rock surface (39°50'18.02"N 41°46'51.08"E). According to the local residents, the rocky terrain on the other side is the site of a former fortress (39°50'10.59"N 41°46'59.69"E). At present, there is no trace of the latter. It should be noted that the natural geographical location of the mentioned rocky massif does not exclude possibility of existence of a fortress in this place.

Eastwards from the same village, about 2 kilometers away, on the rocky cliff, the residents point to a certain place where cross images and caves are found (39°50'54.13"N 41°50'48.25"E). We could not examine the site as it is not accessible without special mountaineering equipment.



ფოტო/Photo 1. ციხის (?) მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (?) (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის (?) საერთო ხედი / Fortress (?), general view



ფოტო/Photo 3. კლდეზე გამოსახული ჯვრები / Crosses engraved on the rock surface

მასრა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მასრა, თანამედროვე გუზელიაილა, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Güzelyayla, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ძეგლი მდებარეობს სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, შემადღებული ბორცვის თხემზე, ზღვის დონიდან 1750 მეტრზე (40°03'15.44"N 41°58'54.68"E). გრანდიოზული ნაგებობის სავარაუდო ზომები 300x350 მეტრია, თუმცა მისი ზუსტი განსაზღვრა შეუძლებელია.

სადღეისოდ აღარ იკითხება შენობის ნაწილები - არ ჩანს ქვის წყობა თუ მისი სისტემა. ზოგადად შეიძლება განისაზღვროს თავდაპირველი ნაგებობის გეგმარება, რომელიც მთის თხემს შემოუყვებოდა და იმეორებდა მის გეოგრაფიულ მოხაზულობას. ნაგებობის მოხაზულობა ოვალურია, ხოლო მის შიდა პერიმეტრზე ჩანს მიწის ქვეშ მოქცეული ნაყარი ქვები. არსებული მონაცემების მიხედვით რთულია ძეგლის თავდაპირველი არქიტექტურული სახის, მისი მასშტაბის, კონკრეტული გეგმარებისა თუ სამშენებლო ტექნიკის შესახებ მსჯელობა.

აღნიშნული მასალის საფუძველზე, ნაგებობის ზოგად-გეგმარებითი მახასიათებლების გათვალისწინებით საქმე უნდა გვეკონდეს მშრალი ქვის წყობის ნაგებობასთან, რომელიც შესაძლოა თავდაცვითი დანიშნულების ყოფილიყო, თუმცა მისი ბუნებრივი მდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით არაა გამორიცხული, რომ ასევე მშრალი წყობის სამოსახლო-სათავდაცო არქიტექტურასთან გვეკონდეს საქმე. ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი ციხედ იხსენიებს.


Masra, a Drywall Building in the Southeast of the Village

Masra, a village in historical Basiani, the modern Güzelyayla, Horasan district, Erzurum province (Güzelyayla, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The monument is located about a kilometer southeast from the village, on the crest of a hill, 1,750 meters above sea level (40°03'15.44"N 41°58'54.68"E). This large structure is approximately 300 meters long and 350 meters wide. The exact size of the monument could not be precisely measured because of its ruinous state.

Parts of the building are no longer legible: neither the stonework, nor the structure. The design of the monument surrounding the mountain ridge and repeating its geographical contours was defined only in general terms. The outline of the monument is oval. Within the inner circle, piles of stones covered with soil can be seen. Based on the available information, it is difficult to assess the original architectural type of the monument, its scale, design or construction techniques.

Based on the available information and taking into account the general design features of the monument, we are dealing with a drystone structure that could have been a fortress. However, considering its location and scale, it cannot be ruled out that it is a drywall residential and fortification architecture. The monument is mentioned as a fortress in Turkish literature.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ტერიტორიის საერთო ხედი / General view of the site



ფოტო/Photo 3. ტერიტორიის საერთო ხედი / General view of the site



ფოტო/Photo 4, 5. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building

მადარაჯიკი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი მადარაჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mağaracık, Horasan İlçesi, Erzurum İli). სოფელი მადარაჯიკი მდებარეობს (40°01'20.97"N 42°28'4.87"E) თანამედროვე სოფელ თექნეჯიკის (Teknecik) ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით და ამჟამად ამ სოფლის უბანს წარმოადგენს.

მადარაჯიკის განაპირას, სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, სამოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების ტერიტორიაზე მოცემულია კლდოვანი ბორცვი, რომლის სიღრმეშიც გამოქვაბულია ნაკვეთი (40°01'11.39"N 42°28'11.46"E). საყურადღებოა, რომ კლდოვანი მასა საერთოდ არაა ამოზრდილი მიწის დონიდან - ის კლდოვანი ზედაპირის მქონე ფერდობია, რომლის ზედა ნაწილში გვხვდება მართკუთხა ფორმის ჩანაკვეთი არე. ჩასასვლელი სიღრმით დაახლოებით 1.7 მეტრია, ხოლო მისი სიგრძე-სიგანე დაახლოებით 1.2x0.9 მეტრს უახლოვდება. მოცემული ღრმულის ერთ მხარეს, ქვედა არეზე, გამოჭრილია გამოქვაბულში შესასვლელი. ამ მცირე ზომის კარით ჩვენ ვუკავშირდებით დიდი ზომის სათავსს, რომლის სიგრძე-სიგანე 5.5x4.5 მეტრი, ხოლო სიმაღლე დაახლოებით 1.9 მეტრს უნდა აჭარბებდეს. კედლები არაა დამუშავებული დეკორატიული თუ ფსევდო-კონსტრუქციული ელემენტებით, თუმცა ერთმანეთის მოპირდაპირედ, სათავსის გვერდითი კედლებიდან გადის თითო, მცირე ზომის ოთახი. ორივე ეს სათავსი დამოუკიდებელი მცირე ოთახებია, რომლებიც გეგმარებით არა მართკუთხა, არამედ უკვე მომრგვალებულია. გარდა ამ ქვაბული კომპლექსისა, მოცემულ კლდოვან ფერდობზე, რომლის ზედაპირიც მარჯნისებრი სახითაა განვითარებული, სხვა ჯგუფი ქვაბებისა არ გვხვდება.

მიწისქვეშა ქვაბულის ზუსტი ფუნქციის დადგენა შეუძლებელია. ამასთანავე არსებული მასალის საფუძველზე არ ირკვევა მისი თარიღი. სავარაუდოა, რომ ეს განშტოებებიანი დარბაზი თანაბრად შეიძლება მოვიაზროთ, როგორც სამალავად, ისე საყოფაცხოვრებო თუ საკულტო „ნაგებობად“.

Mağaracık, a Rock-Cut Cave Complex


Mağaracık, a village in historical Basiani, Horasan district, Erzurum province (Mağaracık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The village of Mağaracık is located to the northeast of the modern village of Teknecik, about 2 kilometers away (40°01'20.97"N 42°28'4.87"E), and is now a neighbourhood of the latter.

On the edge of Mağaracık, to the southeast of it, approximately 200 meters away, in the area of pastures and arable fields, there is a rocky hillock in the depth of which a cave is rock cut (40°01'11.39"N 42°28'11.46"E). It should be noted that the rectangular cave entrance leads down from the surface of the hillock. The passage is about 1.7 meters deep, 1.2 meters long and 0.9 meters wide. On one side of this shaft, in the lower area, the entrance to the cave is rock cut. Through this small door we enter a large room that is 5.5 meters long and 4.5 meters wide. Its height roughly exceeds 1.9 meters. The walls are not treated with decorative or the pseudo-structural elements. The room is connected with two other small rooms on its both sides. The entrance is through doors cut into two opposite walls of the room.

Unlike the rectangular main room, the both small side rooms are the round shape rooms. Apart from this cave complex, there is no other group of caves on a rocky hillock with a coral-like structure on the surface.

It is impossible to determine the exact function of the underground caves. Based on available information, the dating of the cave is uncertain. It is likely that the cave complex was rock cut as a hiding place or as a domestic or religious “building”.



ფოტო/Photo 1, 2. კომპლექსის შესასვლელი / Entrance to the complex



ფოტო/Photo 3. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view



ფოტო/Photo 4. კომპლექსის საერთო ხედი / Complex, general view



ფოტო/Photo 5, 6. კლდეში ნაკვეთი მთავარი სივრცე და მცირე სათავსში შესასვლელი / The main room of the rock-cut complex and an entrance to a small room

მენევიურთი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი მენევიურთი, თანამედროვე ქუჩუქკონაკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Küçükkonak, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის თავზე, მისგან სამხრეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, შემადლებულ ბორცვზე, ზღვის დონიდან 2190 მეტრზე, მდებარეობს გრანდიოზული კომპლექსის ნაშთები (40°05'28.00"N 41°57'17.74"E). ძველი თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული, თუმცა იკითხება მნიშვნელოვანი ფრაგმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მისი ძირითადი სახის წარმოდგენა. ნაგებობის მომსახურებელი კედლების მიხედვით მისი სიგრძე დაახლოებით 150 მეტრი, ხოლო სიგანე 130 მეტრი უნდა იყოს. შენობა გეგმარებით ოვალურ მოხაზულობას ქმნის. აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი კედლების სტრუქტურების მიხედვით განირჩევა ნაგებობის მთავარი შესასვლელი, რომელიც დაახლოებით ოთხი მეტრის სიგანისაა. აღნიშნული გადაწყვეტით ძველის შესასვლელი ერთგვარი პარადულობით წარმოგვიდგება, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით ხაზს უსვამს კომპლექსის მასშტაბურობას. გარდა დიდი ზომის შესასვლელისა, ასევე მოზრდილია მისი კედლების სისქე, რომელიც დაახლოებით 3 მეტრს უახლოვდება, ხოლო ზოგან, აჭარბებს კიდევაც. ცალკე აღნიშვნის ღირსია თავად სამშენებლო მასალა, რომელიც შედგება უზარმაზარი, დაუმუშავებელი ლოდებისგან და არც მთლად სახასიათოა მოცემული რეგიონის მეგალითური ძეგლებისთვის. ლოდები ერთმანეთზე მჭიდროდაა მორგებული და კედლები ორივე მხრიდან (ინტერიერ-ექსტერიერი) ამ ტექნიკითაა ნაშენი. მასიური კედლების წყობებს შორის არე შევსებულია შედარებით მცირე ზომის ქვა-ყრილებით, თუმცა მათი ზომაც საკმაოდ შთამბეჭდავია.

შენობის შიდა პერიმეტრზე განირჩევა ცენტრალურ მონაკვეთში, კლდოვან, შემადლებულ არეზე ოდესღაც არსებული ნაგებობის ნაშთები, რომელიც სავარაუდოა, რომ საკულტო ნაგებობა ყოფილიყო. ცენტრალური კომპლექსიდან დაახლოებით 20-25 მეტრის მოშორებით ფიქსირდება შედარებით მცირე ზომის ქვებით ნაგები კედლების ნაშთები. ამგვარი გადაწყვეტის მიხედვით შესაძლოა საქმე გვქონდეს ორ გალავანთან ან ციტადელისა და ქვედა ციხის მიმართებასთან.

ნაგებობის მდებარეობის, მისი განთავსების არეალის, გეგმარებითი სტრუქტურის, სამშენებლო ტექნიკის, ქვის სახეობისა და წყობის ხასიათის თუ საერთო პროპორციების მიხედვით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ძველი მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ტიპს განეკუთვნება.

Menevürt, a Drywall Building

Menevürt, a village in historical Basiani, the modern Küçükkonak, Horasan district, Erzurum province (Küçükkonak, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Approximately 0.5 km southward from the village, on a high hill, 2190 meters above sea level, are the remains of an extremely large complex (40°05'28.00"N 41°57'17.74"E). The monument was destroyed almost to the ground, but significant construction fragments are still recognizable, with the help of which it is possible to reconstruct the general plan of the structure. The building has an oval outline. Based on the contours of the external walls of the building, it should be approximately 150 meters long and 130 meters wide. The main entrance of the building, approximately four meters wide, can be distinguished by observing the structures of the preserved walls. This feature gives the monument some pomp and emphasizes the scale of the complex. Apart from the large entrance, its walls are very thick – almost 3 meters and sometimes more. The building material, which consists of huge rough boulders that is not typical of the megalithic monuments of the region, deserves special attention. The boulders are tightly fitted to each other and the walls on both sides (inside-outside) are built using this technique. The space between the faces of the massive walls is filled with relatively small stones, although their size is quite impressive.

On the inner perimeter of the building, namely in the middle, on a rocky high area, the remains of a structure can be seen. It was probably a religious building. Approximately 20-25 meters away from the central complex, the wall fragments made of relatively small stones can be seen. Taking into account such a solution, they could be two defensive walls or the citadel and the lower fortress.

Based on the location of the building, its placement, design, construction technique, stone type, masonry, and dimensions, it can be assumed that the monument is a defensive and residential construction of the megalithic type.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. გალანის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 3. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 4. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment



ფოტო/Photo 5, 6. გალავნის ფრაგმენტები / Defensive wall fragment

მიადინი, ძველი თურბე

ისტორიული ბასიანის სოფელი მიადინი, თანამედროვე არდიჩლი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ardıçlı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 0.4 კილომეტრის მოშორებით, სასაფლაოს ტერიტორიაზე (40°01'0.68"N 41°45'47.71"E). თავდაპირველი სახით მოღწეული წრიული გეგმარების ძეგლის დიამეტრი დაახლოებით 5.5-6 მეტრია, ხოლო მისი სიმაღლე, გუმბათის ჩათვლით 6-7 მეტრს აღწევს. სრული სახით შემორჩენილი, წრიული გეგმარების, ოსმალური აკლდამა მოყვითალო და რუხის ფერის თლილი ქვიშაქვითაა ნაგები. მისი რვაწახნაგა მოცულობა დამყარებულია წრიული მოხაზულობის ბაზისზე. შესასვლელი მოწყობილია აღმოსავლეთ კედელში, ხოლო ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით გვხვდება დაბალი სარკმლები. კარის თავზე განთავსებულ არქიტრავეზე არაბულენოვანი წარწერებია. შენობის წახნაგები შემკულია ნახევარწრიული, დეკორატიული თაღებით. აკლდამა დასრულებულია კონუსური ფორმის გუმბათით, რომელიც გადახურულია ლორფინით. აკლდამის ინტერიერი სრულადაა მოპირკეთებული თლილი ქვების რეგულარული წყობით. ცენტრში წარმოდგენილია მართკუთხა ფორმის, პროფილირებული საფლავის ლოდი, რომელიც ტიპურია ოსმალური მემორიალური კულტურისთვის. საფლავი დაფარულია რიტუალური დანიშნულების ფარდავით.

მხატვრული გადაწყვეტით, გეგმარებითი მახასიათებლებით, საფასადო დეკორის ელემენტებით, საერთო პროპორციებით, გადახურვის სისტემის თავისებურებით და ძეგლის შედარებითი ანალიზით, შესაძლებლად მიგვაჩნია ნაგებობა დათარიღდეს ზოგადად XV-XVI საუკუნეებით.

Miadin, Old Türbe

Miadin, a village in historical Basiani, the modern Ardıçlı, Pasinler District, Erzurum Province (Ardıçlı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument is located east of the village, approximately 0.4 kilometers from the center, in the area of the cemetery (40°01'0.68"N 41°45'47.71"E). The diameter of the circular monument in its original form is approximately 5.5-6 meters, and its height including the dome is 6-7 meters. The well-preserved round Ottoman Türbe is built of yellowish and gray sandstone. Its octagonal volume is based on a circular outline. The entrance is placed in the east wall, and there are low windows in the northeast and southeast walls. On the architrave above the door are inscriptions in Arabic. The side walls of the building are decorated with semicircular decorative arches. The türbe has a cone-shaped dome covered with stone slabs. The interior of the türbe is completely covered with finely dressed, squared stones arranged in regular courses. In the center is found a rectangular, profiled tombstone typical of the Ottoman memorial culture. The sarcophagus is covered with a ritual carpet.

Based on the artistic solution, design features, decorative elements of the façade, general dimensions, specific features of the roof system and a comparative analysis of the monument, we consider it possible to date the monument to the 15th-16th century.



ფოტო/Photo 1. თურბეს საერთო ხედი / Türbe, general view



ფოტო/Photo 2. თურბეს კარის არქიტრავე არაბული წარწერებით / Türbe, a door architrave with the inscriptions in Arabic

მიგნარინჩი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუქდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ძველი მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით, ცენტრიდან დაახლოებით 4-4.5 კილომეტრის მოშორებით, შემადლებულ ბორცვზე (40°05'01.50"N 41°36'21.97"E). ნაგებობა დაცულობის თვალსაზრისით, საკმაოდ შთამბეჭდავია. ნაგებობის სიგრძე 22-25 მეტრია, ხოლო სიგანე 15-17 მეტრი. შემორჩენილი კედლები გარდამავალი დაცულობით ხასიათდება. ყველაზე მაღალ წერტილში კედლის სიმაღლე 2-2.5 მეტრამდე აღწევს - სისქე კი 2 მეტრს. ბორცვზე განთავსებული ნაგებობათა კომპლექსიდან, შედარებით უკეთ, შემორჩენილია ცენტრალური შენობის მომსახურებელი კედლები. ირგვლივ არსებული წყობები და მინაშენები თითქმის გვეგის დონეზეა ჩამოშლილი. გარდა მთავარი ნაგებობისა განირჩევა ქვა-ყრილები და კედელთა ფრაგმენტები. უშუალოდ ცენტრალური ნაგებობის სამ მხარეს (აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი) გვხვდება მინაშენთა სტრუქტურა. გალავნის კედლის ფრაგმენტები მთელ ტერიტორიაზე იკითხება, თუმცა მისი სიმაღლე მხოლოდ 0.5-0.7 მეტრია.

გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ჩართულია 2-3 მეტრის სიგრძე-სიგანისა და დაახლოებით 2-2.5 მეტრის სიმაღლის, არასტანდარტული კომპლექსური ნაგებობა, რომელსაც ერთი შესასვლელი აქვს. ძეგლების კვალი ფიქსირდება გალავნის გარეთაც, ბორცვის ქვედა ფერდზე. ყველა ასეთი ნანგრევს კვალი გეგმაში მართკუთხა, კუთხეებ მომრგვალებული ან წრიული ფორმისაა. კომპლექსის ცენტრალური შენობა მართკუთხა გეგმარების, ხოლო მასზე სამი მხრით მიდგმული მინაშენები სხვადასხვა მოყვანილობისაა. ნაგებობის ჩრდილოეთ კედელზე მოცემულია საკმაოდ მძლავრი, ასევე მართკუთხა მოხაზულობის, „ბურჯები“. ისინი ნაგებობის ერთიან წყობაში უნაკეროდაა ჩატანებული - მათი სიგრძე დაახლოებით 2.8-3.2 მეტრია, ხოლო შვერილობა მთავარი კედლიდან 2 მეტრს აღწევს. ასეთივე კიდევ ერთი „ბურჯი“ მოცემულია დასავლეთი კედლის შუა მონაკვეთზე. დამოუკიდებელი მინაშენი ფიქსირდება აღმოსავლეთი კედლის გასწვრივაც. კომპლექსის შემადგენელი ნაწილების სამშენებლო ფენების განშრევა შეუძლებელია თუმცა აშკარაა სხვაობა წყობებს შორის. გარდა მთავარი შენობისა, ყველა ნაგებობის წყობა არეულია და ქვაყრილის სახეს ატარებს. კომპლექსის ყველა კედელი მშრალი წყობით, უდულაბოდაა ამოყვანილი. მთავარი შენობის გარე და შიდა პირებს შორის არე ამოვსებულია მცირე ზომის ქვა-ყრილებით. აღნიშნულ შემთხვევაში, სპეციალურად შერჩეული, შედარებით თხელი „ლოდოვანი ფილები“ ერთმანეთის თავზე დიაგონალურადაა ნაწყობი, რაც საერთო სახით „თევზისფხისებრ“ ეფექტს ქმნის.

წარმოდგენილი მონაცემები - მშრალი წყობა, კედლებზე გამოყენებული ლოდები, მათი წყობის ხასიათი, გეგმარება, განთავსების გეოგრაფიული არეალი და სხვა მცირე დეტალები გვამღვეს უფლებას ვივარაუდოთ, რომ კომპლექსის სახით საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ერთ ტიპთან.

Mignarınç, a Megalithic Fortress Northward of the Village


Mignarınç, a village in historical Basiani, the modern Büyükdere, Pasinler District, Erzurum Province (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument lies northward from the village, approximately 4-4.5 kilometers from the center, on a high hill (40°05'01.50"N 41°36'21.97"E). The monument is well preserved and impressive. The fortress is 22-25 meters long and 15-17 meters wide. The walls are in a different state of preservation. The maximum height of the walls is 2-2.5 meters, and the thickness is 2 meters. The walls of the central building are relatively better preserved than of the other buildings located on the hill. Surrounding facilities and buildings were demolished almost to the ground. Apart from the main building, stone piles and wall fragments can be distinguished. Extensions can be seen on three sides of the central building (east, west, and north). Fragments of the defensive wall can be seen on the site, although their height is only 0.5-0.7 meters.

An atypical tower with a single entrance stands in the north-east corner of the defensive wall. Its length and width are 2-3 meters and its height is approximately 2-2.5 meters. Traces of the monuments can be seen outside the wall, on the lower slope of the hill. All such ruins are rectangular with rounded corners or they are circular in shape.

The central building of the complex has a rectangular layout, and the buildings attached to it on three sides have different layouts. Rectangular “buttresses” are built against the northern wall of the building. They are seamlessly integrated into the structure of the building. The length of the buttresses is about 2.8-3.2 meters and they project 2 meters from the wall. Another “buttress” of the same type can be seen in the central part of the western wall. An independent extension can also be seen along the east wall. It is impossible to distinguish the building layers of the complex, although the stone laying patterns used in different parts of the monument differ from each other. Tiers of all other buildings except for the main building are chaotically arranged and look like rubble. All the walls of the complex are drywall. The space between the outer and inner surfaces of the main building walls is filled with small stones. Specially selected, relatively thin “pieces of stone” are placed diagonally one above the other, creating a “herringbone” design.

The available data – drywall structure, stone blocks inserted in the walls, nature of their arrangement, design, geographical area and other small details suggest that it is a defensive and residential construction of the megalithic type.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 3. ციხის ჩრდილოეთ კედლის წყობა / Stone masonry of the north wall



ფოტო/Photo 4. ციხის ჩრდილოეთ კედლის ბურჯი / Buttress on the north wall of the fortress



ფოტო/Photo 5. ციხის დასავლეთ კედელი / West wall of the fortress



ფოტო/Photo 6. ციხის დასავლეთ კედლის ბურჯი / Buttress on the west wall of the fortress

მიგნარინჩი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუკდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები მდებარეობს სოფლის ჩრდილოეთით დაახლოებით 1-1.5 კილომეტრის მოშორებით, შემადღებულ ბორცვზე, ხევის პირას (40°03'34.44"N 41°36'47.19"E). ნაგებობა ძლიერა დაზიანებული - მისი საერთო მასშტაბის ზუსტი დადგენა რთულდება. ძეგლის სიგრძე დაახლოებით 40-50 მეტრი, ხოლო სიგანე 30-35 მეტრი უნდა იყოს. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 0.5-0.8 მეტრია - კედლის სისქე კი 1.5-1.8 მეტრამდე უნდა ყოფილიყო. იკითხება მხოლოდ მისი ზოგადი გარშემოწერილობა და მცირე ფრაგმენტები სხვადასხვა მონაკვეთზე. ჩანს შენობის სრული გარშემოწერილობა, წრიული გეგმარების ნაგებობის ზოგადი პროპორციები, თუმცა აღარ იკითხება მისი კედლის წყობა და მასში მოქცეული ობიექტების კვალი.

მოსწორებული თხემი სრულად ეთმობა წრიული გეგმარების ნაგებობას, რომლის შიდა პერიმეტრზეც გვხვდება კედლების ნაშთები, რაც შიდა „უბნების“ დანაწევრებაზე უნდა მიუთითებდეს. გალავნის კედლები დანგრეულია, თუმცა ვხვდებით მშრალი წყობით ნაგებ სეგმენტებს. ინტერიერის მხარეს ფიქსირდება საშუალო ზომის ლოდებით ნაგები კედლები. გარე წყობა ჩაშლილია და მისი ნაშთები ფერდზეა ჩამოწოლილი. გარე და შიდა ლოდებს შორის არსებული კედლის სივრცე შედარებით წვრილი ქვა-ყრილით უნდა ყოფილიყო ამოვსებული. შიდა მხარეს ფიქსირდება მართკუთხა და წრიული მოხაზულობის კედლების მცირე ნაშთები. ბორცვის დაქანებულ ფერდებზე ვხვდებით სხვადასხვა ნაგებობის კვალს. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბორცვის ძირზე ნაგებობის გარშემომწერი კიდეც ერთი გალავანი ყოფილიყო. ძირითადი შენობის მთავარი კედლების სისტემაში ფიქსირდება წრიული გეგმარების მცირე ჩანართები.

ძეგლის გეოგრაფიული განთავსებით, მისი პროპორციებით, წყობის ხასიათითა და საერთო გეგმარებითი პრინციპებით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურის ერთ-ერთ ნიმუშთან.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში ჯინის ციხედ.

Mıgnarınç, a Drywall Building Northward of the Village


Mıgnarınç, a village in historical Basiani, the modern Büyükdere, Pasinler District, Erzurum Province (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The ruins of the monument are located about 1-1.5 kilometers northward from the village, on a high hill, on the edge of a gorge (40°03'34.44"N 41°36'47.19"E). The monument is badly damaged – it is difficult to accurately determine its general extent. The length of the monument must be approximately 40-50 meters, and the width is 30-35 meters. The maximum height of the remaining walls is 0.5-0.8 meters. The walls are 1.5-1.8 meters thick. The ruins only show general outline of the monument. The plan of the building is circular. The type of stonework and traces of building objects are no longer visible.

The flat top of the hill is completely occupied by a circular building. The remains of a wall can be seen inside it. This means that the interior of the building was divided into several sections. Defensive walls have collapsed and only several fragments of the drywall structure are visible. Inside, the walls are built of medium-sized stone blocks. Blocks on the face of the wall have become detached and fallen on the ground. They lie in heaps on the slope. The space between the outer and inner blocks of stone was filled with relatively small stones. Fragments of rectangular and circular walls can be seen inside the monument. Traces of various buildings can be found on the slopes of the hill. We consider possible existence of another defensive wall which enclosed the building at the foot of the hill. Small circular inclusions can be seen in the main walls of the main building.

Based on the geographical location of the monument, its proportions, the character of the stonework and the general design principles, it is likely that it is a defensive and residential construction of the megalithic type.

The monument is called Gin's Castle in Turkish scholarly literature.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)




ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. ნაგებობის ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები / Interior of the building, wall fragments



ფოტო/Photo 4. განძის მაძიებელთა განათხარი / A pit excavated by treasure hunters



ფოტო/Photo 5. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments

მოლამელიქი, ეკლესია (?)

ისტორიული ბასიანის სოფელი მოლამელიქი, თანამედროვე მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 0.8 კილომეტრის მოშორებით, ადგილობრივთა გადმოცემით სახნავ-სათესი მიწების ტერიტორიაზე, მცირე კორომში უნდა მდგარიყო ეკლესია (40°06'50.98"N 42°03'17.61"E), რომელიც დაანგრეს. სადღეისოდ მოცემულ პერიმეტრზე არავითარი ნაგებობის კვალი აღარ აღიქმება.

უშუალოდ სოფლის ტერიტორიაზე, მის ცენტრში გვხვდება ძველი ნასოფლარის ნანგრევები ან შუა საუკუნეების საცხოვრებელი სისტემის, რომელშიც ჩართულია გამოქვაბული სისტემა (40°06'55.62"N 42°02'48.60"E). დაახლოებით 70 მეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის მცირე ტერიტორია ათვისებული ყოფილა შენობებით, რომელთა დიდი ნაწილი მიწის პირამდეა დანგრეული. ამავე ტერიტორიის მარჯვენა, კიდურა მონაკვეთი კდლოვან ბორცვს უკავია, რომლის სიღრმეშიც ორგანყოფილებიანი ქვაბულია ნაკვეთი. კდლოვანი მასივის „საფასადო“ მხარე დიდი, თაღოვანი „პორტალი“, რომლის გავლის შემდგომაც ოვალური გეგმარების მქონე, საშუალო ზომის სათავსში ვხვდებით. ქვის წყობის ელემენტები კლდის სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს, მაგრამ რთული სათქმელია ის რა ფუნქციას ასრულებდა თავის დროზე.

უშუალოდ კლდის გვერდით არსებული ნასახლარები, ჩვენი დაკვირვებით ორ სამშენებლო ფენას უნდა შეიცავდეს. დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მცირე სოფელთან, რომელსაც ჰქონდა თავისი პატარა ზომის თავდაცვითი და საკულტო შენობა კდლოვანი მასივისა და მასში გაჭრილი ქვაბულის სახით.

Mollamelik, a Church (?)

Mollamelik, a village in historical Basiani, the modern Mollamelik, Horasan district, Erzurum province (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

According to local residents, a church stood near the village, approximately 0.8 kilometers eastward from the center, in a small grove amidst the arable fields (40°06'50.98"N 42°03'17.61"E). The church was demolished. There is no visible trace of it now. In the village area, in its center, there are the ruins of an old village or medieval settlement, which includes a cave system (40°06'55.62"N 42°02'48.60"E). The small area of approximately 70 meters long and 50 meters wide contains buildings most of which have been demolished to the ground. The right end section of the same area is a rocky hillock with a two-chamber cave rock cut in it. The “front” of the rock is a large arched “portal” through which we enter a medium-sized oval room. Fragments of stonework can be seen at different levels. It is difficult to know their function. The two construction phases can be distinguished in the settlement located next to the rock. We consider it reasonable that it is a small village that had its own small fortification and a religious building rock cut in the hillock.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის ფრაგმენტები /
Fragments of the building



ფოტო/Photo 2. კედლის სტრუქტურა
The wall structure

მოლამელიქი, ციხე (?) სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი მოლამელიქი, თანამედროვე მოლამელიქი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 1.2 კილომეტრის მოშორებით, ზღვის დონიდან 1770 მეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა მიუთითებს ციხის არსებობას ($40^{\circ}06'50.61''\text{N}$ $42^{\circ}03'34.25''\text{E}$), თუმცა ადგილზე არაფერი გაირჩევა - ჩანს მხოლოდ მცირე და საშუალო ზომის ქვების გროვები. ამავე ლოკაციის მოპირდაპირედ, მცირე კლდოვან მასივზე განიჩევა რამდენიმე გამოქვაბული, რომლებიც კლდის ზედაპირზე გაფანტულადაა გაჭრილი.

Mollamelik, a Fortress (?) Eastward from the Village

Mollamelik, a village in historical Basiani, the modern Mollamelik, Horasan district, Erzurum province (Mollamelik, Horasan İlçesi, Erzurum İli).

In the vicinity of the village, approximately 1.2 kilometers eastward from the center, at an altitude of 1,770 meters above sea level, the local residents report the presence of a fortress ($40^{\circ}06'50.61''\text{N}$ $42^{\circ}03'34.25''\text{E}$), but nothing can be distinguished on the ground: only piles of small and medium-sized stones can be seen. Opposite the place, on a small rock, there are several caves scattered on the rock face.



ფოტო/Photo 1. ციხის (?) მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (?) (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ტერიტორიის საერთო ხედი / General view of the site



ფოტო/Photo 3. გამოქვაბულების საერთო ხედი / General view of caves



ფოტო/Photo 4. გამოქვაბულების ახლო ხედი / A close-up view of caves

პატარა ტუ, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი პატარა ტუ, თანამედროვე ქუჩუქტუი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Küçüktüy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის განაპირას მაღალი მთის თხემზე, ცენტრიდან დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით (40°00'34.07"N 41°25'30.93"E). ძეგლის საერთო ზომები საკმაოდ შთამბეჭდავია - სიგრძე დაახლოებით 60-70 მეტრია, ხოლო სიგანე 40-50 მეტრს უახლოვდება. კედლების მაქსიმალური სიმაღლე დაახლოებით 2-2.5 მეტრია, ხოლო მისი სიგანე 2 მეტრამდე აღწევს. ფრაგმენტულად იკითხება კედლის წყობა და კონსტრუქციულ-ფუნქციური დანიშნულების მქონე მონაკვეთები.

დიდი ზომის, მშრალი წყობით ნაგები ძეგლი წრიული გეგმარებისაა. მასში შესასვლელი დასავლეთიდანაა მოწყობილი, რომელიც დაახლოებით 2.5-3 მეტრის სიგრძის მქონე, „კორიდორული“ სისტემითაა ნაგები. ფრაგმენტულად განირჩევა კედლის წყობა, სადაც ჩანს დიდი ზომის ლოდების ქვედა რიგი და შედარებით მცირე ზომის ქვებით ნაგები კედლები. გარე და შიდა წყობას შორის შემავსებლად ასევე მცირე ზომის ქვებია ნახმარი. აქა-იქ ჩანს კედლის წყობის მცირე ნაწილები, რაც გვაფიქრებინებს, რომ კომპლექსის ზომა გაცილებით დიდი იყო. გალავნის კედლებში გვხვდება წრიული გეგმარების, კოშკისებრი კონსტრუქციები, რომელთა საშუალო დიამეტრი 1.5-2 მეტრს აღწევს. გვხვდება მართკუთხა მოხაზულობის, შედარებით მოზრდილი სათავსების საძირკვლები. შიდა პერიმეტრზე საკმაოდ მრავლად ფიქსირდება, ნატეხი ქვით შედგენილი, კედლის წყობის ფრაგმენტები, რაც შიდა „უბნების“ დანაწევრებაზე უნდა მიუთითებდეს.

ნაგებობა საერთო პროპორციებით, გეგმარებით, სამშენებლო ტექნიკით, განთავსების არეალით, მშრალი ქვის ლოდოვანი წყობით აშკარა კავშირს ავლენს მეგალითური კულტურის სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურასთან.

Little Tüy, a Drywall Building Northwest of the Village

Little Tüy, a village in historical Basiani, the modern Küçüktuy, Pasinler District, Erzurum Province (Küçüktüy, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument lies on the edge of the village on the crest of a high mountain, about 1.5 kilometers from the center (40°00'34.07"N 41°25'30.93"E). The overall dimensions of the monument are quite impressive – the length is about 60-70 meters and the width is close to 40-50 meters. The maximum height of the walls is approximately 2-2.5 meters, and the width is up to 2 meters. The wall layout and elements used for its structural integrity are visible only as fragments.

A large drywall monument has a circular outline. On the west side, there is an entrance with a corridor, approximately 2.5-3 meters long. The stonework survived in fragmentary form. It consists of large stones in the lower part of the wall and relatively smaller stones above them. Small stones are also used to fill spaces between the outer and inner surfaces of the wall. There are small pieces of wall here and there. This leads us to believe that the size of the monument was much larger. Tower-like round structures belong to the defensive wall. Their average diameter is 1.5-2 meters. There are rectangular foundations of relatively large rooms. Numerous wall fragments built of rubble stone were found in the interior. These partition walls divided the space into rooms.

The building with its general dimensions, design, construction technique, its proper placement in the environment, and the use of drywall technique shows its relation with a defensive and residential construction of the megalithic type.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. გალავნის კედლები და შესასვლელი / Defensive wall and an entrance



ფოტო/Photo 4. გალავნის კედლის ფრაგმენტები / Defensive wall, fragments



ფოტო/Photo 5. ინტერიერი, კედლის ფრაგმენტები / Interior, wall fragments

პორსუკი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი პორსუკი, თანამედროვე პორსუკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ყოფილა ეკლესია, რომელიც გადმოცემით იციან, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ერთ-ერთი ნაგებობის წყობაში, საფასადო მხარეს, ფიქსირდება ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით (40°01'30.32"N 41°33'43.17"E). კედლის წყობაში ჩართული ჯვრის რელიეფური გამოსახულება, შესრულების ტექნიკითა და სტილისტური ნიშნებით გვიანი შუა საუკუნეების ხელობას უნდა წარმოადგენდეს, ხოლო მისი მხატვრული გადაწყვეტა სიახლოვეს ამჟღავნებს ხაჩქარებზე არსებული ჯვრის ზოგად კომპოზიციებთან. ადგილობრივთა თქმით, სოფლის ტერიტორიაზე ასევე შემორჩენილია ჩუქურთმებითა და გამოსახულებებით შემკული ქვები, რომელთა მიკვლევაც ექსპედიციის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

საფიქრებელია, რომ აღნიშნული გამოსახულება და სოფლის ტერიტორიაზე მიმოხეული ჩუქურთმიანი ქვები საკულტო ნაგებობას ეკუთვნოდა, რომელიც განადგურდა.

Porsuk, a Church

Porsuk, a village in historical Basiani, the modern Porsuk, Pasinler District, Erzurum Province (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

According to the information received from the locals, there was a church in the village that they know about, although they cannot say the exact location. Facade of one of the buildings has a relief image of the cross (40°01'30.32"N 41°33'43.17"E). Based on its style and execution technique, the relief image of the cross probably dates to the late Middle Ages. Its artistic solution links the relief with an Armenian khachkar cross. According to the locals, ornamented stones can also be found in the territory of the village. Unfortunately, our expedition did not manage to track down these objects.

It is possible that the bas-relief depicting the cross and other ornamented stones scattered in the village are from the now-destroyed religious building.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 1. ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით / Stone with engraved cross

პორსუკი, მშრალი წყობის ნაგებობები სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი პორსუკი, თანამედროვე პორსუკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, ტბის პირას, მდებარეობს რამდენიმე ნაგებობის ნანგრევი (40°02'24.17"N 41°34'25.17"E), რომელთა ზუსტი დანიშნულება უცნობია. ადგილზე შემორჩენილია რამდენიმე შენობის ნაშალი - მათ შორის ცენტრალური, შედარებით დიდი ზომის ობიექტი მართკუთხა გეგმარებისაა. მისი დაახლოებითი სიგრძე 40-45 მეტრი, ხოლო სიგანე 25-30 მეტრია. აღნიშნული ნაგებობის ირგვლივ იკითხება კიდევ რამდენიმე შენობა - მართკუთხა გეგმარების ერთი შენობა საკმაოდ კარგადაა დაცული. მისი კედლების სიმაღლე 2-2.5 მეტრს აღწევს. სათავსი კვადრატულია, ხოლო შენობის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 3x3.5 მეტრია. ტერიტორიაზე ფიქსირდება კიდევ ორი მართკუთხა გეგმარების სათავსი.

ნაგებობათა შემორჩენილი ნაწილების მიხედვით რთული დასადგენია მათი ფუნქცია და აგების თარიღი. ჩვენი მოსაზრებით შენობათა სადღეისოდ მოცემული არქიტექტურული კომპლექსი უფრო გვიან შუა საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს.

Porsuk, a Drywall Building Northeast of the Village

Porsuk, a village in historical Basiani, the modern Porsuk, Pasinler District, Erzurum Province (Porsuk, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

Northeast of the village, approximately 2 kilometers away, on the bank of a lake, there are several ruins of buildings (40°02'24.17"N 41°34'25.17"E). The actual purpose of the ruins is unknown. Among the ruins is a central, relatively large rectangular construction. Its approximate length is 40-45 meters, and the width is 25-30 meters. There are several other buildings surrounding it. One of these rectangular buildings is well preserved. The height of its walls is 2-2.5 meters. The building is square, with each side measuring approximately 3-3.5 meters. There are two more rectangular buildings at the site.

Based on the remaining parts of the buildings, it is difficult to determine their purpose and construction time. In our opinion, this architectural complex should belong to the late Middle Ages.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building



ფოტო/Photo 3. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building



ფოტო/Photo 4. ნაგებობის ფრაგმენტები
Fragments of the building



ფოტო/Photo 5. კედლის წყობა და ნიში
Wall masonry and a niche

რაბათი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი რაბათი, თანამედროვე ჩალიაზი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Çalhyazı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, შემადღებულ ბორცვზე. ძეგლის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Üngör და სხვ., 2014: 66), შენობის კედლები მთლიანად მორღვეულია და მხოლოდ რამდენიმე ადგილას, საძირკვლის დონეზეა დარჩენილი. დასავლეთ ნაწილში შემორჩენილი ნაგებობის ფრაგმენტები სავარაუდოდ შესასვლელს ეკუთვნის. შიდა ტერიტორიაზე ოვალური ფორმის კიდევ ორი ნაგებობაა, რომლებიც თურქი მკვლევარის ვარაუდით საფლავები უნდა იყოს. ძეგლის დასავლეთით შეინიშნება ნასახლარის ნაშთები.

Rabat, a Drywall Building Westward from the Village

Rabat, a village in historical Basiani, the modern Çalhyazı, Pasinler District, Erzurum Province (Çalhyazı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The building is located westward from the village, about 2 kilometers away on a hillock. It was not possible to visit the monument on site and study it. According to the Turkish literature (Üngör et al., 2014: 66), the walls of the building have collapsed entirely. Only a few wall fragments remain at the foundation level. More wall fragments left in the western part, probably belong to the gates. There are two oval buildings in the inner area. According to the Turkish scholar, these should be the tombs. The remains of the settlement can be seen on the west side of the monument.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის საერთო ხედი (წყარო: Üngör და სხვ., 2014: 77 ფოტო 13) / Building, general view (Source: Üngör et al., 2014: 77 Photo 13)

სანსორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი სანსორი, თანამედროვე ტაშლიგუნეი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşlıgüney, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით, ხეობაში. ძეგლი მოქცეულია შემადღებულ ბორცვის თხემზე, რომელიც ოთხივე მხრიდან მოსაზღვრულია მაღალი მთებით (40°04'16.86"N 41°46'12.73"E). წრიული გეგმარების ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 35-40 მეტრი, ხოლო სიგანე 30-35 მეტრი უნდა ყოფილიყო. კედლები აღარაა შემორჩენილი, თუმცა კრატერისებრი მოყვანილობის მთის თხემზე განირჩევა მცენარეული საფარის ქვეშ მოქცეული ქვა-ყრილის ბორცვები. ფერდობზე განირჩევა ასევე ჩამოწოლილი წყობის ქვა-გროვები. თხემზე, ოდნავ დაქანებულ ზედაპირზე შემოვლებული უნდა ყოფილიყო კედლების სისტემა,

რომლებიც დიდი ალბათობით მშრალი წესით იყო ნაგები. აღნიშნული გეგმარებიდან მხოლოდ კონტურები იკითხება.

ადგილობრივი მოსახლეობა მოცემულ ობიექტს მოიხსენიებს, როგორც „ბიჭის ციხე“ და მიუთითებენ მოშორებით ადგილს, სადაც უნდა მდგარიყო მეორე - „გოგოს ციხე“. გარდა ამისა, აღნიშნული ნაგებობის ნანგრევის სიახლოვეს არსებული ხევი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, მოიხსენიება, როგორც „წმ. მარიამის ხევი“.

Sansor, a Drywall Building in the Northeast from the Village


Sansor, a village in historical Basiani, the modern Taşlıgüney, Pasinler District, Erzurum Province (Taşlıgüney, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The remains of the monument are located in the valley, approximately 4 kilometers northeast from the village. The monument lies on a hillock surrounded by high mountains on all four sides (40°04'16.86"N 41°46'12.73"E). The length of the circular building is approximately 35-40 meters, and the width is 30-35 meters. The walls are no longer preserved. Only piles of stones with vegetation growing on them are seen. More piles are found on a slope of the hillock. The hillock must have been surrounded, in all probability, by a drywall defensive wall, outline of which can hardly be seen.

Local residents call this place the “Boy's Castle” and point further to the distant place where the “Girl's Castle” should have stood. It is of interest that the locals call the ravine next to the ruins “St. Mary's Ravine”.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2.. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view

სერჩებოღაზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი სერჩებოღაზი, თანამედროვე სერჩებოღაზი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Serçeboğazi, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით მაღალი მთის თხემზე (40°00'38.79"N 41°39'13.39"E). ძეგლი მდინარის პირას ყოფილა გაშენებული, თუმცა ამჟამად მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. ბასიანის რეგიონის მეგალითური კულტურის აღმშენებლობის ფონზე მოცემული ნაგებობა ძლიერ გამოირჩეულია. თხემზე მხოლოდ მცირე ნაშთებია დარჩენილი, მაგრამ შესაძლებელია საერთო გეგმარების ზოგადი სახით წარმოდგენა. არსებული მცირე ფრაგმენტებისა და სტრუქტურების გათვალისწინებით საქმე გვაქვს ოვალური დაგეგმარების შენობასთან, რომელიც ნაგები ყოფილა მშრალი წყობით - ადგილ-ადგილ განირჩევა კედელთა მცირე ნარჩენები.

საფიქრებელია, რომ მთის ძირს შემოყოლებული დიდი თხრილი, რომელიც სადღესოდ სარწყავ არხადაა გამოყენებული, ნაგებობის ფუნქციონირების დროინდელი თავდაცვითი თხრილის განახლებას წარმოადგენდეს, რაც მეგალითური კულტურის არაერთი მშენებლობის შემთხვევაშია დაფიქსირებული - თუნდაც იმავე ბასიანის რეგიონში.

Serçeboğazi, a Drywall Building Eastward from the Village

Serçeboğazi, a village in historical Basiani, the modern Serçeboğazi, Pasinler District, Erzurum Province (Serçeboğazi, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The remains of the building are located about a kilometer eastward from the village (40°00'38.79"N 41°39'13.39"E). The monument is built near the river, on a high mountain crest. Only small fragments remain. The monument under consideration stands out from numerous other drywall constructions found in historical Basiani. Against the background of the megalithic structures found in the Bassiani region, this building is highly distinguished. Though only small fragments of stonework remain on the hill, it was made possible to restore a general plan of the monument. Considering the existing small fragments and small remains of walls found here and there, it is an oval drywall building.

Most probably, the wide ditch surrounding the hill, which is now used as an irrigation channel, is actually a defensive ditch or moat. Such moats are running around constructions of the megalithic type throughout the region, including the historical province of Basiani.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view

სურბოლანი, მეგალითური ციხე

ისტორიული ბასიანის სოფელი სურბოლანი, თანამედროვე იორენტაში, ქოფრუქოს რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Örentaş, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

მიწის პირამდე მოსწორებული და ძლიერ დაზიანებული ნაგებობის ნაშთები განთავსებულია სოფლის განაპირას, სამხრეთით, დაახლოებით 200-300 მეტრში, ბუნებრივად დატერასებული მთების კალთებზე (40°04'57.79"N 41°51'37.75"E). ძეგლის დაცულობის და ადგილზე არსებული ნაშთების ფრაგმენტულობის გათვალისწინებით ძნელი დასადგენია მისი სრული პროპორციები. ძეგლი განთავსებული უნდა ყოფილიყო მაღალი მთის ტერასული რელიეფის რომელიმე მოსწორებულ ბაქანზე, თუმცა არაა გამორიცხული, რომ ნაგებობა გაცილებით დიდი მასშტაბისა იყო და მოიცავდა ამ ბუნებრივად ხელსაყრელი მთის სხვადასხვა კალთას. კედლის წყობის მცირე ნაშთი, ერთმანეთისგან მოშორებით, მთელი მთის თხემზე განიჭევა. მოცემული მონაკვეთის, დატერასებული ბორცვების, საერთო სიგრძე 500-600 მეტრია. გვხვდება მიწის ზედაპირამდე მოსწორებული ნაშთები. ერთადერთი მიმანიშნებელი, მოცემულ ტერიტორიაზე ოდესღაც არსებული ძეგლისა, მცირე ქვა-ყრილები წარმოადგენს. ესაა მცირე ზომის ნატეხები, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათ ქვეშ შესაძლოა დარჩენილი იყოს ძველი წყობის ფრაგმენტები. სხვადასხვა ტერასაზე დაფიქსირებული მცირე ფრაგმენტების მიხედვით ვუშვებთ, რომ ნაგებობა არა ერთი, არამედ რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა - ამდენად, ათვისებული იყო ბუნებრივად მომგებიანი, კარგად დაცული, მთის ფერდობი.

განთავსების არეალი, მათი ზოგადი სტრუქტურა და ქვის შემორჩენილი ფრაგმენტები მიგვანიშნებს მეგალითური კულტურის არქიტექტურისათვის სახასიათო მშენებლობაზე. თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ციხედ.

აღსანიშნავია, რომ სოფლის ტერიტორიაზე ფიქსირდება სახლები, რომელთა კედლებშიც მოქცეულია სხვადასხვა სახით გაფორმებული ქვები. ერთ-ერთ სახლზე შემორჩენილია პროფილირებული, საფეხუროვანი კარნიზის ქვები და საფასადო წყობაში მოქცეული კვადრი ცხოველის (ცხენი ან ვირი) გამოსახულებით. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული, ხოლო ხსენებული ელემენტების თავდაპირველი კუთვნილება ძეგლისადმი არ მიგვაჩნია გამორიცხულად – შესაძლოა ეს ფრაგმენტები იმთავითვე სახლის სამშენის, მისი მხატვრული გააზრების ნაწილსა და დეკორს წარმოადგენდა.

Sürboğan, a Megalithic Fortress

Sürboğan, a village in historical Basiani, the modern Örentaş, Köprüköy District, Erzurum Province (Örentaş, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

The remains of the monument, badly damaged, demolished almost to the ground, can be found in the outskirts of the village, southward, approximately 200-300 meters away, on the slopes of the naturally terraced mountain slope (40°04'57.79"N 41°51'37.75"E). Based on the preservation of the monument and the fragmentation of the remains at the site, its full dimensions are difficult to be determined. The monument probably lay on one of the leveled platforms of the terraced terrain of the high mountain, although it is also possible that the construction was much larger, occupying the slopes as well. The total length of the terraced hills is 500-600 meters. Remains of the construction are leveled to the surface of the ground. Small stone piles are found along the crest of the hill. They are the only evidence of a monument once standing in that area. Based on the small fragments found on different terraces, we assume that the building consisted not of one, but of several parts. Thus, a naturally beneficial, well-protected hillside was completely developed by the residents.

Based on the location, general structure, and the remaining stone fragments of the monument, we deal with the construction that is characteristic of the architecture of the megalithic culture. In Turkish literature, the monument is called a fortress.

It is of note that in the village area there are houses with ornamented stones in the walls. One of the damaged houses has a cornice with a step-like profile, and a stone block with an animal carving (horse or donkey) is found on its façade. We cannot exclude that the above-mentioned façade elements were introduced simultaneously with the construction of the house.



ფოტო/Photo 1 ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 3. ნაგებობის ნაშთები / Ruins of a building



ფოტო/Photo 4. გალავნის ქვედა ტერასები / Lower terraces of the defensive wall



ფოტო/Photo 5. გალავნის ზედა ტერასა/ Upper terrace of the defensive wall



ფოტო/Photo 6. სოფელი სურბოღანი, ხედი ციხის მიდამოებიდან / The village of Sürboğan. View from the environs of the fortress.



ფოტო/Photo 7. სახლის საერთო ხედი / House, general view



ფოტო/Photo 8. კარნიზის ქვის ფრაგმენტი / Cornice stone fragment



ფოტო/Photo 9, 10. კარნიზის ქვის ფრაგმენტი / Cornice stone fragment



ტალუნსი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი ტალუნსი, თანამედროვე კარატაშლარი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karataşlar, KöprükÖy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი კომპლექსი მდებარეობს სოფლის სიახლოვეს, მისგან აღმოსავლეთით, სოფელში შემავალი ცენტრალური გზის პირას, დაახლოებით 300-400 მეტრის მოშორებით, კლდოვან ქედზე (39°51'00.68"N 41°57'50.52"E). კლდოვანი კეხის საწყის მონაკვეთზე სადღესოდ შემორჩენილია სამი დიდი ზომის და სამი შედარებით მომცრო სენაკი და ორი ნაეკლესიარი. პირობითად პირველი სათავსი სიგრძით 4-5 მეტრი, სიგანით კი 3-3.5 მეტრი იქნება. აღნიშნული სათავსის ნაწილი ჩამოშლილია და ამდენად არ იკითხება შესასვლელი. შედარებით უკეთაა შემორჩენილი მცირე ზომისა და მართკუთხა ფორმის ქვაბული სივრცე. აღნიშნული სათავსის სიგრძე დაახლოებით 1-1.2 მეტრი, სიმაღლე 0.4-0.6 მეტრი, ხოლო სიგანე 0.6-0.7 მეტრი უნდა იყოს. ძნელი სათქმელია თუ რა დანიშნულება შეიძლება ჰქონოდა მოცემულ სათავსს. კლდოვან კონცხზე გვხვდება კიდევ ორი სათავსი, რომლებიც ერთმანეთს დიდი კართა თუ თალით უკავშირდება. სათავსებიდან დასავლეთისა დისპროპორციული გეგმარებისაა, ხოლო აღმოსავლეთისა, სადაც ეკლესია ყოფილა მოწყობილი, მეტად უახლოვდება მართკუთხედს. პირველი სათავსის სიგრძე-სიგანე 5x4 მეტრია, ხოლო ეკლესიის სიგრძე 3-3.5, სიგანე კი 2 მეტრი უნდა იყოს.

მართკუთხა გეგმის მქონე ეკლესია აღმოსავლეთით ნალისებრი ფორმის აფსიდით სრულდება. მცირე ზომის ნიში გვხვდება აფსიდის ჩრდილოეთ კედელში. წრიული ფორმის, სარკმელი აფსიდისავე სამხრეთ კედელშია დატანილი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის დონიდან დაახლოებით 0.5-0.6 მეტრით მაღლაა ნაკვეთი. საკურთხევლის წინ, ჩრდილოეთ კედელში კიდევ ერთი ნიშია. ამავე მონაკვეთებზე მოცემულია მცირე სიღრმის მართკუთხა ჩანაჭდევები, რაც შესაძლოა კანკელის კიდებდად მივიჩნიოთ. საკურთხევლის აფსიდის ნახევარწრიული თალი ზემოთ ოდნავ ვიწროვდება. ბუდეებია დაფიქსირებული ტაძრის სამხრეთ კედელში გაჭრილი კარის მიდამოებში - ვფიქრობთ კარის საკედურებისთვის განკუთვნილი.

კლდოვანი მასივის სივრცეში მოქცეული კომპლექსი, დიდი ალბათობით, სამონასტრო სივრცეს წარმოადგენდა, სადაც შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს ორი ეკლესიის და სამი სხვა სათავსის კვალი.

კლდეში ნაკვეთი კომპლექსიდან დაახლოებით 300 მეტრში, მის ქვემოთ, სამხრეთით, კლდოვან ფერდზე გვხვდება მეტად საყურადღებო ნაკვეთობები (39°50'50.54"N 41°57'52.49"E). კლდოვან შვერილებზე უხვადაა დატანილი მარტივი და შედარებით რთული პროფილირების ჯვრები – მათ შორის, კლდის ერთ მცირე მონაკვეთზე წარმოდგენილია 10-12 ჯვარი, რომლებიც ზედაპირიდან სიღრმეშია ჩანაკვეთი. მეორე ასეთივე „კომპლექტზე“ მოცემულია 6-7 ჯვარი, სადაც კვეთის ტექნიკა იგივეა, თუმცა ჯვრის ფორმებია განსხვავებული - ამ შემთხვევაში ჯვრის მკლავების კიდურა არეები გაფართოებულია. გვხვდება ისეთი მონაკვეთებიც, სადაც გამოქარვის გამო, ჯვრების მხოლოდ კონტურებიღა აღიქმება. ამავე მონაკვეთზე ვხვდებით კლდეში ან კლდოვანი ნაფლეთის ზედაპირზე ნაკვეთ მართკუთხა ბუდეებს, რომელთა დანიშნულებაც უცნობია. ამავე გადაწყვეტის, თუმცა წრიული მოხაზულობისა და ხელოვნური დამუშავების მქონე ერთი ობიექტი ზემოთ დასახელებული სამონასტრო კომპლექსის თავზეც აღმოჩნდა. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ ობიექტების შემთხვევაში საქმე გვაქვს ქვა-ჯვარასთან, ქვა-სვეტთან ან მემორიალური დანიშნულების სვეტთან, მით უფრო, რომ მათ ირგვლივ ყველგან უამრავი ჯვარის კვეთილობაა დაფიქსირებული.

Taguns, a Rock-Cut Monastery

Taguns, a village in historical Basiani, the modern Karataşlar, KöprükÖy District, Erzurum Province (Karataşlar, KöprükÖy İlçesi, Erzurum İli).

The rock-cut complex is located near the village, east of it, on the side of the central road leading to the village, approximately 300-400 meters away, on a rocky ridge (39°51'00.68"N 41°57'50.52"E). At the beginning of the ridge, there are three large and three relatively small monastic cells and two churches. Conditionally, the first cell should be 4-5 meters long and 3-3.5 meters wide. The part of the cell has fallen in, so the entrance cannot be conceived. The small rectangular cave is relatively better preserved. It is approximately 1-1.2 meters long, 0.6-0.7 meters wide,

and 0.4-0.6 meters high. It is difficult to say what the purpose of this cave was. There are two more caves on the rocky ridge. They are connected to each other by means of a large door or arch. The western cave has an irregular shape, while the outline of the eastern cave, which was used as a church, is close to a rectangle. The first cave is 5 meters long and 4 meters wide, and the church is 3-3.5 meters long and 2 meters wide.

The church with a single, rectangular nave has a horseshoe-shaped semicircular apse on the east side. There is a small niche in the north wall of the apse. A round window is placed in the south wall of the apse. The floor of the altar is approximately 0.5-0.6 meters above the level of the hall. There is another niche in the north wall in front of the altar. Shallow rectangular mortice holes found at the front edge of the altar were probably used to fix a chancel screen. The semicircular arch of the apse in the sanctuary tapers slightly towards the conch. The holes in the side jamb of the door cut into the south wall of the church were probably for attaching door hinges.

The caves probably formed a monastic complex, from which traces of two churches and three caves are still preserved.

Approximately 300 meters southward, below the rock-cut complex, crosses are incised in a rock surface (39°50'50.54"N 41°57'52.49"E). A large number of simple and relatively complex profile crosses can be seen. There are 10-12 crosses incised in one of the small sections of rock. 6-7 crosses are found in vicinity. Their carving technique is the same, although the shapes of these crosses are different: arms of these crosses widen towards the ends. Due to surface erosion, only the outlines of the crosses have been preserved in some places. Apart from the crosses, square holes carved into the rock surface can be seen. Their purpose is unknown. A hewn stone with a round shape was found on top of the above-mentioned monastery complex. Based on the presence of numerous relief crosses on nearby rock surfaces, it is possible that this is a fragment of a stone cross or memorial pillar erected at the site.



ფოტო/Photo 1. მონასტრისა და მიმდებარე კლდოვანი ფერდის მდებარეობა (Google Earth) / Location of the monastery and adjacent rock (Google Earth)



ფოტო/Photo 2. მონასტრის საერთო ხედი / Monastery, general view



ფოტო/Photo 3. გამოქვაბულის შესასვლელი / Cave entrances



ფოტო/Photo 4. ჩამოშლილი ქეახული / A collapsed cave



ფოტო/Photo 5. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით / Interior, looking east



ფოტო/Photo 6. ინტერიერი, შესასვლელი / Interior, entrance



ფოტო/Photo 7. კლდოვანი ფერდის საერთო ხედი / General view of the cliff surface



ფოტო/Photo 8, 9. კლდეზე გამოსახული ჯვრები / Crosses engraved on the rock surface



ფოტო/Photo 10. კლდეზე გამოსახული ჯვრები/
Crosses engraved on the rock surface



ფოტო/Photo 11. ბუდიანი ქვები/
Stones with a socket

ტაღუნსი, ციხე


ისტორიული ბასიანის სოფელი ტაღუნსი, თანამედროვე კარატაშლარი, კოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karataşlar, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

თურქულ წყაროებში მოხსენიებული ციხე სოფლის განაპირას, მაღალი კლდის თავზე უნდა ყოფილიყო აგებული, თუმცა მითითებულ ადგილას სადღეისოდ არანაირი კვალი ნაგებობისა არ ფიქსირდება (39°50'55.48"N 41°57'44.69"E). საყურადღებოა, რომ ციხის სავარაუდო ტერიტორია ხეობაში, მდინარის პირას, მაღალი კლდის თავზე ლოკალიზდება, რაც სტრატეგიული თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს პუნქტად უნდა მივიჩნიოთ.

Tağuns, a Fortress

Tağuns, a village in historical Basiani, the modern Karataşlar, Köprükøy District, Erzurum Province (Karataşlar, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

The fortress mentioned in Turkish written sources should have been built on top of a high hill at the edge of the village, although at present there is no trace of the monument in the indicated place (39°50'55.48"N 41°57'44.69"E). It is worth noting that the location of the monument in the valley, on a high rock which overlooks the river, is significant because the fortress dominated the entire valley.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი (წყარო: Günaşdı და სხვ., 2012: 66, ფოტო 6) / Fortress, general view (Source: Günaşdı et al., 2012: 66, Photo 6)

ქეივანქი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ქეივანქი, თანამედროვე ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşkaynak, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრის სიახლოვეს და მოქცეულია თანამედროვე განაშენიანებაში. ძველი საცხოვრებელი სახლების უკანაა მოქცეული (40°01'31.14"N 41°35'32.13"E). თავისუფალი ჯვრის ტიპი ტაძარი მომცრო ზომისაა და მისი გეგმარებითი მოხაზულობა კვადრატულ ფორმაში ექცევა - ამდენად, შენობის სიგრძე-სიგანე ერთმანეთის ტოლია და დაახლოებით 10 მეტრს აღწევს. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 6-7 მეტრი, ხოლო სისქე, მხოლოდ შემორჩენილი დუღაბის მასისა 0.6-0.7 მეტრი უნდა იყოს. იკითხება ნაგებობაში შესასვლელი ორი კარი - დასავლეთით და ჩრდილოეთით, რომელთა სიგანეც სავარაუდოდ 1-1.2 მეტრი უნდა ყოფილიყო. ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. მისი გუმბათი სრულადაა მორღვეული ისევე, როგორც შენობის შემორჩენილი ძირითადი კორპუსის პერანგი.

ნაგებობის ოთხივე მხარეს აფსიდი უნდა ყოფილიყო. ძველი წარმოადგენს თავისუფალი ჯვრის ტიპს, გართულებულს აფსიდთშორისი კუთხის მონაკვეთებით. ნაგებობის შესასვლელები გაჭრილია ორ მხარეს, ჩრდილოეთით და დასავლეთით. დადასტურებით შეიძლება თქმა, რომ სარკმელი გაჭრილი იყო საკურთხევლის აფსიდში და კარის თავზე. ჩვენი ვარაუდით სარკმელი უნდა ყოფილიყო დასავლეთით, ასევე კარის თავზე, თუმცა ის აღარ ფიქსირდება. დაზიანებათა გამო, გუმბათის ფორმებს, ზომებსა და მასში სარკმლების რაოდენობას ვერ განვსაზღვრავთ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი და ჩრდილო-სამხრეთი ღერძი თანაბარი სიგრძისაა. ამდენად, საკურთხევლის აფსიდა იმავე პროპორციების იყო, როგორც სხვა დანარჩენი. რამდენიმე პერანგის ქვა გვაფიქრებინებს, რომ ძველი შემოსილი იყო საშუალო ზომის, კარგად თლილი, მოყვითალო ან რუხი ფერის კვადრებით.

ნაგებობის გეგმარებითი თავისებურებების, ზოგადი პროპორციების, ქვის წყობისა და ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, ძველი შესაძლოა აგებული იყოს X-XII საუკუნეების ინტერვალში, თუმცა ეს მხოლოდ მოსაზრებაა, რომელსაც სჭირდება დამატებით ფუნდამენტური შესწავლა, როგორც სახელოვნებათმცოდნეო, ისე არქეოლოგიური თვალსაზრისით.

Keyvank, a Church

Keyvank, a village in historical Basiani, the modern Taşkaynak, Pasinler District, Erzurum Province (Taşkaynak, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument is located near the center of the village and is integrated into a new housing development: the church stands behind the residential buildings (40°01'31.14"N 41°35'32.13"E). The church of the free cross-type is small in size. It is of square design, i.e. the length and width of the building are equal – 10 meters. The maximum height of the preserved walls is 6-7 meters, and the thickness of the church frame built of internal core stones is 0.6-0.7 meters. The church had two entrances – on the west and north sides. Their width was probably 1-1.2 meters. The building is badly damaged. Its dome has fallen and all stone cladding for exterior and interior walls of the church has gone.

The building should have had an apse on all four sides. Hence, the monument was a four-apsed structure with projecting angles in the corners between each arm. The entrances to the church are cut from the north and west sides. A window was cut in the apse of the sanctuary and above the door. In our opinion, the window should have been on the west side as well, above the door. It has gone together with the wall. Due to the damage, we could not determine the shape, size and number of windows in the dome. It should be noted that the east-west and north-south axes are of the same length. Therefore, the apse of the sanctuary had the same size as the other three apses. Several preserved facing stones suggest that the exterior and interior walls of the monument were faced with medium-sized, well-hewn, yellowish or gray blocks.

Taking into account the design features of the building, general proportions, placement of stones and historical reality, the monument may have been built between the 10th and 12th centuries, although it is a preliminary assumption which requires comprehensive artistic and archaeological analysis for validation.



ფოტო/Photo 1. ეკლესიის საერთო ხედი / Church, general view



ფოტო/Photo 2. ეკლესიის დასავლეთი კედელი და შესასვლელი / West wall of the church and entrance




ფოტო/Photo 3. ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი / Church, east wall



ფოტო/Photo 4. ეკლესიის ინტერიერი / Church interior



ფოტო/Photo 5. ეკლესიის ინტერიერი, ქვის წყობის ფრაგმენტები / Interior of the church, fragments of stone masonry



ძეგლის ანაზომი შესრულებულია მ. სულხანიშვილისა და ნ. არონიშვილის მიერ / The monument was measured by M.Sulkhanishvili and N. Aronishidze

ქვემო კიზილკალე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ქვემო კიზილკალე, თანამედროვე აშადიკიზილკალე, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Aşağıkızıl kale, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრში მოშორებით, მდინარე არაქსის მარცხენა მხარეს. ძეგლის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Ceylan და სხვ., 2018: 92), ნაგებობის კედლები თითქმის მთლიანად მიწითაა დაფარული. მხოლოდ რამდენიმე ადგილას ჩანს მიწის დონეზე. თურქული ლიტერატურა ნაგებობას ციხედ მოიხსენიებს. ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 35 მეტრი, ხოლო სიგანე 20 მეტრია.

The Lower Kızıl kale, a Drywall Building Eastward From the Village

Lower Kızıl kale, a village in historical Basiani, the modern Aşağıkızıl kale, Köprüköy District, Erzurum Province (AşağıKızıl kale, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

The building is located eastward from the village, approximately 2 kilometers away, on the left bank of the Araks River. It was not possible to study the monument at the site. According to the Turkish literature (Ceylan et al., 2018: 92), the walls of the structure are almost completely covered with soil. Only several fragments of it are visible. Turkish literature calls the monument a fortress. It is about 35 meters long and 20 meters wide.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის საერთო ხედი (წყარო: Ceylan და სხვ., 2018: 102, ფოტო 13) / Building, general view (Source: Ceylan et al., 2018: 102, Photo 13)

ქოფრუქოი, ხიდი

ისტორიული ბასიანის სოფელი ქოფრუქოი, თანამედროვე ქალაქი ქოფრუქოი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Köprüköy, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

მდინარე არაქსზე, ქალაქის აღმოსავლეთ ბოლოში, ცენტრიდან დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, გადებულია მძლავრი ოსმალური ხიდი, რომელიც ცენტრალური გზის პირასაა განთავსებული (39°58'11.35"N 41°53'19.00"E). მისი საერთო სიგრძე 130 მეტრია. ხიდი აშენდა XIII საუკუნის ბოლოს და იგი რამდენჯერმე აღადგინეს XVIII-XX საუკუნეებში.

ოსმალური ხიდი მდინარე არაქსის საკმაოდ განიერ ყელზეა გადებული. ნაგებობის ძირითად არქიტექტურულ და კონსტრუქციულ სახეს ექვს ძირითად ბურჯზე გამართული შვიდი თალი წარმოქმნის. ძეგლი ნაგებია მოყვითალო, მოწითალო და რუხი ფერის, კარგად დამუშავებული, საშუალო ზომის

კვადრებით. ხიდის შემადგენელი განიერი მალეები, ზედა მხარეს, შეისრული ფორმითაა წარმოდგენილი. განიერი ბურჯების ორივე მხარეს (მდინარის დინების მიმართულებით და მის საპირისპიროდ) მოცემულია ერთგვარი კონტრფორსები, რომელთა ნაწილს წყალამრიდის ფუნქციაც გააჩნია. „კონტრფორსები“ დინების საპირისპირო მხარეს, მოიცავს სამკუთხა პირის მქონე წყალამრიდ კონსტრუქციებს. ცენტრალურ წახნაგებზე მოცემულია სხვადასხვა ფორმის მცირე „სარკმელი“, რაც თავის მხრივ გულისხმობს მის შიგნით არსებულ, „ფორმალურ“ სივრცით არეებს. ძირითადად ეს სარკმლები წრიული ფორმისაა, ხოლო ზოგიერთი მათგანის ქვედა არეზე, ერთგვარი საპირეცაა დატანილი. ბურჯების მინაშენი სტრუქტურის ფორმირებაში განირჩევა გარკვეული მხატვრული გაფორმების ელემენტები. გვხვდება ხიდის საფასადო კედლების ამა თუ იმ მონაკვეთზე დატანილი ორნამენტირებული კვადრები, რომლებიც უსისტემოდაა განთავსებული.

ნაგებობის არქიტექტურული მთლიანობა თითქმის თავდაპირველი სახით უნდა იყოს მოღწეული – ჩანს მხატვრული გააზრების სპეციფიკა, რომელიც კონკრეტული კულტურული არეალის მათვალსაჩინოებელია. თურქულ ლიტერატურაში ძეგლი მოხსენიებულია ჩობანდედეს ისტორიულ ხიდად.

Köprüküy, a Bridge

Köprüküy, a village in historical Basiani, the modern city of Köprüküy, Köprüküy District, Erzurum Province (Köprüküy, Köprüküy İlçesi, Erzurum İli).

At the Araks River, in the eastern part of the city, about a kilometer from the center, there is a strong Ottoman bridge, located on the central road (39°58'11.35"N 41°53'19.00"E). Its total length is 130 meters. The bridge was built at the end of the 13th century. It was rebuilt several times between the 18th and 20th centuries.

The Ottoman bridge crosses a large gorge of the Araks river. The main structure of the bridge is composed of seven arches based on six piers. The monument is built of yellowish, reddish and gray, finely dressed, medium-sized blocks. The arches of the bridge are pointed. The buttress-like stone structures are built against both sides of the piers (in the direction of the river flow and opposite to it). Some of them, namely those of triangular shape placed against the direction of the river flow, can reduce the effect of breaking wave force on the bridge piers. The central surface has small openings with different contours, which means that there are empty spaces in the structure. Basically, these holes are circular. Some of them have a kind of edging at the bottom. Some artistic elements of design stand out in the masonry structure of the piers. Decorative stones are randomly placed on this or that part of the bridge structure.

The bridge has been preserved in its original form with all its essential parts. Artistic comprehension of the architectural design typical of the certain cultural region is obvious. In Turkish literature, the monument is called the historical bridge of Chobandede.



ფოტო/Photo 1. ხიდის საერთო ხედი / Bridge, general view



ფოტო/Photo 2. ხიდის სავალი ნაწილი / Bridge, roadway



ფოტო/Photo 3. ხიდის კონტრფორსის ფრაგმენტი / Bridge, fragment of a buttress



ფოტო/Photo 4. წყობაში ჩართული ორნამენტული ქვები / Ornamental stones within masonry

ლოჯირ კომუ, ციხე სოფლის დასავლეთით


ისტორიული ბასიანის სოფელი ლოჯირ კომუ, თანამედროვე გეიქლი, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Geyikli, Köprükoy İlçesi, Erzurum İli).

ციხე მდებარეობს სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, მდინარე ულუდერეს მარცხენა მხარეს არსებულ კლდოვან ბაქანზე (39°48'08.60"N 42°01'49.60"E). ძეგლის ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. თურქული ლიტერატურის მიხედვით (Karageçi და Günaşdı 2019: 649-667), ციხე სამი მხრიდან მიუვალა და ასვლა მხოლოდ სამხრეთიდან არის შესაძლებელი. კედლები მთლიანად მორღვეულია და მხოლოდ რამდენიმე ადგილას მცირე ფრაგმენტებადაა შემორჩენილი. შემორჩენილია წყალზე ჩასასვლელი გვირაბი კლდეში ამოჭრილი საფეხურებით. გვირაბს შიდა განათებისთვის და ვენტილაციისთვის გარედან ამოჭრილი აქვს მცირე ზომის ღიობები. ციხის შიდა პერიმეტრზე რამდენიმე ადგილას კლდე საგანგებოდ არის მოჭრილი და მოსწორებული. თურქული ლიტერატურის მიხედვით ეს ადგილები საკულტო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ციხის არეალზე მოძიებული კერამიკა შუა რკინის ხანით და შუა საუკუნეებით თარიღდება. ლიტერატურის მიხედვით ნაგებობა Harami kalesi-ს სახელით მოიხსენიება.

Gücür Komu, a Fortress Westward from the Village

Gücür Komu, a village in historical Basiani, the modern city of Geyikli, Köprüköy District, Erzurum Province (Geyikli, Köprüköy İlçesi, Erzurum İli).

The fortress is located westward from the village, approximately 2 kilometers away, on a rocky plateau on the left bank of the Uludere River ($39^{\circ}48'08.60''\text{N } 42^{\circ}01'49.60''\text{E}$). It was not possible to visit and study the monument on site. According to the Turkish literature (Karageçi and Günaşdı 2019: 649-667), the fortress is inaccessible from three sides and can only be climbed from the south. The walls are completely destroyed. Only a few small fragments are preserved. A water tunnel with rock-cut steps, which ensures the water supply, is also preserved. The tunnel has small openings cut through it for internal lighting and ventilation. In several places on the inner perimeter of the fortress, the rock was cut away and its surface levelled. According to Turkish literature, the site had a religious purpose. The pottery sherds on the site of the fortress originate from the Middle Iron Age and the Middle Ages. According to the written literature, the monument is called Harami kalesi.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი (წყარო: Karageçi, და Günaşdı 2019: 664, ფოტო 3) / Fortress, general view (Source: Karageçi, და Günaşdı 2019: 664, Photo 3)

ჩერმიკსუ, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ჩერმიკსუ, თანამედროვე ილიჯასუ, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Ilıcasu, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ცენტრში, ერთ-ერთი სახლის ეზოში და დაფარულია ნაკელით, რომელიც ზემოდან ტენტითაა დახურული (40°07'38.58"N 41°53'06.08"E). ძეგლის საძირკველი იკითხება სოფლის ცენტრალური გზის მარჯვენა მხარეს, ტერასულად განვითარებული ბორცვის შუა წელზე. მისი ზუსტი ზომებისა და მასშტაბის განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან ის თითქმის სრულადაა დაფარული - „ზვინის“ მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ ძეგლის სიგრძე მიახლოებით 7-8 მეტრი, ხოლო სიგანე 4-5 მეტრი უნდა ყოფილიყო.

მითითებული მონაკვეთი რომ ნამდვილად შეიცავს გარკვეული არქიტექტურული ფორმების მქონე შენობას, მისი საძირკვლის წყობიდან ჩანს, თუმცა რა ტიპის მშენებლობასთან გვაქვს საქმე ამის გარკვევა შეუძლებელია. ნაგებობის საძირკველზე აშკარად განირჩევა რიყის ქვის არეული წყობა და განიერი, თხელი ფილა-ქვა. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მითითებული მონაკვეთი, ეკლესიის ნანგრევს მოიცავს.

Çermiksu, a Church

Çermiksu, a village in historical Basiani, the modern Ilıcasu, Köprükøy District, Erzurum Province (Ilıcasu, Köprükøy İlçesi, Erzurum İli).

The monument is located in the middle of the village, in the courtyard of one of the houses, and is covered with manure. The awning is spread over the manure (40°07'38.58"N 41°53'06.08"E). The foundation of the monument can be discerned on the right side of the central road of the village, in the middle of the terraced hill. It is impossible to determine its exact dimensions and size, because it is almost completely covered. Based on the size of the pile of manure, it can be assumed that the monument is 7-8 meters long and 4-5 meters wide.

That there really is a building of a certain architectural style on the mentioned place, is evident from its foundation, although it is not possible to determine what kind of a building we are dealing with. Cobblestones and a broad, thin slab-stone are exposed in the foundation. The local residents claim that a church stood on the site.



ფოტო/Photo 1. ეკლესიის ადგილის საერთო ხედი / General view of the church site



ფოტო/Photo 2. კედლის ფრაგმენტები / The wall fragments

ჩოღენდერი, ხიდი

ისტორიული ბასიანის სოფელი ჩოღენდერი, თანამედროვე ჩოღენდერი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Çöğender, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ორმალიანი, საკმაოდ მოზრდილი ხიდი მდებარეობს სოფლის განაპირას, ცენტრიდან დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით და გადებულია მცირე მდინარეზე (40°00'05.54"N 41°32'37.14"E). ძეგლის სიგრძე დაახლოებით 14-15 მეტრია ხოლო სიგანე 3.5-4 მეტრი. თაღები თითქმის ერთი ზომისაა და მათი მალეების სიგრძე 3-3.5 მეტრამდე აღწევს. ხიდის ზედა ნაწილები, მოაჯირები და კედლების მონაკვეთები

მოგვიანებითაა შეკეთებული, თუმცა კარგად იკითხება ძველი ფენა. ხიდი შუა წელზე მცირე ტეხილს იკეთებს და პირობითად ორი ფერდისგან შედგება. „ბურჯებიდან“ კონსტრუქცია ორი თალით ცენტრალურ ბურჯს ემყარება - ერთ მხარეს მინაშენია, რომელიც გარდა კონსტრუქციული ელემენტისა, წყალამრიდსაც წარმოადგენს. ნაგებობის ძირითადი კედლები და მასები ნაგებია რიყისა და ფლეთილი ქვის ნარევი წყობით, ხოლო კონსტრუქციულად მნიშვნელოვან ნაწილებში გამოყენებულია სხვადასხვა ფერის თლილი კვადრები.

სამშენებლო ტექნიკის, მასალის ფორმების, კონსტრუქციული ელემენტებისა და განახლების მიხედვით ხიდის თარიღის დადგენა რთულია, თუმცა შესაძლებელია ეს უკანასკნელი XVIII-XIX საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

Çöğender, a Bridge

Çöğender, a village in historical Basiani, the modern Çöğender, Pasinler District, Erzurum Province (Çöğender, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

A large two-span bridge is located on the outskirts of the village, approximately 200-300 meters away from the center. It crosses a small river ($40^{\circ}00'05.54''N$ $41^{\circ}32'37.14''E$). The bridge is 14-15 meters long and 3.5-4 meters wide. The arches are almost of the same size and each span is 3-3.5 meters wide. The upper parts of the bridge, the railings and some walls have undergone repair. Despite this, old construction layers are still visible. The bridge has a slight upwards curve towards the middle and conditionally consists of two slopes. The two arch bridge rests on the central pier on one side of which a structure is attached, which apart from being a structural element, reduces the effect of the breaking wave force on the pier. The main body of the bridge is built from a mixture of cobblestones and rough stones, while structurally important parts are made of finely dressed blocks of different colours.

It is difficult to determine the exact date of the bridge construction based on the construction techniques, types of used materials, structural elements and renovated parts, although it can be generally dated to the XVIII-XIX centuries.



ფოტო/Photo 1. ხიდის საერთო ხედი / Bridge, general view

ხანეგე, გამოქვაბულები და არქიტექტურული კომპლექსი

ისტორიული ბასიანის სოფელი ხანეგე, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Horasan İlçesi, Erzurum İli). სოფელი ხანეგე მდებარეობს (40°07'41.08"N 42°14'54.93"E) თანამედროვე სოფელ ხიზირილიასის (Hızırilyas), სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრის მოშორებით და ამჟამად ამ სოფლის უბანს წარმოადგენს.

არქიტექტურული კომპლექსი და კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულები ხანეგეს აღმოსავლეთით 2.5 კილომეტრის მოშორებით, მდინარის მარცხენა ნაპირზეა განთავსებული. არქიტექტურული კომპლექსი გაშლილ ველზეა ნაგები და მოიცავს რამდენიმე ნაგებობას, რომელთა ცენტრშიც დიდი ზომის მართკუთხა შენობაა წარმოდგენილი (40°07'23.02"N 42°16'40.38"E). ძველი ძლიერაა დაზიანებული და იკითხება მხოლოდ გეგმის დონეზე. სამშენებლო მასალად გამოყენებულია კარგად დამუშავებული, საშუალო ზომის ქვები, რომლებიც ჰორიზონტალური რიგების დაცვითაა გაწყობილი. ცენტრალური ნაგებობის დასავლეთით დიდი ზომის შესასვლელია გაჭრილი, ხოლო სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთებზე გვხვდება მცირე ზომის მინაშენთა ჯგუფი. გაურკვეველი რჩება ძველის თავდაპირველი ფუნქცია. მოცემული სახით შესაძლებელია მისი, როგორც საერო ისე საკულტო კონტექსტში გააზრება, რადგან ის არ იძლევა მკვეთრ მანიშნებლებს ფუნქციასთან მიმართებით.

შენობის აღმოსავლეთით, დაახლოებით 70 მეტრის მოშორებით, ძველი სასაფლაო, რომელიც შედგება რამდენიმე ათეული საფლავისგან. საფიქრებელია, რომ არსებული ტიპის საფლავები, არაუგვიანეს XIX საუკუნისა უნდა იყოს.

მართკუთხა გეგმარების ნაგებობიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 150 მეტრში, კლდოვან მასივში გამოკვეთილია გამოქვაბულთა კომპლექსი (40°07'27.82"N 42°16'36.46"E). საფიქრებელია, რომ კომპლექსი ბევრად უფრო დიდი მასშტაბისა და მრავალსივრციანი იქნებოდა, თუმცა სადღეისოდ შემორჩენილია მხოლოდ ნაწილი. კლდოვანი მასის ერთი შრე, წინა არე ჩამოშლილია, ამდენად დაკარგულია მისი შემადგენელი გარკვეული ნაწილები. მიუხედავად დანაკარგებისა, ქვაბები საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი და ჩანს სართულიანობის მაჩვენებელიც. არსებული მდგომარეობის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ძველის საერთო სართულიანობა არ აღემატებოდა 10-12 მეტრს, რომლის ფარგლებშიც ფიქსირდება ოთხი ძირითადი და ერთი მიწისქვეშა სართული. კლდეში გამოკვეთილი პირველი სართულის დონე დაკარგულია და შემორჩენილია მხოლოდ კლდის ზედაპირზე არსებული სხვადასხვა ზომისა და ფორმის, ასევე განსხვავებული ფუნქციის ხვრელები, რაც გვიდასტურებს მოცემულ არეზე სათავსთა არსებობას. ჩვენ მიერ აღწერილი „კომპლექსის“ მნიშვნელობას და მასშტაბს კიდევ უფრო თვალნათელსა და განვითარებულს ხდის კლდოვანი მასის წინა არეზე, მასიურ ფერდზე განთავსებული სხვადასხვა ზომის სათავსთა კვალი. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული სათავსების კვალი აღინიშნება მოცემული კომპლექსიდან სამხრეთით, დაახლოებით 400 მეტრის მოშორებით, სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე არსებული ფერდობებიდან ერთ-ერთზე (40°07'12.91"N 42°16'42.08"E), სადაც მცენარეული საფარის ქვეშ განირჩევა მართკუთხა სათავსების კვალი.

Hanege, Caves and an Architectural Complex

Hanege, a village in historical Basiani, Horasan district, Erzurum province (Horasan İlçesi, Erzurum İli).

The village of Hanege is located (40°07'41.08"N 42°14'54.93"E) approximately 1.5 kilometers southeast of the modern village of Hızırilyas, and is now a neighbourhood of the latter. The architectural complex and rock-cut caves are located 2.5 kilometers eastward from Hanege, on the left bank of the river. The architectural complex is built on an open field and contains several buildings, including a large rectangular building in the center (40°07'23.02"N 42°16'40.38"E). The monument is badly damaged and only its traces are visible. Well-worked medium-sized stones are used as a building material. The stonework is arranged in horizontal rows. A large entrance is cut to the west of the central building, and a group of small brick buildings can be found in the south and north-west sections. The original purpose of the monument remains unclear. As it does not clearly show its function, the monument might have been a secular or religious building.

Eastward of the building, about 70 meters away, there is an old cemetery with several dozen graves. It is conceivable that this grave type dates from the 19th century at the latest. Approximately 150 meters northward of the rectangular building is a rock-cut cave complex (40°07'27.82"N 42°16'36.46"E). It can be assumed that the cave complex would have been much larger, containing many more caves. Only a part of it remains today. The front of the rock has collapsed; therefore, certain constituent parts of the complex are missing. Despite the losses, the caves are quite well preserved and the number of tiers is visible. Based on the current state, it can be assumed that the total height of the monument did not exceed 10-12 meters, including four main levels and one underground level. The first tier with rock-cut caves is lost: only the openings of different sizes, shapes and different functions can be seen in the rock surface confirming the existence of caves in that area. Traces of caves of various sizes carved into the rock face of the slope emphasize the importance and scale of the “complex”. Approximately 400 meters southward of this complex, on one of the slopes on the right bank of the river (40°07'12.91"N 42°16'42.08"E), traces of rectangular stone structures are visible under the grass.



ფოტო/Photo 1. გამოქვაბული კომპლექსის საერთო ხედი / Cave complex, general view



ფოტო/Photo 2. ცენტრალური ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the central building



ფოტო/Photo 3. კედლის ნაშთები გამოქვაბული კომპ. ძირში / Wall remains at the foot of the cave complex

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხაჩლი, თანამედროვე ხარჩლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცენტრიდან 2 კილომეტრის მოშორებით, მთა პოსტლუბაბას დასავლეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, მდებარეობს ციხის ნაშთები (39°54'09.23"N 42°03'33.31"E), რომელთა ადგილზე შესწავლა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, შორი დისტანციიდან ნათლად იკითხება გარკვეული ნაგებობების კვალი, რომლებიც მცირე ზომის წყობების სახითაა შემორჩენილი. ნაგებობა განთავსებული უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მთის დასავლეთ ფერდზე, არამედ მთელს მის ზედაპირზე და ფერდობებზე. მთის ზედა არე, ციტადელი მოიცავს ბუნებრივად შვერილ კლდოვან მასივს, რომლის კიდეებზეც განირჩევა დიდი ზომის, ოდნავ ფორმამცემული ქვებით შედგენილი წყობები. ამგვარად, ჩვენ საქმე გვაქვს უზარმაზარი მთის სხვადასხვა სიმაღლეზე განვითარებულ მშენებლობასთან - მათ შორის, მთავარი ნაწილია ზედა ციხე. გარდა ციტადელისა და მისი კედლების სტრუქტურებისა, ნათლად იკითხება დასავლეთი ფერდის ქვედა ტერასებიც, ერთგვარი ქვედა ციხე, ან გალავანი, რომელიც მთელს ამ პერიმეტრს დამატებითი ბარიერით ამაგრებდა და იცავდა.

საყურადღებოა, რომ მოცემული ტერიტორიის და მთის ზედაპირზე არსებული ციხის მასშტაბი ამით არ შემოიფარგლება. კლდოვანი მასივის აღმოსავლეთი ნაწილის ძირში მოცემული საკმაოდ დიდი ტერიტორია, რომელიც ერთგვარი ბაქნის სახითაა მოსწორებული. ესაა დაახლოებით 140 მეტრის სიგრძისა და 70 მეტრის სიგანის, შედარებით სწორზედაპირიანი ბაქანი, რომლის მთელი ტერიტორიაც ათვისებული ყოფილა სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული ნაგებობებით. ეს არის ძალზე მასშტაბური, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული კომპლექსი, რომელიც ერთიან სიგრძეზეა განვითარებული. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი ზედაპირამდეა მოსწორებული და განირჩევა მხოლოდ მათი კვალი, რომლის მიხედვითაც ყოველთვის არ ხერხდება გეგმარების ზუსტი აღდგენა. მიუხედავად ამისა ჩვენ გვხვდება ძირითადად მართკუთხა მოხაზულობის სათავსები, რომელთა საშუალო სიგრძე-სიგანე 10x12 მეტრზეა. სამშენებლო მასალად ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია საშუალო ზომის, თუმცა სხვადასხვა ფორმის დაუმუშავებელი ქვები.

კლდოვანი მასივის სამშენებლო მასშტაბის გათვალისწინებით საფიქრებელია, რომ მის ძირში არსებული ეს გრანდიოზულივე კომპლექსი მის ნაწილად მივიჩნიოთ და ჩავთვალოთ, რომ ქვედა კომპლექსი მუდმივ საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობაც შემოსევისა ან რაიმე ტიპის საფრთხის შემთხვევაში თავს ციხე-სიმაგრეს აფარებდა.

Haçlı, a Fortress in South-East of the Village

Haçlı, a village in historical Basiani, the modern Harçlı, Horasan district, Erzurum province (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Southeast of the village, 2 kilometers from the center, on the western slope of Mount Postlubaba, at an altitude of 2,050 meters above sea level, there are the remains of the fortress (39°54'09.23"N 42°03'33.31"E). It was not possible to study it on the site. However, traces of buildings, preserved as small fragments of stonework, can be clearly seen from afar. It seems that the fortress occupied not only the west slope of the hill, but also the other slope and the crest of the hill. The upper part of the structure, the citadel, stood on a natural cliff. The piles of large, slightly shaped stones are found on its edges. It is clear that the fortress was built on several levels on a huge hill. Its main part was the upper castle – the citadel. In addition to the structures of the citadel and its defensive walls, the lower terraces of the western slope can also be clearly seen, a kind of lower fortress or defensive wall. As an additional barrier, it reinforced and protected the entire perimeter.

It is worth noting that the scale of the area with the fortress built on the hill is not limited to this. A fairly large area at the foot of the eastern part of the rock massif was levelled. This relatively flat platform is approximately 140 meters long and 70 meters wide. Various architectural buildings were built at the site. It is a large-scale complex whose parts are interconnected. The fortress runs lengthwise along the hill. Most of the buildings are leveled with the surface and only their traces are visible, therefore it is not always possible to accurately restore the ground plans.

We mostly find rectangular buildings with an average length of 10 meters and a width of 12 meters. In this case, medium-sized raw stones of different shapes were used as building material.

Taking into consideration the construction scale of the fortification on the hill, it can be assumed that the large complex at the foot of the same hill is a part of the former. The lower complex was probably a permanent residential area, whose inhabitants took refuge in the upper fortress in case of attack or danger.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 3. კედლის სტრუქტურების ნაშთები / Wall masonry, fragments



ფოტო/Photo 4. ნაგებობის ფრაგმენტები / Fragments of the building

ხაჩლი, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხაჩლი, თანამედროვე ხარჩლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფელ ხარჩლის ეკუთვნის კიდევ ერთი სიმაგრე, რომელიც მისგან სამხრეთით დაახლოებით 4 კილომეტრის მოშორებით, ზღვის დონიდან 2490 მეტრზე, მდებარეობს (39°53'05.55"N 42°03'23.94"E). ციხესთან მისასვლელი გზა ქოფრუქოის რაიონის სოფელ იუქარიკიზილჯადანაა (Yukarıkızılkale).

ერთ-ერთი მთის თხემზე, რომლის ზედაპირიც მოსწორებულია, მდებარეობს ნაგებობათა მასშტაბური კომპლექსი. ტერიტორია მთის თავზე საკმაოდ მოზრდილია და მისი სიგრძე დაახლოებით 15 მეტრი, ხოლო სიგანე 70 მეტრია. მთელს ამ პერიმეტრზე, მთის კიდეებამდე გაშლილია არქიტექტურული კომპლექსის ნაშთები. გეგმარების თვალსაზრისით ესაა წაგრძელებული ოვალი, რომლის მთავარი კედლებიც მშრალი წყობითაა შედგენილი და მათი სისქე დაახლოებით 2.5-2.7 მეტრია. ესაა საშუალო და დიდი ზომის ქვის ლოდებით აგებული კედლის შიდა და გარე წყობა, რომელთა შორის არსებული სივრცეც ამოვსებულია შედარებით წვრილი ქვის ნამტვრევებით. ნაგებობა თავისი მასშტაბით, განთავსების არეალით, სათავსთა გადანაწილების პრინციპითა და დაცულობის ხარისხით ძლიერ შთამბეჭდავად გამოიყურება. ნაგებობის შიდა სივრცე, ციხის ტერიტორია გააზრებულია კომპლექსის მომფარველი გალავნის სტრუქტურასთან კავშირში ისე, რომ ყველა მცირე თუ დიდი სათავსი, რომელიც შიდა პერიმეტრზეა წარმოდგენილი გალავანსაა მიდგმული და მას მიუყვება. ამდენად ვიღებთ დაახლოებით 20-25 შენობას, რომლებიც ერთმანეთს ებჯინება და ყველა მათგანის ზურგის კედლად გალავნის მომსაზღვრელი მასაა გამოყენებული. კომპლექსის შიდა პერიმეტრი, თავის განვითარებით, სავარაუდოდ ორ ძირითად უბნად უნდა დავყოთ, რომლებიც განაშენიანებისა და სიმაღლის ცვალებადობით ემიჯნება ერთმანეთს.


ძირითადი ნაგებობები, მართკუთხა სათავსები შესასვლელებით შიდა ეზოს მხრიდან, აჩენს განცდას, რომ აქ არა მხოლოდ თავშესაფარ ციხესთან, არამედ მუდმივსაცხოვრებელ განაშენიანებასთან გვაქვს საქმე. მოცემული გეგმარება ციტადელისა, სათავსთა გადანაწილების პრინციპი, მათი ფორმები და ზომები აშკარად მიუთითებს მათ გამოყენებაზე საცხოვრებლად.

Haçlı, a Castle Southward from the Village

Haçlı, a village in historical Basiani, the modern Harçlı, Horasan district, Erzurum province (Harçlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The village of Kharchli has also another fortress approximately 4 kilometers southward from the village, at an altitude of 2,490 meters above sea level (39°53'05.55"N 42°03'23.94"E). The access road to the fortification is from the village of Yukarıkızılkale, Koprükoy district. A large-scale complex of buildings is located on the crest of a hill, the surface of which has been leveled. The area on the top of the hill is quite large: it is approximately 15 meters long and 70 meters wide. The remains of the architectural complex are scattered throughout this area up to the edge of the hill. It is a drywall fortification with an elongated oval outline. The thickness of the main walls is approximately 2.5-2.7 meters. The inner and outer surfaces of the walls are built of medium and large stone blocks, and the space between them is filled with relatively small stones. The size of the fortification, its location, the logic of internal distribution of structures, and the level of the security make the monument very impressive. The interior and the general design of the fortification are considered in close relation with the structure of the defensive wall surrounding its perimeter: every small or large room inside the fortification is built against the defensive wall and thus follows its contours. There are 20 or 25 buildings that are connected to each other, and they all use the defensive wall as their back wall. The inner space of the complex should probably be divided into two main areas, which differ by structural variation and height.

The main buildings and rectangular rooms with entrances from the inner courtyard give the impression that it is not only a temporary protective fortification, but also a permanent residence – a castle. The design of the castle, the principle of room distribution, their shapes and sizes clearly show that apart from the defensive function, the monument had the residential function as well.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 3. გალენისა და ნაგებობების კედლები / Defensive wall and building walls



ფოტო/Photo 4. გალენისა და ნაგებობების კედლები / Defensive wall and building walls



ფოტო/Photo 5. გალანის კედლები / Defensive wall



ფოტო/Photo 6. წრიული სათავსი / Circular room

ხესინკარი, კლდეში ნაკვეთი მონასტერი

ისტორიული ბასიანის სოფელი ხესინკარი, თანამედროვე სოუკსუ, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Soğuksu, Köprükoy İlçesi, Erzurum İli).

კლდეში ნაკვეთი ძეგლი მდებარეობს სოფლის თავზე, ცენტრიდან დაახლოებით 200-300 მეტრის მოშორებით, მაღალი მთის შუა წელზე არსებულ კლდოვან შვერილებზე (39°53'49.80"N 41°57'44.22"E). მწელია თითოეული კლდის ზუსტი ზომის დადგენა. ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის დაშორებით სამი კლდოვანი კლდეა. თითოეული კლდე დაახლოებით 5-7 მეტრი სიმაღლისა, 8 მეტრი სიგრძისა და 10 მეტრი სიგანისაა. ეკლესია ერთ-ერთ კლდეშია ნაკვეთი. მისი სიგრძე 4.5 მეტრია, სიგანე კი 5 მეტრი.

პირობითად სამი კონცხიდან პირველზე მხოლოდ მცირე ნაწილებია შემორჩენილი. შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია მეორე კლდოვანი მასივი, სადაც იკითხება, როგორც ჩამოშლილი ნაწილები, ისე დღემდე შემორჩენილი კლდეში ნაკვეთი ეკლესია. ამავე კლდის ზედა არეზე ჩანს კიდევ ერთი გამოქვაბული სენაკი. მესამე ნაწილის სათავსების მხოლოდ შესასვლელები მოჩანს, თუმცა აღიქმება კლდეში ხელოვნურად გამოკაფული აფსიდისებრი სივრცე, მცირე ნიშოვანი არეები და ხვრელები.

არსებული ქვაბულებიდან მხოლოდ შუა არეზე არსებული ნაკვეთობის შესახებ შეიძლება მსჯელობა, როგორც არქიტექტურაზე. აქ მოცემულია მცირე ზომის ეკლესია, რომელიც ძლიერაა დაზიანებული. ნაგებობის ძირითადი სივრცე ფორმირდება მართკუთხა გეგმარების ძირითადი დარბაზისა და მის აღმოსავლეთით განთავსებული სამნაწილიანი საკურთხევლით - ცენტრალურში საკურთხევლის აფსიდა და მის ორ მხარეს პასტოფორიუმები. სამივე ნაწილი იატაკის დონიდან ამაღლებულია, კლდეშია შეჭრილი და ნახევარწრიულ-რკალისებრი მოხაზულობისაა. სამკვეთლოში იკითხება ორი ნიში და ერთი სარკმელი. სადიაკვნის სამხრეთ კედელში მცირე ზომის ნიშია გამოღებული, ხოლო „კონქის“ არეზე, სამკვეთლოს მსგავსი ფორმისა და ზომის სარკმელია განთავსებული. სენაკები იკითხება პირობითად პირველი და მესამე კლდოვანი კონცხების სივრცეებშიც, თუმცა მათი დეტალების აღქმა ვერ ხერხდება.

კლდეში ნაკვეთი სენაკების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის მიხედვით აშკარაა, რომ საქმე გვაქვს სამონასტრო კომპლექსთან.

Hesinkar, a Rock-Cut Monastery

Hesinkar, a village in historical Basiani, the modern Soğuksu, Köprükoy District, Erzurum Province (Soğuksu, Köprükoy İlçesi, Erzurum İli).

The rock-cut monument lies above the village, approximately 200-300 meters away from the center, on the crags at the center of the mountain ridge (39°53'49.80"N 41°57'44.22"E). It is difficult to determine the exact size of each crag. There are three rocky crags several meters apart. Each crag is approximately 5-7 meters high, 8 meters long and 10 meters wide. The church is rock cut in one of the crags. It is 4.5 meters long and 5 meters wide.

Only a few caves are preserved in crag 1 (the numbering is conditional). Remains of several caves, including the above-mentioned rock-cut church, are found in crag 2. There is one more cave at the upper level of the same crag. Mainly cave entrances are visible in crag 3, though apse-like elements, rock-cut recesses, small niches and holes can also be seen.

Of the existing caves, only one cave can be discussed architecturally. It is rock cut in the middle area. It is a small, badly damaged church. Its main space is formed by nave of rectangular plan and the three-partite altar at the eastern side: an altar apse in the center and the pastophoria on its two sides. All three parts are raised from the nave floor level and are semicircular. The nave has two niches and one window. A small niche is rock cut in the southern wall of the diaconicon, and in the “conch” area there is a window of the same shape and size as in the nave. Rock-cut caves can be seen in crags 1 and 3, although the details of their structure cannot be ascertained.

Based on the architectural and artistic design of the rock-cut caves, it is clear that they belonged to a monastery complex.



ფოტო/Photo 1. მონასტრის საერთო ხედი / Monastery, general view



ფოტო/Photo 2. მონასტრის საერთო ხედი / Monastery, general view



ფოტო/Photo 3. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთით / Interior, looking east



ფოტო/Photo 4. ინტერიერი, შესასვლელი / Interior, entrance



ფოტო/Photo 5. ინტერიერი, განძის მაძიებელთა განათხარი / Interior, dig excavated by treasure hunters

ხიდირილიასი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ხიდირილიასი, თანამედროვე ხიზირილიასი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hızırilyas, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით, მდინარის პირას, მაღალი, კლდოვანი მასივის ძირში არსებულ ბაქანზე, ზღვის დონიდან 1750 მეტრზე, განთავსებულია მასშტაბური კომპლექსი (40°08'38.68"N 42°13'35.70"E), რომლის განაშენიანებაც ბუნებრივად ორი მხრიდან დაცულ ტერიტორიას მოიცავს. საყურადღებოა, რომ კომპლექსი, მისი ნანგრევების განფენიდან გამომდინარე გრანდიოზული უნდა ყოფილიყო. ნაგებობათა დიდი ნაწილი დანგრეულია და ჩანს მხოლოდ მათი ერთი მხრის საფასადო კედლები, სადაც განიჩქევა საშუალო და დიდი ზომის ქვის უღუღაბო წყობები. კომპლექსის საერთო გეგმარების ან მისი სრული ზომების დადგენა არსებული მონაცემებით შეუძლებელია. აღნიშნული პერიმეტრი მოიცავს, როგორც დიდი ზომის ლოდებით ნაგებ შენობათა ნაწილს, ასევე შედარებით მცირე ქვების წყობებით შედგენილ კედლებს. რამდენიმე მონაკვეთზე განიჩქევა მასიური შესასვლელების სტრუქტურები, რომლებიც შედგენილია სამი დიდი ლოდისა და მათ თავზე ნაწყობი ქვებისგან - კარები შემდეგი სახითაა აგებული: შესასვლელის გვერდითი კედლების ერთიან, დიდი ზომის ლოდებს უჭირავთ, რომლებიც ვერტიკალურადაა აღმართული, ხოლო მათ თავზე, კარის შემკვრელად, ასევე მასიური, ერთიანი არქიტრავია გადებული. მდინარის პირისაკენ დამრეც ფერდობზე გვხვდება კიდევ რამდენიმე შენობის კვალი, რომლებიც ერთგვარ ტერასებადაა განფენილი.

განაშენიანების ბოლოს, შევნიშნავთ შედარებით იზოლირებულ, შემადლებულ ბორცვს, რომლის ზედაპირიც ასევე სამშენებლო ნაშთებითაა დაფარული. ბორცვის სიგრძე-სიგანე დაახლოებით 30x40 მეტრზე უნდა იყოს, ხოლო ნაგებობის ნაშთები სრულად შემოსდევს ბორცვის ფორმას. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ კომპლექსი საუკუნეთა განმავლობაში მუდმივ საცხოვრებელ სივრცეს წარმოადგენდა, მას დასჭირდებოდა თავშესაფარი შიდა თუ გარე მტრის შემოსევის შემთხვევაში.

ნაგებობის განთავსების არეალის, შემორჩენილი ნაშთების ფორმების, ქვის წყობისა და საერთო გეგმარებითი პრინციპის მიხედვით სავარაუდოა, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურის თავდაცვითი თუ სამოსახლო სისტემასთან. ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში და მას თურქი მკვლევარი მეგალითურ ციხედ იხსენიებს.

Hızırilyas, a Drywall Building Northward from the Village

Hızırilyas, a village in historical Basiani, the modern Hızırilyas, Horasan district, Erzurum province (Hızırilyas, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Approximately a kilometer northward from the village, by the river, on the platform at the foot of a high, rocky hill, at an altitude of 1,750 meters above sea level, there is a large complex (40°08'38.68"N 42°13'35.70"E) naturally protected from two sides. From the arrangement of ruins, it is clear that it was a large complex. Most of the buildings have been destroyed and only one façade wall survives of each building. The façades feature a masonry of medium and large stone rows without mortar. Based on the available information, it is impossible to determine the general design of the complex or its dimensions. The mentioned perimeter includes both the part of the buildings built of large blocks, as well as the walls made of relatively small stones. In several places, impressive is a stonework found in the area around the gates built of three boulders and stone masonry on top of them. The frames of the entrance are built in the following way: the side jambs of the entrance are made of single large blocks arranged vertically. A massive single block (an architrave) is used as a head jamb: it rests on two side jambs. Traces of several more buildings can be found on the slope leading down towards the mouth of the river. They are built on a terrace-like slope. Nearby is a relatively isolated, raised mound, the top of which is also covered with building remains. The mound is approximately 30 meters long and 40 meters wide. There are ruins of buildings on the mound. If the complex was a permanent residence for centuries, the inhabitants would need protection against internal or external threats. Based on the location of the building, the shapes of the remains, the arrangement of stones and the general plan, it is likely that the monument is a defensive and residential construction of megalithic type. The monument is mentioned in Turkish literature. A Turkish researcher calls it a megalithic castle.



ფოტო/Photo 1. ნაგებობის მდებარეობა (Google Earth) / Location of a building (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ნაგებობის საერთო ხედი / Building, general view



ფოტო/Photo 3. გალანისა და ნაგებობების კედლები / Defensive wall and building walls

ხოშაბი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ხოშაბი, თანამედროვე დონერტაში, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Dönertaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის ცენტრიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთით დაახლოებით 1 კილომეტრის მოშორებით სოფლის მცხოვრებნი მიუთითებენ ნაეკლესიარს (40°12'10.72"N 42°08'50.84"E). მათი თქმით ეკლესია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ იქნა აფეთქებული და დაშლილი. მოცემული ტერიტორია აშკარად მოიცავს ნაგებობის კვალს, თუმცა რეალურად ხელშესახები არტეფაქტები არ ფიქსირდება. შემადღებულ ბორცვზე, რომელიც სოფლის ხევს გაღმა მდებარეობს ჩანს ნაშალი, არეული ქვა-ღორღი, რაც შესაძლოა რეალურად ყოფილიყო ეკლესია.

Xoşab, a Church

Xoşab, a village in historical Basiani, the modern Dönertaş, Horasan district, Erzurum province (Dönertaş, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Local residents point to the church (40°12'10.72"N 42°08'50.84"E), which is located approximately a kilometer southeast of the village center. According to them, the church was exploded and destroyed by the locals. Construction traces are clearly visible in the area in question, although no specific objects were actually recorded. On a high hill, on the other side of the village gorge, you can see rubble pile, probably what remains of the church.



ფოტო/Photo 1, 2. ეკლესიის ტერიტორია / Site of the church

ჰაიდარკომუ, სოფელთან დაფიქსირებული საფლავის ქვა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰაიდარკომუ, თანამედროვე ჰაიდარლი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Haydarlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრის მოშორებით, შემორჩენილია წაგრძელებული, მართკუთხა ფორმის დიდი ზომის ლოდი (39°54'04.77"N 42°17'54.77"E), რომლის ზედა არეზეც ჯვარია ნაქანდაკევი. თავად ჯვრის ვერტიკალური და მოკლე ჰორიზონტალური მკლავები მართკუთხა, თავმომრგვალებული მოჩარჩოების არეალში ექცევა. ქვის ფორმისა და ზომის, მასზე არსებული გამოსახულების თუ საერთო გადაწყვეტის მიხედვით, დიდი ალბათობით, ჩვენ საქმე გვაქვს საფლავის მემორიალურ ძეგლთან. რელიეფური გამოსახულება ჯვრისა და მისი საერთო გადაწყვეტა არქაულობის ნიშნებს ატარებს და არ უნდა იყოს XVIII საუკუნეზე გვიანდელი.

Haydarkomu, a Gravestone Near the Village

Haydarkomu, a village in historical Basiani, the modern Haydarlı, Horasan district, Erzurum province (Haydarlı, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Westward of the village, approximately 0.5 kilometers away, there is a large, elongated rectangular boulder (39°54'04.77"N 42°17'54.77"E) with a cross carved on the upper surface. A cross with vertical and short horizontal arms is carved within a rectangular frame with arched top. Based on the shape and size of the stone, and the style of the carving, it is most likely a sepulchral memorial monument. The relief image of the cross and its general design contain signs of archaism and can be dated to the 18th century at the latest.



ფოტო/Photo 1, 2. საფლავის ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით / Tombstone with engraved cross



ფოტო/Photo 3, 4. ქვის ბუდე / A stone with a socket

ჰაიდარკომუ სუფლა, სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰაიდარკომუ სუფლა, თანამედროვე იაილაჯიკი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Yaylacık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ადგილობრივი მცხოვრებლები სოფლის ტერიტორიაზე მიუთითებენ დიდი ზომის ჯვრიან ქვას (39°54'44.09"N 42°18'5.10"E), რომელიც მათი თქმით, ადრე ნაგებობათა შემადგენლობაში იყო მოქცეული. სამწუხაროდ დღეს ეს ნაგებობები არ არსებობს, თუმცა შემორჩენილია სხვადასხვა დანიშნულების მცირე ნაშთები. არსებული ჯვრიანი ქვის მიხედვით, ძნელი სავარაუდოა მისი არქიტექტურული ნაგებობისადმი კუთვნილება. ესაა მართკუთხა ფორმის ქვის ზედაპირზე მართკუთხა მოჩარჩოებაშივე მოქცეული ტოლმკლავა ჯვარი, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით არ ავლენს ოსტატობის მაღალ დონეს - გარდა ამისა, ტექნიკურადაც დაბალ დონეზეა შესრულებული.

Haydarkomu Süfla, a Stone with Cross Image in the Village

Haydarkomu Süfla, a village in historical Basiani, the modern Yaylacık, Horasan district, Erzurum province (Yaylacık, Horasan İlçesi, Erzurum İli).

Local residents point to a large stone with an image of the cross (39°54'44.09"N 42°18'5.10"E). They say that earlier it used to be part of a building. Unfortunately, this building does not exist now, although small remains of various purposes have been preserved. According to the existing cross stone, it is difficult to assume that it belonged to any architectural building. It is an isosceles cross within a rectangular frame on a rectangular stone surface. Artistically and technically the cross relief is of poor quality



ფოტო/Photo 1, 2. ქვა ჯვრის რელიეფური გამოსახულებით / Stone with engraved cross

ჰანაჰმეტი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰანაჰმეტი, თანამედროვე ჰანაჰმეტი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hanahmet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა განთავსებულია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, ღრმა ხევში არსებული კლდოვანი კეხის ზედაპირზე (40°08'48.69"N 41°40'7.97"E). ძეგლი განთავსებულია ძალზე რთულ რელიეფზე, ამიტომ მისი დეტალური შესწავლა ვერ მოხერხდა. ზოგადი სახით შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ნაგებობა საკმაოდ მასშტაბური უნდა იყოს. მთის კონცხის სიგრძე, რომელზეც ნანგრევებია წარმოდგენილი, დაახლოებით 50-60 მეტრი, ხოლო სიგანე 20-25 მეტრია. შემორჩენილი ფრაგმენტებისა და კლდის ფერდზე შეფენილი ნაშალი ნაწილები სწორედ ამ პერიმეტრზეა ჩამოწოლილი. ამჟამად შემორჩენილი მნიშვნელოვანი ფრაგმენტი იკითხება კლდოვანი კეხის დაქანებაზე, სადაც ჩანს დუღაბზე ნაგები წყობის სეგმენტები. ჩანს კარგად თლილი, მოყვითალო და რუხი ფერის, გრძივი კვეთის მქონე კვადრები, რომლის წყობაშიც დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. საყურადღებოა, რომ ნაგებობის სამხრეთი ნაწილი მოიცავს ფლეთილი ქვის გროვებსა და მცირე ზომით შემორჩენილ კედლის ფრაგმენტებს.

მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „ბეჟან-კალეს“, ბეჟანის ციხის სახელით მოიხსენიებს.

Hanahmet, a Fortress Northeast from the Village


Hanahmet, a village in historical Basiani, the modern Hanahmet, Pasinler District, Erzurum Province (Hanahmet, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The monument is located approximately 2 kilometers northeast from the village, on a crag in a deep ravine (40°08'48.69"N 41°40'7.97"E). Since the monument is located in a terrain that is difficult to access, we were not able to visit and explore it in detail. We can only assume that the building is a quite large structure. The mountain ridge on which the ruins are located is approximately 50-60 meters long and 20-25 meters wide. The remaining fragments and ruins are scattered on the rock slope, along the perimeter of the monument. The wall fragments built of stones and mortar can be seen on the slope of the ridge. The yellowish and gray, well-hewn rectangular stones are laid in even horizontal rows. In the southern part of the monument, there are piles of rough rubble and small fragments of stonework.

It is of note that the local population calls the monument “Bezhan-Kale”, i.e. Bezhan’s fortress.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view

ჰასანბეი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰასანბეი, თანამედროვე ჰასანბეი, ჰორასანის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Hasanbey, Horasan İlçesi, Erzurum İli).

ძველი სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრის მოშორებით, მაღალი კლდის თავზე აგებული (39°55'42.05"N 42°28'25.01"E). ზღვის დონიდან 2490 მეტრის სიმაღლეზე, რთულად მისასვლელი კლდის თავზე განთავსებულია თავდაცვითი ნაგებობის ნაშთები, სადაც განირჩევა როგორც მშრალი წყობის ფრაგმენტები, ისე დულბიანი კედლების ნაწილები. ტერიტორია ძლიერაა დაზიანებული და იკითხება მხოლოდ მცირე ფრაგმენტები. უშუალოდ განაშენიანება, სამშენებლო სტრუქტურები და ფენები აღიქმება მთის თხემზე და მის ქვედა ფერდებზე. მოცემული ობიექტის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს საკმაოდ კომპლექსურ და მასშტაბურ მშენებლობასთან, რომელიც შემორჩენილი ნაწილებისა და ფრაგმენტების მიხედვით სიცოცხლისუნარიანობის საკმაოდ ვრცელ პერიოდს უნდა მოიცავდეს, თუმცა ძირითადი კონცენტრაცია მაინც შუა საუკუნეებზე მოდის.

მთის ციტადელზე და სხვადასხვა მხარეს არსებულ მცირე ბაქნებზე უხვადაა მიმოხეული კერამიკული ნაწარმის ნამტვრევები. ჩანს, როგორც დეკორატიული ელემენტებით გაფორმებული სხვადასხვა ნივთის ფრაგმენტები, ისე მოჭიქული კერამიკის ნაწილებიც.

Hasanbey, a Fortress Southeast of the Village

Hasanbey, a village in historical Basiani, the modern Hasanbey, Horasan district, Erzurum province (Hasanbey, Horasan İlçesi, Erzurum İli).

The monument is built on top of a high rock, approximately 2 kilometers southeast of the village (39°55'42.05"N 42°28'25.01"E). At an altitude of 2,490 meters above sea level, on top of a hard-to-reach rock, there are the remains of a defensive structure, which includes both the drywall and mortared wall fragments. The monument is badly damaged and only small fragments are visible. Building structures and layers can be seen on the crest and slopes of the hill. In the case of this object, it is a rather complex and large-scale building. The study of the preserved parts and fragments show that it existed for quite a long time. The fortress was used most actively in the Middle Ages. A large number of pottery sherds are scattered throughout the fortress and on the small platforms surrounding it. There are fragments of various objects decorated with decorative elements and glazed pottery sherds.



ფოტო/Photo 1. ციხის მდებარეობა (Google Earth) / Location of the fortress (Google Earth)



ფოტო/Photo 2. ციხის საერთო ხედი / Fortress, general view



ფოტო/Photo 3. ციტადელის ფრაგმენტები / Citadel, fragments



ფოტო/Photo 4. კერამიკის ფრაგმენტები ციხის ტერიტორიაზე / Pottery sherds found at the site of the fortress

ჰინცკი, ეკლესია

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის სიახლოვეს, აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით (40°01'45.17"N 41°37'51.54"E). ეკლესია ძლიერ დაზიანებული კორპუსის დაახლოებითი სიგრძე-სიგანე 8x9 მეტრია, ხოლო კედლების სიმაღლე ზოგიერთ მონაკვეთზე 6-7 მეტრს აღწევს. შემორჩენილი შესასვლელი ღიობების სიგანე, არსებული მონაცემების მიხედვით, მიახლოებით 0.9-1.1 მეტრი უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიის დიდი ნაწილი მთელი სიმაღლითაა შემორჩენილი, საკმაოდ დიდია დანაკარგის წილი.

მომცრო ზომის „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ნაგებობის გუმბათი განადგურებულია, თუმცა იკითხება შენობის ჯვრული გეგმარების ქვედა კორპუსი. გარდა აღმოსავლეთისა, ყველა მკლავი მართკუთხა მოხაზულობისაა და გადახურული უნდა ყოფილიყო ცილინდრული კამარით. საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა, ხოლო მის ცენტრში გაჭრილია ამავე ფორმის მოზრდილი სარკმელი. სარკმლის შუა მონაკვეთის ზემოთ შემორჩენილია საპირე მოპირკეთების ქვები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოყვითალო ფერის, კარგად დამუშავებულ-გათლილი კვადრები, ჰორიზონტალური რიგების დაცვით უნდა ყოფილიყო ნაწყობი. ნაგებობის საფასადო ნაწილი სრულად შემომარცვულია. შესასვლელები დაფიქსირებულია შენობის სამ მხარეს (ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი), ხოლო ყველა კარის თავზე წარმოდგენილია ნახევარწრიული მოხაზულობის სარკმელი. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, ნათლად იკითხება საფასადო ქვის წყობის ბუდეები. დულაბისა და საპირე ქვის ზომის მიხედვით ირკვევა, რომ კედლის საერთო სისქე დაახლოებით 1 მეტრი უნდა ყოფილიყო.

ძეგლის გეგმარებითი თავისებურების, არსებული კონსტრუქციულ-სივრცითი, ზოგად-არქიტექტურული თავისთავადობის, წყობის ხასიათისა და ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით უნდა ვივარაუდოთ, რომ ნაგებობა X საუკუნეს განეკუთვნება.

ამ ეკლესიის ადგილას შესაძლებელია ყოფილიყო ისტორიული წყაროებიდან ცნობილი გარმირვანქის მონასტერი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, კათალიკოს ნერსეს ბარტემა (გარდ. 373 წ.) დააარსა. ჰ.ს. ეფრიგიანის მიხედვით მონასტერი 1828 წლისთვის ერთადერთ ძლიერ და მდიდარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე დასუსტდა და გაღარბდა.

Hintsk, a Church

Hintsk, a village in historical Basiani, the modern Kurbançayırı, Pasinler District, Erzurum Province (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

The building is located eastward of the village, approximately 200 meters from the center (40°01'45.17"N 41°37'51.54"E). The badly damaged church is approximately 8 meters long and 9 meters wide. The preserved walls in some places are 6-7 meters high. According to the available data, the width of the doors should have been approximately 0.9-1.1 meters. Although a larger part of the “free cross” type church survives to its full height, the structural damage is severe.


The dome of the small “free cross” type building has fallen, but the cross plan shaped lower part of the building is visible. The two transepts and nave are rectangular and must have had a cylindrical barrel vault over them. The apse of the altar is semicircular with a large window of the same shape in the middle. Above the center of the window are preserve the facing stones. Based on this fragment, we can conclude that the yellowish, finely dressed blocks were arranged in even horizontal rows. The exterior facing stones are missing. Entrances are found on three sides of the building (north, south, and west). There is a lunette window above all the doors. The façade clearly shows furrows left by stones on a flat surface. The total thickness of the wall should have been approximately one meter.

Taking into account the peculiarities of the monument’s design, the structural spatial characteristics, overall architectural originality, the nature of the structure and the historical context, one can assume that the church dates to the 10th century.

It is possible that the church stands at the site of the Garmir vank monastery known from historical sources, which was founded by Catholicos Nerses I the Great (died in 373 AD). According to H.S. Efrigian, by 1828 the monastery was the only strong and rich organization. It declined and became poor at the end of the 19th century.




ფოტო/Photo 1. ეკლესიის, ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან / Church, view from southeast




ფოტო/Photo 2. ეკლესიის ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან / Church, view from southwest



ფოტო/Photo 3. ინტერიერი, ხედი დასავლეთით / Interior, looking west



ფოტო/Photo 4. ინტერიერი, კედლის წყობის ფრაგმენტები / Interior, fragments of a wall masonry



ძეგლის ანაზომი შესრულებულია მ. სულხანიშვილისა და ნ. არონიშვილის მიერ / The monument was measured by M.Sulkhanishvili and N. Aronishidze

ჰინცკი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli).

ნაგებობის ნანგრევები მდებარეობს მაღალი მთის თხემზე, სოფლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცენტრიდან დაახლოებით 1-1.5 კილომეტრის მოშორებით (40°01'17.93"N 41°38'14.74"E). ძეგლი სრულადაა დანგრეულ-განადგურებული და მისგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია დარჩენილი. თხემის პერიმეტრზე დაფიქსირებული ნანგრევების მიხედვით, რომელიც წრიულ გეგმარებას ქმნის, შეგვიძლია ნაგებობის სიგრძე დაახლოებით 70-80 მეტრით, ხოლო სიგანე 50-60 მეტრით განვსაზღვროთ. შემორჩენილი კედლის ნაშთების მაქსიმალური სიმაღლე 1-1.2 მეტრამდე, ხოლო კედლის სისქე 1.8-2 მეტრამდე აღწევს. გეგმარება არ იკითხება მკვეთრად, რადგან კედლები მხოლოდ ადგილ-ადგილაა შემორჩენილი. შემორჩენილი მცირე ფრაგმენტები გვაფიქრებინებს, რომ შიდა მონაკვეთზე არსებობდა მართკუთხა და წრიული გეგმარების გარკვეული „სათავსები“, შიდა „უბნები“, რომელთა ზუსტი დანიშნულება გაურკვეველია. ნაგებობის მასშტაბი იმაზე გაცილებით დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე თხემზე შემორჩენილი კედლებია.

ძეგლის ძირითადი ნაწილი მთის წვერზე, მის მოვაკებულ მონაკვეთზე მდებარეობს, ხოლო ტერასებად, მის გარეთ, კლდოვან ქანებს შორის, მოქცეულია მშრალი წყობის სხვა შენობათა კვალი, რომლის გათვალისწინებითაც სავარაუდოა, რომ ნაგებობა რამდენიმე საფეხურად, ტერასებად ვითარდებოდა მთის ფერდობზე. ძეგლის შიდა და გარე პერიმეტრზე აღინიშნება დიდი რაოდენობის ქვა-ყრილები და ნაშალი მასალა. ალაგ-ალაგ, ძირითადი ნაგებობის პერიმეტრზე, განირჩევა წრიული მოხაზულობის ნაგებობათა ნანგრევები - მათი ფუნქცია რთული განსასაზღვრია.

ნაგებობის განთავსების არეალის, მისი ზოგად-გეგმარებითი პრინციპის, მშრალი ქვის წყობის, პროპორციების და სხვა მცირედი ფრაგმენტების მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საქმე გვაქვს მეგალითური კულტურისთვის სახასიათო, სათავდაცვო-სამოსახლო არქიტექტურასთან.


Hintsk, a Drywall Building

